

ISSN 1987-5789

**ეკონომიკა
და ბიზნესი**



**ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС**

**ნოემბერი-დეკემბერი
NOVEMBER-DECEMBER
НОЯБРЬ-ДЕКАБРЬ**

2010

03260 ხავერდიშვილის სახელობას თბილისის სახელმწიფო უნი-
ვერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამინის-
ტრი რეზერვირებაზე და რეზენგირებაზე

**International refereed and reviewed scientific and practical journal of
the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University**

Международный реферируемый и рецензируемый научно-практический журнал факультета Экономики и Бизнеса Тбилисского государственного университета имени И. Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: ობილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 30-36-68, 899-10-38-16
e-mail: ebfjournal@tsv.ge

სარედაქციო კოლეგია

რეგან გოგოხია – მთავარი რედაქტორი
ეკონომიკურ შეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი.
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ეკონომიკურ შეცნიერებათა დოქტორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე,
ლეო ჩიქვაძე.

ეკონომიკურ მქონე ინიციატივათა დოკუმენტი, პროფესიონალური კონსულტაცია და მიზანური მომსახურება მიმდინარეობს გველეს სიანი, ნუგბარ თოლეუა, არა კლი კონფიდენციალურ დოკუმენტი, მურთაბ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექეაბიშვილი, აკობ შესხია, ნუგბარ ჟაიჭაძე, მურმან ტურავა, მირიან ტუხაშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბელია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია, ემილ ხარაბაძე, გვერდი ნუგბარია.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.
Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of
Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili**, **Ramaz Abesadze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Nugzar Todua**, **Irakli Kovsanadze**, **Eka Lekashvili**, **Murtaz Magradze**, **Maya Margvelashvili**, **Ketevan Marshava**, **Elguja Mekvabiishvili**, **Iakob Meskhia**, **Nugzar Paichadze**, **Murman Turava**, **Mirian Tukhashvili**, **Eter Kharaishvili**, **Elene Kharabadze**, **Roman Kharbedia**, **Nodar Khaduri**, **Temur Shengelia**, **Emzar Jgerenaia**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главний редактор доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – Владимир Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.

Доктора экономических наук, профессора: Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Злгуджа Меквабишивили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Мурман Турава, Мириан Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, პარალდ კუნცი – ბრანდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიძი – პირეს უნივერსიტეტის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, გომას პალდმა – გარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Куниц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

გრიგოლ თოლეა. ინტეიციური უნარისა და ინტელექტუალური აზროვნების მიზეზობრივი კავშირების გაცნობიერების მნიშვნელობა ინტეგრალური პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში 10

ნოდარ ხადური. საქართველოს ეკონომიკა გლობალური კრიზისის ფონზე 31....
მალხაგ ჩიქობამა. მილტონ ფრიდმანის მონეტარისტული წესის შესახებ 41.....

ავთანდილ სილაგამა. ეკონომიკური ტერმინების შინაარსობრივი დატვირთვის შესახებ 51..

ნუზგარ კაიჭამა. ზოგიერთი შენიშვნა რამდენიმე ეკონომიკური ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვის საკითხებზე 59

გელნაგ ერქომაიშვილი. ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკა (ინგლისურ ენაზე) 69.

მაპროეკტორისამცო

მერაბ ხმალაძე. შობადობის პრობლემები საქართველოში ..77
შანა თოლორდავა. ბიზნესი და კონკურენცია 83
ვლადიმერ ღლონტი, სოფიაო მაგისტრი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო მიზიდველობის შეფასება 89

თემურ ჩალიგავა, თინა მალემაშვილი. ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები ინფორმაციულ საზოგადოებაში ...99

აგრარული ეკონომიკა

იოსებ არჩამა, ელგუჯა მაქვაბიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები 107

CONTENTS

მეცნიერებები. მარკეტინგი. ტურიზმი

ჩარიტა ჯაში. ხარისხის შეფასების მეთოდები ტურიზმის მარკეტინგში	115.
იბ ნაცვლიშვილი. მეწარმეობისადმი დამოკიდებულება საქართველოში (ემპირიული კვლევის შედეგები)	129
ნატო კაპაშვილი. ქონების დაზღვევის არსი და თავისებურებები საქართველოში	139

ბუღალტრული აღრიცხვა და ანალიზი

იგოლდა ჭილაძე. ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზის მეთოდიკა	147
ნანა სრული, ნინო ჩავლეშვილი. სააღრიცხვო ინფორმაციის მაკორექტირებელი ჩანაწერების არსი და ფორმები	159
ახალი წიგნები: როგორია პროცესიონალ-რეცენზირების აზრი?	

ეთერ ხარაგაშვილი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი მეცნიერთა უკრადღების ცენტრში	171
გიორგი ღოღონებელი, ეთერ ძაგლია, სერგო თურნავა. უდავოდ სასარგებლო სახელმძღვანელო	175
გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარებას კერსაექტივება - მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	179
სარედაქციო კოლეგისაბან	182

შერნ. „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2010 წლის №1-5 (ნომერი

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLITICS

GRIGOL TODUA. The importance of understanding causal relations between intuitive skills and intellectual thinking in integral policy formation process	10
NODAR KHADURI. Economy of Georgia against global crisis	31
MALKHAZ CHIKOBAVA. About Milton Friedman's monetarist rule	41
AVTANDIL SILAGADZE. Concerning the contents of economic terms	51
NUGZAR PAICHADZE. Some notes on the content and meaning of certain economic terminology	59
GULNAZ ERKOMAISHVILI. The economic policy, defining national competitiveness (in English)	69.

MACROECONOMICS

MERAB KHMALADZE. Birth rate problems in Georgia	77
ZHANA TOLORDAVA. Business and competition	83
VLADIMER GHLONTI, SOFIKO MEGRELIASHVILI. Estimation of investment attractiveness of Autonomous republic of Adjara	
TEMUR CHALIGAVA, TINA MELKOSHVILI. Information-communication technologies in an information society	99

AGRARIAN ECONOMY

JOSEB ARCHVADZE, ELGUJA MEKVABISHVILI. Current state of rural economics of Georgia and development prospect	107
--	-----

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

CHARITA JASHI. Methods of an estimation of quality in tourism marketing	115
IA NATSVLISHVILI. Entrepreneurial attitudes in Georgia (empirical research results)	129
NATO KAKASHVILI. Essence of insurance of property and feature in Georgia	139.

ACCOUNTING AND ANALYSE

IZOLDA CHILADZE. The methodology of interorganization analysis of financial condition	147.
NANA SRESELI, NINO CHAVLESHVILI. Essence and forms of correcting entries for accounting information	159.

NEW BOOKS: WHAT ARE THE VIEWS OF PROFESSIONAL REVIEWERS?

ETER KHARAISHVILI. Dictionary of economics and business in the center of scietists' attention	171.
GIORGİ DOGONADZE, ETER DZAGANIA, SERGO TURNAVA. Indisputably useful textbook	175

GLOBALIZATION AND GEORGIAN'S ECONOMIC DEVELOPMENT PROSPECTS - III INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE	179
FROM THE EDITORIAL BOARD	182

CONTENTS OF #1-5, 2010, JOURNAL OF ECONOMICS AND BUSINESS	183
--	-----

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

ГРИГОЛ ТОДУА. Значение осознания причинных связей интуитивной способности и интеллектуального мышления в процессе формирования интегральной политики	
10 НОДАР ХАДУРИ. Экономика Грузии на фоне глобального кризиса	
31 МАЛХАЗ ЧИКОБАВА. О монетаристской правиле Милтона Фридмана	4
1 АВТАНДИЛ СИЛАГАДЗЕ. О содержании экономических терминов	
51 НУГЗАР ПАИЧАДЗЕ. Некоторые замечания по вопросам содержания ряда экономических терминов	
59 ГУЛНАЗ ЕРКОМАИШВИЛИ. Экономическая политика, определяющая национальной конкурентоспособности (на английском языке)	
69	

МАКРОЭКОНОМИКА

МЕРАБ ХМАЛАДЗЕ. Проблемы рождаемости в Грузии	
77 ЖАНА ТОЛОРДАВА. Бизнес и конкуренция	
..... 83	
ВЛАДИМИР ГЛОНТИ, СОФИКО МЕГРЕЛИШВИЛИ. Оценка инвестиционной привлекательности Автономной республики Аджарии	89
ТЕМУР ЧАЛИГАВА, ТИНА МЕЛКОШВИЛИ. Информационно-коммуникационные технологии в информационном обществе	99

АГРАРНАЯ ЭКОНОМИКА

ИОСИФ АРЧВАДЗЕ, ЕЛГУДЖА МЕКВАБИШВИЛИ. Современное состояние и перспективы развития экономики сельского хозяйства	
---	--

Грузии 107

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

ЧАРИТА ДЖАШИ. Методы оценки качества в маркетинге туризма 115
ИЯ НАЦВЛИШВИЛИ. Отношение к предпринимательству в Грузии (итоги эмпирического исследования) 129

НАТО КАКАШВИЛИ. Сущность и особенности страхования имущества в Грузии 139

БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЁТ И АНАЛИЗ

ИЗОЛДА ЧИЛАДЗЕ. Методика межпроизводственного анализа финансового состояния 147
НАНА СРЕСЕЛИ, НИНО ЧАВЛЕШВИЛИ. Сущность и формы корректировочных записей учётной информации 159

НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛ-РЕЦЕНЗЕНТОВ?

ЭТЕР ХАРАИШВИЛИ. Словарь экономики и бизнеса в центре внимания учёных 171
ГЕОРГИЙ ДОГОНАДЗЕ, ЭТЕР ДЗАГАНИЯ, СЕРГО ТУРНАВА. Бесспорно полезный учебник 175
ГЛОБАЛИЗАЦИЯ И ПЕРСПЕКТИВЫ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ - III-ая МЕЖДУНАРОДНАЯ НАУЧЕАЯ КОНФЕРЕНЦИЯ 179

ინტენსიური უნარი, ანუ გარემომცველ მოვლენათა მოძრაობაში წვდომის ალლო მამაზეციერის მიერ კაცთა მოდგმისთვის მინიჭებული უდიდესი ნათელ ხილვითი სიბრძნეა. მართალია, საზოგადოების ყოველი უმნიშვნელოვანესი მიღწევა არსებითად მოაზროვნე გონების შეუპოვარი შემოქმდებითი შრომის შედეგია, მაგრამ ამასთან, ბევრ ადამიანს აქვს დვოთისგან მომადლებული უნარი, რომელიც გონების მიერზე მაღლა დგას. ეს არის გამოცხადება რელიგიურ აზროვნებაში. მთავარ როლს სწორედ გამოცხადება ასრულებს, ხოლო მეცნიერები მიღწევები გონებრივი ფუნქციის ნაყოფია უდავოდ. გამოცხადება ადამიანის სულიერ არსებაში ააქტიურებს ისეთ უნარს, რომელიც გონებისათვის მიუწვდომელია. გონება დროსა და სივრცეში მოცემულ მატერიალურ სამყაროს აცნობიერებს მხოლოდ. ის, რაც დვოთიურ სამყაროსთან არის დაკავშირებული, მოაზროვნე გონებას ცდაში არ ეძლევა. მას არ ძალუმს მრავალგანზომილებიანი უსასრულო სამყაროს წიაღებში ამომწურავი წვდომა და გონებისადმი აბსოლუტის დაქვემდებარება. მხოლოდ გონებით, მტკიცებებით დმერთის არსებობის დასაბუთება არ შეიძლება (კანტი).

გამოცხადებით კი ხდება ცოდნის მიღება მამაზეციერის შესახებ, რომელიც მატერიალურ სამყაროზე მაღლა დგას. დმერთი ფილოსოფიურ მეცნიერებაში აბსოლუტის ცნებით მოიაზრება,

რელიგიური მოძღვრებანი კი მას დგთაებას უწოდებენ.

რელიგიის წყარო და დასაყრდენი არის გამოცხადება. დგთისმოსავების ყველა დიდი ფუქსების გლი დვოიურ ჭეშმარიტებებს გამოცხადებით ჰვრეტდა. მოსე, ნოე, აბრაამი, იაკობი და სხვები გონებისმიერი უნარით კი არ მიდიოდნენ ღმერთის არსებობის უდავო აღიარებამდე, არამედ წმინდა ნათელ ხილვით ჰვრეტა, გამოცხადება იყო მათვის დვოთაებრივი სიბრძნის დაუფლების წყარო. ღმერთი ადამიანს ეძლევა ნათელ ხილვით უნარში და არა გონებაში. გამოცხადება როდია ცნებათა ლოგიკური სისტემა.

ნათელ ხილვას ეყრდნობა მისტიკა, რომელიც დვოის არსებობას ინტუიციით ჰვრეტს მხოლოდ. გონებითი უნარის მოთხოვნებს ითვალისწინებს თეოლოგია. ეს არის მოძღვრება, რომელიც ცდილობს აზროვნების გზით დაასაბუთოს მამაზეციერის არსებობა, ცნობილია თეოლოგიის ორი სახეობა: რაციონალური, ანუ დოგმატური და ირაციონალური, ანუ მისტიკური. დოგმატიკოსი თეოლოგი ცდილობს დვოის არსებობა დაასაბუთოს გონების მიერი აზროვნებით, ლოგიკის გამოყენებით, მისტიკოსი კი დვოის არსებობის უქმედობას ინტუიციით, ნათელ ხილვითი ჰვრეტით ხსნის. აზროვნების ეს ორი ასპექტი ყოველთვის იყო თეოლოგიის ამოსავალი. ეს იმის უდავო მოწმობაა, რომ რელიგია გულისხმობს გონების გამოყენებას, მაგრამ ამ მომენტს მის შემეცნებაში არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, აქ განმსაზღვრელ ფუნქციას გამოცხადება ასრულებს. მოაზროვნე გონება კი აკონტროლებს ყოველივე იმას, რასაც გამოცხადება იძლევა.

გამოცხადება, უწინარეს იმ ადამიანთა ხვედრია, რომლებიც ჩვეულებრივ მასასთან შედარებით თავიანთი აზროვნების შესაძლებლობით და სამყაროს ჰვრეტის უნარით მაღლა დგანან. ამ უნარს ისინი დებულობენ დვოის მადლის წყალობით, მაგრამ უმველესი ეპოქების გასწვრივ არსებობდა მრავალი სულიერი განათლების კრაც, მოქმედებდა მისტერიული ცენტრები და ტაძრები, სადაც ქურუმები თავიანთ მოწაფეებს – ნეოფიტებს, ანუ რელიგიის ახალ მიმდევრებს უნითარებდნენ ამ უნარს. მისტერიების, ანუ მომავლის იდუმალი ჭვრეტით რელიგიური წესების

საიდუმლო შესრულების ამოცანას წარმოადგენდა ადამიანის გადაყვანა ექსტრაზის მდგომარეობაში და ამ გზით – დვთაებრივი სამყაროს ზიარება.

ნიშანდობლივია, რომ დელფოს სამისნოს კარიბჭეს ღრმად შთამაგონებელი ბრძნული წარწერა ამშენებდა იმთავითვე: „ღმერთთა შემეცნება მათი გამოცხადების მეოხებით ნიშნავს ფლობას ჭეშმარიტებისას“. ფაქტობრივად ეს იყო ძველი ბერძნული მისტერიების დევიზი გამოცხადების მიღების გზით დვთაებრივი სამყაროს შემეცნებისთვის შემუშავებული. მთავარ მოტივს წარმოადგენდა დვოიურ სამყაროსთან დაკავშირება გამოცხადების საშუალებით, რომელსაც ყველა ქვეყანაში გააჩნდა სპეციფიკური თავისებურება. განსხვავებული იყო ძველ ეგვიპტურ, შუმერულ უმველეს კოლხურ, ინდურ და სხვა სამყაროთა გამოცხადების ფორმები, მაგრამ მათ საერთო ნიშანიც გააჩნდათ. ეს იყო ზეციურ სამყაროსთან გამორჩეულ პიროვნებათა კავშირის უნარი, რომლებიც დვოის გამოცხადების მიღებას ძირითადად ინტუიციით ანუ საიდუმლოებათა შესრულებით, სულის აქტიურობით ადწევდნენ, სწორედ ასეთ ადამიანებს ეწოდებოდათ ქურუმები – ნაზიარევი ბრძნენაცები, რომლებიც უმველესი მსოფლიოს დიდ მოაზროვნეთა გაგებით ამქვეუნიურ და ზეციურ სამყაროთა საიდუმლოებებს ერთიანობაში ფლობდნენ. ძველ საბერძნეთში რელიგია და სიბრძნე განუყოფელ სულიერ ფენომენებს წარმოადგენდა. იმხანად სიბრძნის კერები რელიგიურიც იყო იმთავითვე. ეს ძალუმად იგრძნობა ჰერაკლიტეს, ემპიდოკლეს, სოკრატეს, პლატონისა და სხვათა ფილოსოფიაში.

გონების გააქტიურების პროცესი, ცნებითი აზროვნების დამკვიდრება სოკრატეს სახელთან არის დაკავშირებული. ეს პროცესი უმაღლეს ხარისხში პლატონმა აიყვანა. გამოცხადების ფენომენი თანდათანობით კარგავს პრიორიტეტის მნიშვნელობას. მოაზროვნე გონება გამოცხადებას და გონებისმიერ შემეცნებას უკვე ერთდროულად ემყარება. ეს უკანასკნელი მოწინავე პოზიციას იქმნება არისტოტელეს ლოგიკა, როგორც გენიალური გონებისა და განსჯის სასწაული.

შეუძლებელია ამ ასპექტით თვალწინ არ წარმოგვიდგეს ივანოვის მიერ მოგვიანებით შექმნილი მეტად შთამაგონებელი მხატვრული ტილო ქრისტეს გამოცხადების შესახებ, რომელიც ტრეტიაკოვის გალერეის ინტერიერს ამშვერებს ჭეშმარიტად და თაებრივი ძალით.

პლატონის მოძღვრება ორ სამყაროს აერთიანებდა, ე.ი. დმერთების სამყაროს და მატერიალურ სამყაროს. იდეათა სამყარო ერთი არსების შემოქმედაბა. ეს იდეები თვითონვე წარმოადგენს დვთაებრივ არსებებს, ანგელოზებს, რომელთაც რეალური არსებობა აქვთ. პლატონის ტერმინით თუ ვისარგებლებთ, დმერთი არის მამა, სამყაროს შემოქმედი, ხოლო ჩვენი საცხოვრისი – მეორე სამყარო არ არის რეალური... იგი იდეათა სამყაროს პროექციაა მხოლოდ. მაგრამ პლატონისა და არისტოტელეს მსოფლმხედველობა, მეცნირეულის გარდა, რელიგიურ ჭეშმარიტებათა უდავო აღიარებასაც ემყარებოდა.

გამოცხადების არსის ჭეშმარიტი გაცნობიერება წმიდა სამების საიდუმლოების სიღრმისეულ განსჯასაც მოითხოვს უცილობლად. რელიგიურ მოძღვრებათა ცოდნის თანამედროვე დონე უდავოდ იძლევა ამის შესაძლებლობას, – მამა დმერთი, ქე დმერთი და სულიწმიდა – სამივენი განუყოფლად სრულყოფილი დმერთები არიან. ისინი ერთი და იგივე დმერთის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენენ. მამა სიმბოლურად ყველაფრის საწყისია, რომელსაც თავად საწყისი არ გააჩნია. ქე ისეთი საწყისია, რომლის საწყისი მამაა. ქე არის დმერთი მოქმედებაში, რომელიც მამის ხატია, მისი შობილია მხოლოდ და არა მისი ქმნილება. დმერთი არარაობისგან კი არ ქმნის, არამედ სახეს აძლევს არსებულს. ქე მამაზე ნაკლები როდია. იგი დმერთის „თავისი სხვაა“, ე.ი. მისგან განსხვავებული რომელიმე სხვა კი არაა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ „საკუთარი სხვა“. გონება უნივერსუმის, ანუ აბსოლუტის პირველი შეიდია, ე.ი. მეორე დვთაებრივი არსებაა (ჰეგლი).

დმერთმა სიტყვა შვა და სულიწმიდით სრულყო იგი, დმრთის სიტყვა არის ქე. სამყარო, კოსმოსი არის დვთის მიერ ნათქვამი სიტყვა. სულიწმიდა არის, რაც ამ შექმნილ სამყაროს სრულფ-

ოფს და ინდივიდუალობას ანიჭებს, სულიერ მრავლობითობაში გამოავლენს მას. დმერთის სახით ადამიანის მსგავსად კოსმოსს აქვს ერთი სული. ეს არის სულიწმიდა, რომელიც სამყაროს სრულყოფას ანხორციელებს, მთელი კოსმოსის განწმენდის ფუნქციას ასრულებს. არა სამი დმერთი, რამეთუ ერთი დმერთი არსებობს სამი თანაარსის სახით. ისინი არც ბუნებით განიყოფებიან, არც ადგილით, სხვადასხვა გვარეობის ერთი და იგივე არსეს წარმოადგენენ, ერთი და იგივე დონით ხასიათდებიან.

ქრისტიანულ დვთისმეტყველებაში სამების არსი თეოლოგიური სისტემის სახით მაქსიმე აღმსარებელმა ჩამოაყალიბა. იგი ნათლად მიუთითებდა: „მწამს ერთი დმერთი, რომელიც არავის უშვია, ერთი ქე და სიტყვა დმერთისა მამისაგან შობილი და ერთი სულიწმიდა მამისაგან გამომავალი“. თეოლოგია დვთიური სამყაროს შესახებ მოძღვრავს კაცობრიობას. მეცნიერება კი ამქვეყნიური მიწიერი სამყაროს ამსახველ დებულებებს გადმოგვცემს.

რელიგიური მტკიცებით, კოსმოსის საფუძველი არის იდეა, თავდაპირველად იგი იდეური ფორმით არსებობდა მხოლოდ. შემდეგ წარმოიშვა ხილული სამყარო, გაჩნდა რხევა, მუსიკა, რიცხვი. გამოჩენილი მოაზროვნეები არც თუ უსაფუძვლოდ თვლიან, რომ დვთისაგან ბოძეული მუსიკა არის სამყაროს საფუძველი, რომელსაც პითაგორელები სფეროთა პარმონიას უწოდებდნენ. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ფიზიკასაც კი ამ ფენომენთა დვთაებრივი ბუნების აღიარებისკენ აქვს სიმპათიები.

მუსიკის მსგავსად, საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობაც, რომელიც დამკვიდრებულია უანგარო ინტენსიური შრომის შედეგად, მარადიულ დვთაებრივ ფენომენად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ დვთიურ ჩამონათვალში უნდა მოიაზრებოდეს ყოველთვის. მოქალაქეთა მიერ აუნგაროდ შეძენილი ქონების მტკიცედ დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების საზრუნავი უნდა იყოს დღენიადაგ. მოწესრიგებული საკუთრება და მასზე აღმართული წარმოებრივი თაოსნობა ადამიანის ნორმალური ცხოვრების, მისი თავისუფლების გარდაუვალი პირობაა.

დვთისგან მომადლებული მუსიკალური უნარის მქონე 15

ინდივიდს, ვისაც ჩაკრულოს და ქართული მრავალეამიერის გოლიათური გუგუნი, მარადისობის მომგვრელი სულისკვეთება განუცდია, ვინც სენაკის მომღერალთა გუნდის – ქალთა სამეულის დვთაებრივი სიმღერების მოსმენით დამტებარა, ვისშიაც გურული ხალხური მუსიკის სულისშემძრელ ჰანგებს მეომრული შემართება აღუძრავს, დამეთანხმება, რომ მის არსებაში ეაგროსის ვაჟის თრაკიელის მომღერლის თრფეოსის განცდები ბობოქრობს. ორფეოსმა გამოიგონა ლექსის წერა და მუსიკა, რომლის ჰანგები მცენარეთა ტოტებს არხევდა, ქვებს აცეკვებდა და მხეცებს ათვინიერებდა. იგი მონაწილეობდა არგონავტების ლაშქრობაში და თავისი ჯადოსნური სიმღერებით დიდ სამსახურს უწევდა მათ. ერთ-ერთი მითის თანახმად, სწორედ მან სიმღერით აჯობა სირინზებს, განარიდა არგონავტები სირინზების კუნძულს და დაღუპვისგან იხსნა ექსპედიცია. მკლევარები ეაგროს იძერიულ-კავკასიური მოდგმის ნაშერად თვლიან სავსებით დასაბუთებულად. ვფიქრობ, ეაგროსი და ეგრისი ერთი არსის ამსახველ ცნებებად უნდა მოიაზრებოდეს უდავოდ.

ღმერთმა კაცი შექმნა „ხატად თვისა”, ამიტომ როგორც ღმერთია თავისუფალი, ასევე ადამიანიც შექმნა მან როგორც თავისუფალი არსება და ასეთი უნდა იყოს იგი ყოველთვის. ადამიანი ცხოვრობდა დვთისაგან ბოძებულ სამოთხისა და ნეტარების სამყაროში, სადაც არ იყო ბოროტება, არ იყო სიკვდილი. მატერიალური სამყარო მაშინ არ არსებობდა, მამაზეციერმა კაცთა მოდგმა „...დაადგინა სამოთხეს განცხრომისასა”.

მაგრამ, როცა ეშმაკმა ლიუციფერმა შეაცდინა „დვთის ხატი”, რომელმაც დაარღვია ღმერთის მიერ შთაგონებული მცნება, მოწყდა და დვთის უშუალო ჭვრების და დვთაებრივ სამყაროს საერთოდ. ამით ბოროტი ძალა დაუპირისპირდა ღმერთს და კაცობრიობის დაღუპვა გადაწყვიტა. სიმბოლურად სამოთხეში იდგა ორი ხე – ცხოვრების ხე და ცნობადობის ხე. ცხოვრების ხეს ფლობდა ადამი. მას გააჩნდა ღმერთის ჭვრების უნარი, მაგრამ არ ჰქონდა ინტელექტი, ე.ი. კაცობრიობას იმხანად არ გააჩნდა ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარი, ამიტომ დაიქვემდებარა იგი ლიუ-

ციფერმა, რომლის ზემოქმედებამ უშუალო ჭვრების გზას ააცდინა და მეორე გზით, შემეცნების გზით წაიყვანა, ამან მოწყვიტა ადამი ღმერთს და მატერიალური ყოფის დონეზე ჩამოაქვეთა. სიმბოლურად ეს სამოთხიდან გამოძევებას ნიშნავდა.

ღმერთი ეკითხება ადამს – ვინ მოწყვიტა ნაყოფი ცნობადი სისგანო, ადამს შერცხვა და დაიმალა. მანამდე მას არ ჰქონდა სირცევილის გრძნობა, არც ევას გააჩნდა იგი. ეს იყო კაცობრიობის უმანკო ყოფიერების ხანა. ღმერთმა გააძევა სამოთხიდან ადამი, რომელმაც დაკარგა ღმერთისგან დადგენილი სამოთხე, სხეულიც შეიძინა და სიკვდილის არსებობაც გაიგო პირველად. მანამდე ადამს და საერთოდ, კაცობრიობას არ ჰქონდა სხეული, იგი სულიერად არსებობდა მხოლოდ.

მიუხედავად ამისა, ღმერთმა „თავისი ხატი” არ დაივიწა მთლიანად. მას წინასწარმეტყველები, რელიგიის შემოქმედები გამოუგზავნა მოსეს, ნოეს, აბრაამის, იაკობისა და სხვათა სახით. მართალია, მან კაცობრიობასთან უშუალო კავშირი გაწყვიტა, მაგრამ რელიგიის მეშვეობით ურთიერთობას მაინც აგრძელებდა ჰეშმარიტი ღვათებრივი სულისკვეთებით.

სამოთხეში ყოფისა იქ სულიერ მდგომარეობაში არსებობას, რომელიც ლიუციფერმა თავისი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია. ეს უკანასკნელი რელიგიურ სიმბოლიკაში გველის სახით არის წარმოდგენილი. სინამდვილეში რაიმე სახეობის ქვეწარმავალი იქ არ არსებობდა, მაგრამ უდავოდ იყო შხამით აღვსილი ბოროტებისა და სიკვდილის სათავე, რომელიც რელიგიაში გველის სიმბოლიკით გადმოსცა.

ქრისტიანულ დვთისმეტყველებაში სიმბოლურად გადმოცემულია ისეთი ჰეშმარიტებები, რომელიც გონებისათვის მოუღებელია. საქმე ისაა, რომ არსებობს ჰეშმარიტებები, რომლის გაცნობიერება გონების გზით შეუძლებელია. მაგალითად, ქრისტეს ორადი ბუნება; მოძღვრება მისი დვთაებრივი და კაცური არსის შესახებ, დვთაებრივი და კაცური ნების განუყოფელი ერთიანობის მოაზრება მის არსებაში და სხვა. ქრისტიანული გაგებით ეს არის ისეთი ჰეშმარიტებები, რომელთაც გონება ვერ იმჟნებს,

მხოლოდ გამოცხადებით შეიძლება მათი აღქმა, მიუხედავად ამისა, საამქვეყნიო კოფიციენტის გათვალისწინება უცილობლად უნდა მოხდეს.¹

ბიბლიის ამ თითქოსდა გულუბრყვილო ლეგენდიდან ღრმა ინტუიციის მომცველი ცხოვრებისეული სიბრძნეც გამოსჭივის. მასში ჩასაიდუმლოებულია მოაზროვნე გონების ცნობისმოყვარეობა ცოდნისადმი. შეცდომა, რომელიც ადამმა ჩაიდინა, გამოხატავს ცოდნისადმი კაცთა მოდგმის დაუოკებელ სწრაფვასაც. ცოდნისადმი წყურვილი სამოთხესაც კი აკარგვინებს მოაზროვნე გონებას, რომელიც პროგრესისკენ მიისწრაფის. აუცილებელია სწორედ პროგრესის ასპექტითაც მოიაზრებოდეს ამ ლეგენდის რაციონალური შინაარსი.

გამოცხადებისა და წმიდა ნათელ ხილვითი შემეცნების მნიშვნელობა განუზომდა დიდი იყო კაცობრიობის უხანგრძლივები სანის გასწვრივ. მაგრამ უმთა მსვლელობაში სამყაროს მოვლენების საიდუმლოებითი ძიების პრიორიტეტი გონებითი, ანუ ცნებითი აზროვნების მიღწევებმა დაიმკიდრა. ნათელ ხილვითი იყო კოლხების, ტროელების, პელაზგების იგავმიუწვდომი კულტურული მემკივდრეობა, რომელიც წინ უსწრებდა ძველ ელინურ სულიერ სამყაროს. დიდი გერმანელი ფილოსოფოსის შელინგის მტკიცებით, ეს სულიერი სიმდიდრე წარმოადგენდა ნაყოფს საბერძნეთის განვითარების პელაზგური ხანისა, რომელსაც იგი ნათელ ხილვითი სიბრძნის ეპოქას უწოდებდა. როგორც ირკვევა, მითების შემქმნელები არსებითად პელაზგები იყვნენ. პომეროსმა, პესიოდებმა და სხვა დიდმა ბერძნებმა მოაზროვნებოდა სისტემატური ხასიათი მისცეს მათ.

ძველი სამყაროს მკვლევარები შემთხვევით როდი უწოდებენ ოქროს საწმისს კლასიკურ გრალს. საქმე ისაა, რომ მისტერიული სიბრძნის სამშობლოდ კოლხეთი ითვლებოდა ოდითგანვე. შეასაუკუნეებში კი კავკასიას უწოდებდნენ ფილოსოფოსთა მთას. მათვის კაგაბასია იყო ზეციური რწმენის მადანი. ქრისტიანულ კრცლად იხ. ზ. გამსახურდია, სამყაროს ეპოლუცია ანუ კაცობრიობის სულიერი ბიოგრაფია (ლექცია), თბ., 1997.

დვთისმოსაობაში ეს მადანი, ეს მთა გრალის სახელწოდებით იყო ცნობილი. გრალი წარმოადგენდა წმიდა თასს, რომელიც მაცხოვარს უკანასკნელი სერობის დროს ედგა წინ დგინით სავსე მკვლევართა მტკიცებით იგი დ. აღმაშენებლის საქართველოში იქნა გადმოტანილი, სადაც არის საწყისი სულიერი სიბრძნისა. გრალის თასი წარმოადგენდა ქრისტიანობის უმაღლეს სიმბოლოს, რომელმაც ადგილი დაიმკვიდრა საქართველოში. სწორედ ამ ქვეყანაში მეფობდა მეფე-ხუცესი იაონე, რომელიც ერთდროულად აერთიანებდა მეფესაც და სასულიერო პირსაც. შეთხევებით არ უდგას გელათის ფრესკაზე აღბეჭდილ დ. აღმაშენებელს ხელზე ეკლესია. იგი ერთდროულად იყო დიდი მეფე და დიდი დვთისმეტყველი (ზ. გამსახურდია).

დ. აღმაშენებლის საქართველოში ხელისუფლების მთავარ პირს წარმოადგენდა მეფის მამად წოდებული ჰყონდიდელი. ჰყონდიდის ეპისკოპოსი აერთიანებდა სასულიერო და პოლიტიკურ ძალაუფლებას. ცხადია, მეფე იყო აბსოლუტური მონარქი, მაგრამ ხელისუფლების საქმეებს ჰყონდიდელი განაგებდა. ამიტომ იყო, რომ დავითის ისტორიკოსი მას დიდი მუხის კულტის სახით მოიხსენიებდა. დავითის სახელმწიფოში საეკელსიო ეპარქიის ამ ინსტიტუტის ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო. იგი წარმოადგენდა ანტიკური საბრძნეოთისა და ქრისტიანული საქართველოს სიბრძნეთა ორგანული შერწყმის მეტად ნიშანდობლივ გამოხატულებას.

დ. აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის შესახებ მოგვითხოვთ: „რომელიცა წინამდებარე არს ყოველი აღმოსავლეთისა მეორე იერუსალიმად“. ამასთან, სწორედ გელათი იყო ელინური ანტიკური სიბრძნის უდიდესი კერა ათენის ქრისტიანული წესებით გამამდიდრებელი. თანაც „ფრიად უაღრეს მისსა“, ე. მასზე უფრო დიდიც. ოქროს საწმისი ანტიკურ ეპოქაში ისეთივე შინაარსის მატარებელი იყო, როგორიც შეასაუკუნეებში ფილოსოფიური მადანი და კლასიკური გრალი.

მაგრამ ახლა ისევ გამოცხადებითი უნარისა და ნათელ ხილვითი აზროვნების პრობლემას დაგუბრუნდეთ. ქურუმებისა

და, საერთოდ, განსაკუთრებული წინასწარმეტყველური სიბრძნით დაჯილდოებული ადამიანების გარდა ხალხთა მასების ბევრი წარმომადგენელი ფლობდა ინტუიციურ უნარს, რომელსაც კარგად უხამებდა გონებისმიერ შესაძლებლობებს: ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ კაცთა მოღმა ჩაბნელებულ შუაქბში ხეტიალს თავს ვერ დაადწევდა. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ინტუიციური უნარის როლი იზრდება, მაგრამ იგი ინტელექტუალურ დასაბუთებასთანაა შერწმული და ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ პირობებში მოქმედებს.

ცნობილ მკვლევართა დამაჯერებელი მტკიცებით ნათელებილვითი აზროვნების პრობლემა მეტად ნიშანდობლივი სიღრმითა და მრავალფეროვნებით იდგა პელაზგურ სამყაროში, მაგრამ უძველეს საქართველოშიც იყო მისი განვითარების დონე ძალიან მაღალი. ამის ერთ-ერთი უცილობელი მოწმობაა გენიალური ბალადა მოყმისა და ვეფხის შესახებ, რომელიც ხევსურეთის იდუმალი მთების მრევლში წარმოიშვა, როგორც დაკარგული ატლანდისის გვიანდელი ინტუიციური გამოძახილი. ამ ლექსში გამოცხადება სიზმრის ფორმაშია განვითარების მოყმის მშობელი დედის გმირული ტრაგედია. თუ მისი შინაარსის წიაღისეულ გააზრებას მოაზროვნე გონება მაღალკვალიფიციურად შეძლებს, უდავოდ დაინახავს მსოფლიო ფოლკლორისტიკულ განუმეორებელ და სწორუპოვარ ნათელხილვით შედევრს, რომლის მსგავსი ჯერ არ ჩანს მატიანეთა კაბადონზე. ლექსის ფინალი ასეთია:

„აი ამ სიზმრებს ხედავდის,
გამოედვიძის მტირალსა,
ხან იფიქრებდა: „უდევდოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხის დედაი
ჩემებრ დღედადამ სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდა,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,

იმასაც ბრალი ექნების

უწყალოდ ხმლით დაჭრილისა”.

ნათელხილვითმა აზროვნებამ ჰეშმარიტების ძიების ას-პექტით განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია მილეთელთა ფილოსოფიური სკოლის მოღვაწეობაში. მასში ნათელხილვითი აზროვნება, გარკვეული ზომით, შერწყმული იყო ინტელექტუალური შემეცნების მძლავრ ნაკადთან, მაგრამ განსაკუთრებულ როლს იქ მაინც ინტუიციური უნარი ასრულებდა. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს საბერძნეთში ფილოსოფია და პოლიტიკა განუყოფელ მთლიანობაში მოიაზრებოდა. ფილოსოფოსი, ე.ო. ბრძენი ეწოდებოდა არა მხოლოდ სამყაროს აგებულებისა და მისი არსებობის შესახებ შორსმჭვრეტელობითი უნარის მქონე ადამიანებს, არამედ ვინც იმავდროულად თავისი ქალაქი-სახელმწიფოს კანონმდებლობას ქმნიდა. ცნობილია, რომ ძველი მსოფლიოს პრიველი ფილოსოფოსი თალესი ადიარებული პოლიტიკის იყო. პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას გულისხმობდა იმთავითვე. სახელმწიფოს ფილოსოფიურად მოაზროვნე ადამიანები უნდა განაგებდნენ. ათენელთა კანონმდებელ სოლონის შემოქმედებაში ფილოსოფია და პოლიტიკა განუყოფელ ერთიანობას წარმოადგენდა. ფართო პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა ემპიდოკლე და ბევრი სხვა ფილოსოფოსი. სწორედ ღრმა ინტუიციურმა უნარმა მიიყვანა ემპიდოკლე იმ დასკნამდე, რომ მთვარე მზისგან ნასესხები სინათლით ანათებს. აქ ჩვენ მხეველობაში გვაქვს არა ფილოსოფიური დებულებებით გამოტენილი ადამიანთა თავები, არამედ ფილოსოფიურად მოაზროვნე გონება.

მილეთელთა ფართო ფილოსოფიურ აზროვნებას დიდად შეუწყო ხელი ამ ქალაქი-სახელმწიფოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ. იონიის ზღვასა და სხვა მახლობელი ზღვების კუნძულებზე გაშენებული ბერძნული ქალაქების მცხოვრებთა ძირითად პროფესიას წარმოადგენდა კომერციული საქმიანობა, რომლითაც ისინი სხვა ხალხებთან მჭიდრო კაგშირურთიერთობას ამყარებდნენ. იონიის ვრცელ სიგრცეებში გადიოდა აღმოსავლეთსა და

დასავლეთს შორის დამაკაგშირებელი გზები. ქალაქების პოლი-
ტიკური წყობილება უპირატესად ბერძნული მონათმფლობელური
დემოკრატია იყო, რომელსაც ვაჭართა კლასი განაცხდა. ტირანიაც
ამ კლასის მეთაურობით დგინდებოდა: სახელმწიფოთა შორის
ურთიერთკავშირის ძირითადი ფორმა ზღვაოსნობა იყო.

ვაჭართა კლასის და გნესაკუთრებით კი ნეგოციანტების მიერ დაგროვილმა მატერიალურმა სიმდიდრემ ამ კლასის გარკვეულ ნაწილს საშუალება მისცა განთავისუფლებულიყო უშუალოდ კომერციული ოპერაციებისგან და სულიერი ცხოვრებისკენ აედო გეზი. შექმნილმა ვითარებამ ჟამთა მსვლელობაში საბერძნეთი მეცნიერებისა და კულტურის სწორუპოვარ კერად აქცია. აქ ნათელდებილობამ აზროვნებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. მაღალი ინტეიციური უნარი მათ საშუალებას აძლევდათ პასუხი გაეცათ ეპოქის მოთხოვნებზე.

ნათელ ხილვითი აზროვნებისა და ინტელექტუალური შემცნების შერწყმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ა. სმითის ეკონომიკური მოძღვრება მისი ნაშრომი: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“. სხვა მოაზროვნებისაგან განსხვავებით, ა. სმითი ეკონომიკური ყოფის გაცნობიერების ამოსავალ პრინციპად რელიგიურ კონცეფციამდე ამაღლებულ ზეობრივ ფენომენს მიიჩნევდა. შოტლანდიელ ბრძენს ჰქონდა სასწაულებრივი განზრახვა და დაუოკებელი მიზანსწრაფვა, რათა კაცობრიობისათვის შეექმნა მთელი საზოგადოების განვითარების ამსახველი ყოვლისმომცველი ერთიანი სოციალური თეორია, რომლის შეურყმებელ პოსტულატად იგი უმაღლესი მორალის კანონებს თვლიდა. ცხადია, ასეთი კანონები რელიგიური იდეებიდან იდებდა სათავეს. ამ პრობლემას მან მიუძღვნა ფუძემდებლური ნაშრომი: „ზეობრივ გრძნობათა თეორია“, რომელიც ა. სმითის ეკონომიკური მოძღვრების სათავეებთან დგას, როგორც მაღალმორალური დგომებრივი პოსტულატი. მისი მტკიცებით, ადამიანური არსების ზეობრივი სამყაროს ამოსავალი პრინციპი არის სიმპათია, ანუ „მეორე პირის მოდვაწეობაში მონაწილეობის მიღება“. პიროვნების ბუნებაში როგორი ხარისხის ეგოიზმიც არ უნდა არსებობდეს,

მისოვის მაინც არის დამახასიათებელი სხვა პიროვნების მოქმედებაში მონაწილეობის სურვილი. ასეთი მისწრაფება არის სიმპათია, ადამიანთა ბუნების თანაგრძნობითი მხარე.

ბრიტანული მორალის ფილოსოფიის ტრადიციებიდან გამომდინარე, ა. სმითი დაეყრდნო სამყაროს პროგნოდენციალური (განგების ნებით ჩამოყალიბებული) წყობის იდეას, სადაც ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს შემქმნელის ინსტრუმენტი. ადამიანი ხელს უწყობს იმ პროცესებს, რომლებიც მას ხშირ შემთხვევაში არა აქვს წინასწარ განზრახული. სმითის ეკონომიკა და ეთიკა ინტეგრირებულია საკუთარი თავის მართვის ან საკუთარ თავზე დაყრდნობის პრინციპით, რაც ხორციელდება „დაქავერის“ მონომიკაში.

ა. სმითის ეთიკის თეორია ადამიანს ახასიათებს, როგორც
მეგობრული გრძნობებით აღჭურვილ არსებას. ამით სხვებისგან
დებულობს თანაგრძნობას. როცა სიმპათიით ვართ განწყობილი
სხვებისადმი, ჩვენ ამით ვიწონებთ მათ გრძნობებს. საზოგადოების
წევრები, რომელთაც სურ მიაღწიონ ასეთ მოწონებას, ეცდებიან
იყვნენ ამის დირსნი. კეთილმოსურნეობა შეიძლება მივიჩნიოთ
მოქმედების ერთადერთი პრინციპად და დათიურ სამყაროში.
ა. სმითის აზრით, სიმპათია და მოწონების სურვილი ადამიანს
უბიძგებს დაძლიოს ეგიოზმი და აღიჭურვოს კეთილმოსურნე
გრძნობებით. არა ადამიანური ფაქტორი, არამედ „ბუნების ეკონო-
მიკა“ აძლევს ადამიანს იმ წესების განხოციელების სურვილს,
რომლის საშუალებითაც ბუნების მიზნები მიიღწევა. ბუნების
მიზანი კაცობრიობის ბედნიერებაა. ჩვენ მას ხელს ვუწყობთ, თუ
მორალური პრინციპების კარნახით ვმოქმედებთ. ყოველი ადამიანი
პრივატ რიგში ზრუნავს საკუთარ თავზე და ყველაზე უკეთესად
შეუძლია მას შეასრულოს ეს ფუნქცია. მიუკერძოებელი დამკ-
ვირვებელი მოიწონებს ასეთ საციიელს; სიმპათიით განეწყობა
იმათ მიმართ, ვინც სერიოზული სიბეჯითით ცდილობს საკუთარ
თავს მოუტანოს ბედნიერება, ვიდრე სხვას. პიროვნებას შეუძლია
შეჯიბრება სიმდიდრის შექმნაში. ამისათვის იგი დაძაბულად
უნდა საქმიანობდეს, რათა გაუსწოოს კონკურენტს, მაგრამ ეს

პროცესი აღტაცებას იმსახურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კეთილგონიერებისა და სამართლიანობის ფარგლებში მიმდინარეობს. კაცობრიობა ნაკლებ პატივს სცემს სიმდიდრის დაგროვების გზაზე დამარცხებულ ხალხს, როცა გამდიდრება შეიძლება უსამართლობის გარეშეც.

მაგრამ სიმდიდრეს აქვს მაცდუნებელი თვისებაც, რომელიც წარმოიშობა კაცობრიობის სამეურნეო ცხოვრებასთან ერთად. მდიდრები მოიხმარებ მეტს ვიდრე დარიბები. ეს მათი ბუნებრივი ეგოიზმითა და სიხარბითაა გამოწვეული. თუმცა, ისინი საკუთარი კომფორტისათვის იღწვიან, რასაც ათასობით მუშის შრომის გამოყენებით ისახავენ მიზნად. ამ გზაზე მათ მიუძღვით „უხილავი ხელი”, რომლითაც საზოგადოებრივი საქმე კეთდება.

ეკონომიკური ყოფის სფეროში შოტლანდიული ბრძენი მამოძრავებელ პრინციპად თვლიდა ეგოიზმს, რომელიც მეურნეობრივ ცხოვრებაში ადამიანთა შინაგანი მოთხოვნებიდან გამომდინარე, მხოლოდ პირად ინტერესებისა და ინიციატივას ისახავს მიზნად. მის მოძღვრებაში ეგოიზმი და ალთრუიზმი ერთმანეთში გადადიან. მათი შინაარსი განუყოფელ ერთიანობაში წარმოგვიდგება.

XVIII საუკუნეში ი. ნიუტონის გავლენით გავრცელდა სამყაროს შემცნების ახალი იდეა, რომლის მიხედვით გარემომცველი უსასრულო მსოფლიო არის ჰარმონიულად მოწესრიგებული უნივერსალური მექანიზმი. ეს იდეა იქცა ა. სმითის შინაგანი შთაგონების წყაროდ. თუ სამყარო საერთოდ უნივერსალურად მოწესრიგებული და ერთიანი ორგანიზმია, მაშინ, სმითის აზრით, კაცთა მოდგმაც, როგორც მისი ნაწილი, ასეთივე უნდა იყოს. მას მიაჩნდა, რომ მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავსი როლის შესრულება საზოგადოებაში თავისუფალ კონკურენციას, ე.ი. „უხილავი ხელის” მექანიზმს შეუძლია. ამით ა. სმითმა „ლესევერ დოქტრინა” მსოფლიო მეურნეობის განვითარების უნივერსალურ პრინციპად გამოაცხადა. ეს პრინციპი „მორალისტური ნიუტონიზმის” სახელწოდებითაა ცნობილი. წონასწორობის ეკონომიკურმა თეორიამ, მორალისტურმა ნიუტონიზმმა”, ე.ი. ეკონომიკური თავისუფლების კონცეფციამ თავისუფალი კონკურენციის

ბატონობის ეპოქაში კი მსოფლიო მიზიდულობის კანონის როლი მთლად ვერ შეასრულა, მაგრამ ბევრის მხრივ მიუახლოვდა მას და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ საზოგადოება ფიზიკური სამყაროსგან სიღრმისეული განსხვავებული ფენომენია.

ინტეიციური აზროვნებისა და ინტელექტუალური შემცნების ურთიერთობას ა. სმითი მეტად რელიეფურად გადმოსცემს „ხალხთა სიმდიდრის” პირველი წიგნის იმ თავებში, რომელიც შრომის დანაწილებას ეხება. მესამე წიგნშიაც ნათლად იგრძნობა ასეთი ერთიანობის ნიშნები, სადაც შრომის დანაწილების ას-კექტით გაშუქებულია პრობლემის ისტორიოგრაფიული მხარე. აქ ა. სმითი ისე გადმოგვცემს ეკონომიკური ისტორიის საკითხებს, თითქოს მთელი ამ პროცესის უშუალო მონაწილე თვითონვე იყოს.

ახლა მოვუხმოთ ამონარიდს ა. სმითის ნაშრომიდან შრომითი სპეციალიზაციის საკითხებს რომ ეხება. იგი წერდა: „დაუკვირდით სულ უკანასკნელი ხელოსნის ან დღიური მუშის საოჯახო ქონებას კულტურულ და აუგავებულ ქვეყნებში და თქვენ შეამჩნევთ, რომ შეუძლებელია იმ ადამიანთა რიცხვის ჩამოთვლაც კი, რომელთა შრომა, თუგინდ მცირე ზომისაც, საჭირო იყო, რათა პირველთ მისცემოდათ ეს ქონება. შალის ხალათი, მაგალითად, რომელსაც დღიური მუშა იცვამს, რაგინდ უხეში და უბრალო იყოს იგი, პროდუქციად მრავალი მუშის შეერთებული შრომისა. მეცხვარემ, მატყლის მჩეჩავმა, მღებავმა, დამნავმავმა, მრთველმა, ფეიქარმა, შალის გამომყანმა და მრავალმა სხვამ, – ყველამ უნდა შეაერთოს თავისი სხვადასხვა სპეციალობა ასეთი უბრალო პროდუქტის დასამზადებლადაც კი და, გარდა ამისა, რამდენ ვაჭარსაც და გადამზიდავს უნდა ეშრომა იმისათვის, რომ მასალა მიეტანა ერთი დარგის მუშიდან სხვებამდე, რომელებიც სშირად ქვეყნის ფრიად შორეულ ნაწილებში ცხოვრობენ! რამდენი სავაჭრო და სანაოსნო საქმიანობა, რამდენი, კერძოდ, გემთმშენებელი, მეზღვაური, მეაფრე, მეთოკე უნდა ყოფილიყო საჭირო იმ სხვადასხვა მასალის მოსაგანად, რომელსაც მდგრავი ხმარობს და რომელიც სშირად დედამიწის უშორესი კუთხებიდან მოიზიდება?

და, შემდეგ, რაოდენ მრავალგვარი შრომაა საჭირო იმ მუშიდან სულ უმცირესი მუშის სამუშაო იარაღის დასამზადებლად? ნუ-რას ვიტყვით როულ მექანიზმებზე, როგორიცაა მეზღვაურის გემი, საფქვავი წისქვილი ან საფეიქრო დაზგა, — განვიხილოთ რაოდენ მრავალფეროვანი შრომაა საჭირო იმ ფრიად მარტივი მანქანის — მაკრატლის — დასამზადებლად, რომლითაც მეცხვარე მატყულს კრეჭს. მემაღაროებ, ლითონის სადნობი ღუმელის მშენებელმა, ხის მჭრელმა, ნახშირის მრეწველმა, რომელიც ნახშირს ამზადებს სადნობი ქარხნისთვის, აგურის მკეოებელმა, კალატოზმა, სადნობ ღუმელთან დაყენებულმა მუშამ, ქარხნის მშენებელმა, მჭედელმა, მედანემ — ყველამ თავისი ხელობა უნდა შეასრულოს მაკრატლის დასამზადებლად...”¹

ეკონომიკურ მოძღვრებათა, ისტორიოგრაფიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი მოაზროვნე გონება, რომელიც ინტელექტუალური შემეცნების მაღალ დონეს ესოდენ ბუნებრივად უთავსებდეს ნათელ ხილვითი აზროვნების დათავსებრივ კულტურას. აქ ყველაფერი ისეთი უშუალობითაა აღბეჭდილი, რომ თითქოს ავტორი მამაზეციერის მიერ მომადლებული უნარის წყალობით თვითონვე მოძრაობდეს მსოფლიო ეკონომიკური პროცესების წიაღისეულ სტრუქტურებში.

ინტუიციური უნარისა და ინტელექტუალური შემცნების
განუყოფელი ერთიანობის გაცნობიერებამ უნდა უკარნახოს
მოაზროვნე გონებას, რომ თავიდან მოიცილოს მცდარი შეგონება,
თითქოს, ერისთვის მთავარია მხოლოდ მშვიდობა. დიდი ადამი-
ანები არ უარყოფენ მშვიდობას, როგორც ადამიანური ცხოვრების
უძვირფასებს განძს, მაგრამ იმასაც აღიარებენ, რომ მასზე უფრო
ძვირფასი თავისუფლებაა. ვინც ფიქრობს, რომ მრავალრიცხვანი
ერები მაინც აღასრულებენ თავიანთ დამპყრობლურ ნებას და
წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს, მონური ფსიქოლოგიით
შეპყრობილ ადამიანთა დასილოსებული თავები შეიძლება იყოს
მურალი: სრულყოლობის მიზნებს შეცველთვის თვალწინება უნდა
ა. სმითი, გამოკვლევა ჟალხთა სიძრიდოს შეცვინა და მასში შესაბამის
ტ. I, თარგმანი ინგლისურიდან პროფ. ფ. გოგიაშვილის მიერ, თბ., 1938, გვ.
14-15.

ედგას გამოჩენილ ადამიანთა ბრძნეული შეგონება: პრინციპულ ბრძოლაში მხოლოდ მოწინააღმდეგის ლანძღვა-გინებით ჯერ არავის გაუმარჯვია. ოცნებიურ კონცეფციამდე ამაღლებული განმარტოებული ინდივიდების თვითგანწირვის გარეშე თავისუფლების მიღწევა გამორიცხულია. განმარტოება კი უძლიერესი ადამიანების ხვედრია. საქმე ისაა, რომ ვინც მოვლი თავისი არსება ანგარებითი ხერხებით ქონების მოხვეჭას შეალია, მას არ შეიძლება პქონდეს სულიერი ცხოვრების სიღრმეებში წვდომის უნარი. გმირული საქმეების ჩადენა გმირული სულის ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ. საერთოდ, უმაღლესი მორალის ჩამოყალიბება რელიგიური ცნობიერების აღრეშე არსებითად შეუძლებელია.

ანგიური მსოფლიოს ქალაქ-სახელმწიფოებში არეოპაგის დაკომპლექტების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნათელ ხილვითი გონების ადამიანებს. ისინი პოლიტიკურ მოღვაწეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. საერთოდ პოლიტიკა და ინტუიციური სიბრძნე განუყოფელ ერთიანობაში იყო იმსახად. თანამედროვე პირობებშიაც, ინტელექტუალურ შემეცნებასთან ერთად, სწორედ ინტუიციურმა უნარმა უნდა უკარნახოს პოლიტიკოსს, რომ რასაც ფიქრობს ყველაფერი არ გამოიტანოს სააშკარაოზე. სიტუაციიდან გამომდინარე ბევრი რამ უნდა გაასაიდუმლოს და გამოიყენოს საბოლოო გამარჯვების მიღების მიზნით, მისთვის ენა იმიტომ კი არ მიუცია მამაზეციერს, რომ ყველაფერი საჯაროდ განაცხადოს, არამედ იმიტომ, რომ საკუთარი აზრები ზოგჯერ დაფაროს საჭირო შემთხვევაში გამოსაყენებლად. პოლიტიკაში შეცდომას დანაშაულზე უფრო მეტი უარყოფითი შედეგი შეიძლება მოყვას.

ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა, რომელიც პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ან საერთოდ გაურბის ასეთ ფუნქციას, ნებით თუ უნებლივდ, ქვეყნის დაუმინებელ მტერთა ბანაკში შეიძლება აღმოჩნდეს. მიმყურადებლის პოზიციაზე დგომით იგი დიდ ზიანს მოუტანს სამშობლოს და პირველ რიგში საკუთარ თავსაც. კორუმპირებული ძალების ბრძოლა ხალხის ინტერესების გამომხატველი ეროვნული ენერგიის წინააღმდეგ მეტად საშიში

აქციაა, რომელსაც პროგრესული საზოგადოებრიობა შეურყეველი სიმტკიცით წინ უნდა აღვდგეს ყოველთვის.

ინტუიციური აზროვნებისა და ინტელექტუალური შემცნების ერთიანობის გაცნობიერება იმთავითვე ნიშნავს საჭირო ზომით რელიგიურ ჭეშმარიტებათა აღიარებას, იმის გათავისებას, რომ ინტელექტუალური აზროვნება ჯერხანად ტრანსცენდენტულ მოვლენებს ვერ წვდება თავით ბოლომდე და საჭიროა უფრო მაღლა მდგომი ინტუიციური უნარის გააქტიურება. მართალია, ათეიისტური მოძღვრების თავზარდამცემმა პროპაგანდამ და უდმერთობის ძალდატანებითი დანერგვის მცდელობამ დიდად დააზიანა ქართველი ერის მაღალმორალური კომპლექსი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერაფერი მოუხერხა მას და ეს იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი სისხლხორციელად დავთისმოსავი და შრომისმოყვარე ხალხია. „შრომისმოყვარება ქართველ კაცს უხვად აქვს მომადლებული. იგი ადგილის კაცია“ (ილია).

ინტუიციური უნარის უგულებელყოფის გამო, ხშირ შემთხვევაში, ელიტარული კადრების შერჩევა ხდება გარეგანი ნიშნის მიხედვით. მთელი ყურადღება სპეციალობის დარგში დაგროვილი ცოდნის ათვისებას ექცევა მხოლოდ და ამ დროს უყურადღებოდ რჩება ინტუიციური უნარის მნიშვნელობის შეგნება. ახალი თაობის აღზრდისა და შეფასების პროცესში სპეციალობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნათელ ხილვით აზროვნებასაც, ახალგაზრდობის ინტუიციური უნარის გამოვლენისა და გამოყენების საკითხებს. კარგი იქნება, თუ რელიგიურად განსწავლით კადრები იმოღვაწებენ სახელმწიფო იურიდიკური მართვის სტრუქტურებში. ქართველი ერის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი უცილობლად მოითხოვს ამას. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ბოლო პერიოდში ყურადღების მიქცევა უნარჩვევების პრობლემისადმი, ვინდლო ინტუიციური უნარით დაჯილდოებული რამდენიმე ინდივიდი გამოვლინდეს მაინც.

ინტუიციური უნარისა და ინტელექტუალური აზროვნების ერთიანობის თანმიმდევრულ გაცნობიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი ინტეგრალური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებ-

ბისა და განხორციელების პროცესში. ამ საქმიანობას რელიგიური დატვირთვაც უნდა ჰქონდეს უცილობლად. მამაზეციერის საიდუმლო ლაბორატორიაში გამოწრობილ ეკონომიკურ პოლიტიკას გაცილებით მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის. ვინც საერთოდ უარყოფს რელიგიურ-ზნეობრივ ჭეშმარიტებათა არსებობას, იგი ხალხთა მრავალმილიონიანი მასების მტრების ბანაკში აღმოჩნდება ნებსით თუ უნებლიერ.

საფუძვლიან გადასინჯვას მოითხოვს დირებულების ეკონომიკური თეორია. ინტეგრალური ასპექტით მისი გაცნობიერება თანამედორვე პირობებში სუბსტანციურ მნიშვნელობას იძენს. ახალი შინაარსით ადვისილი ეკონომიკური დირებულება უნდა დაედოს საფუძვლად სხვა ფუქტდებლურ კატეგორიათა ინტეგრალურ შემეცნებას. ყოველივე ამის გაცნობიერების გარეშე ინტეგრალური ეკონომიკური პოლიტიკა დიდ წარმატებას ვერ მოუტანს კაცთა მოდგმას.

ინტეგრალურ ეკონომიკურ პოლიტიკას მაშინ ექნება სასურველი შედეგი, როცა იგი ჩამოყალიბდება დირებულებისა და უწინარეს მრავალმხრიობის ამსახველ კატეგორიათა სისტემის წიაღისეული გაბაზრების გზით. ინტეგრალური დირებულება ერთერთი ცენტრალური პრობლემაა გამორჩეულ მეცნიერთა მხრივ თანმიმდევრულ გადაწყვეტის რომ მოითხოვს.

საქართველოს ეკონომიკა გლობალური
პრიზის შოტე

ნოდარ ხადური

გეონომიკის დოქტორი,
თსუ სრული პროფესორი

2007 წლის აგვისტოში ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების, ხოლო შემდეგ ევროპის, იაპონიის, აგსტრალიის, ახალი ზელანდიის, კანადის ბანკებმა კრედიტების გაცემა შეზღუდეს. მსოფლიო ეკონომიკაში ლიკიდურობის პრობლემა გაჩნდა¹. მრავალი ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა (მ.შ. აშშ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, დიდი ბრიტანეთის ცენტრალურმა ბანკმა და ა.შ.) ფულის ბაზარზე ინტერვენციები და კომურციული ბანკებისათვის უპრეცედენტო მოცულობის სესხების გაცემა დაიწყო, რათა ფულის ბაზარზე პრობლემები თავიდან აეცილებინათ. უკვე აგვისტოს ბოლოდან მსოფლიოს წამყვანმა კომურციულმა ბანკებმა სარჯების შემცირების პოლიტიკის განხორციელება დაიწყეს, რაც ნაწილობრივ თანამშრომელთა შემცირებასაც გულისხმობდა.

ერთი წლის შემდეგ, 2008 წლის 15 სექტემბერს ამერიკულმა საინვესტიციო ბანკმა Lehman Brothers-მა გაპოტრების შესახებ განაცხადა, რაც მსოფლიო საფონდო ბაზრებისთვის უარყოფითი სიგნალი იყო. საფონდო ბაზრებმა ამ მოვლენას მკვეთრი დაცემით უპასუხეს. მსოფლიომ გლობალური კრიზისის დაწყება აღიარა.

ცხადია, საქართველოს მცირე დია ეკონომიკა გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენას ვერ ასცდებოდა. მით უფრო, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება მნიშვნელოვნად იყო და არის დამოკიდებული უცხოურ ფინანსურ შემოდინებებზე, მაგრამ, მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისით საქართველოს ეკონომიკის მძიმე

¹ გლობალური ფინანსური კრიზისის ქრონოლოგია დაწვრილებით იხილეთ **Казакова Я. Хронология развития финансового кризиса, საიტზე:** <http://www.ratingcredit.ru/katalog/article/show/1360.htm>.

მდგომარეობის ახსნა შეუძლებელია. პოლიტიკურ ფონს, რომელიც 2007 წლის შემოდგომაზე დაიძაბა, რუსეთის 2008 წლის აგვისტოს აგრესია, გლობალური კრიზისი, ნავთობზე ფასების დაცვა და სხვა საგარეო თუ საშინაო პროცესები დაქმატა, რომლებიც საქართველოს ეკონომიკაზე 2008-2010 წლებში ზემოქმედებდნენ და მისი განვითარების მიმართულებას განაპირობებდნენ.

გასაგები მიზეზების გამო შეუძლებელია თითოეული ზემოთ ჩამოვლილი ფაქტორის უშუალო შედეგი განვსაზღვროთ, რადგან ამ მიზეზებიდან, რომლებიც მირთადად ეგზოგენურია, ზოგს აშკარად დადებითი (მაგალითად, ნავთობის ფასების მკვეთრი შემცირება 2008 წლის პირველ ნახევარში, დონორთა ბრიუსელის კონფერენციის მიერ გამოყოფილი უპრეცედენტო დახმარება), ხოლო ზოგს აშკარა უარყოფითი (მაგალითად, თავად კრიზისი ან უშუალო საომარი მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე, ქალაქების, სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განადგურება) შედეგი პქონდა. ამდენად, კონკრეტული ფაქტორის ზემოქმედების ზუსტი რაოდენობრივი შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია.

გლობალური ფინანსური კრიზისი ჩენ არა განყენებულად, არამედ ომისა და სხვა ფაქტორების კონტექსტით უნდა განვიხილოთ.

ამ და სხვა მიზეზების გამო, გლობალური კრიზისის ზეგავლენა საქართველოზე სხვა ქვეყნებზე ზეგავლენისაგან განსხვავდება. თუ გადავხედავთ საქართველოსა და მისი მეზობლების, აგრეთვე სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, აშკარად დავინახავთ, რომ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან (სადაც უკვე 2008 წელს დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის უარყოფითი ტემპები), სომხეთთან, რუსეთთან და უკრაინასთან შედარებით, საქართველოსათვის კრიზისის ზეგავლენა გაცილებით ნაკლებმტკივნეული აღმოჩნდა.

2008 წელს ესტონეთის ეკონომიკა 5,13%-ით, ლატვიის ეკონომიკა კი 4,55%-ით დაეცა, 2009 წელს დაცვმა დაფიქსირდა სომხეთში (14,4%), ესტონეთში (14,1%), ლატვიაში (18%), ლიტვაში (15%), მოლდოვაში (7,9%), უკრაინაში (15,1%), რუსეთში (7,9%), საქართველოში (3,9%)¹. აღნიშნული მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკა სხვა ეკონო-

¹ ინფორმაცია ეკონომიკური ზრდის ტემპების შესახებ იხილეთ მსოფლიო ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე www.worldbank.org

მიკებათა შედარებით კრიზისისადმი მდგრადობით გამოირჩევა. თუმცა, სამწუხაროდ, შედარებითი მდგრადობის მთავარი ფაქტორი არ არის ეკონომიკური სისტემის გამართვული მუშაობა ან სწორი ანტიკრიზისული პოლიტიკა. ემპირიული მონაცემების ანალიზი ადასტურებს მოსაზრებას, რომ კრიზისისადმი შედარებითი მდგრადობის ზრდა მეტწილად საგარეო ინგიციებითაა გამოწვეული.

1994 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში ზრდის შეუძლებელი პროცესი დაიწყო, რაც ეკონომიკური, მ.შ. ლიბერალური რეფორმების თანმიმდევრული გატარებით იქნა მიღწეული. 2007 წლის შემოდგომიდან საქართველოს ეკონომიკაში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. თუ 2003-2007 წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპები მუდმივად დადებითი და საკმაოდ მაღალი იყო, 2008 წლიდან სურათი მკვეთრად შეიცვალა.

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში ეკონომიკის ზრდის უარყოფითი ტემპები არ დაფიქსირებულა. არც ერთ კვარტალში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით¹ 2008 წლის მეორე ნახევრიდან 5 კვარტლის განმავლობაში (2008 წლის მეორე კვარტლიდან 2009 წლის მესამე კვარტლის ჩათვლით) ეკონომიკური ზრდის ტემპები უარყოფითი იყო, ხოლო 2009 წლის მე-4 კვარტალში ეკონომიკა მხოლოდ 0,3%-ით გაიზარდა.

2008 წლის განმავლობაში წარმოების მოცულობა შემცირდა: 4,4%-ით სოფლის მეურნეობაში, 1,5%-ით დამამუშავებელ მრეწველობაში, 11,1%-ით მშენებლობაში, 9,5%-ით ტრანსპორტში.

2009 წლის განმავლობაში კი წარმოების მოცულობა შემცირდა: სოფლის მეურნეობაში 5,7%-ით, დამამუშავებელ მრეწველობაში 8,4%, მშენებლობაში 2%-ით, ვაჭრობაში 17,8%-ით, სასტუმროებსა და რესტორნებში 6,9%-ით.


2010 წლის პირველ ნახევარში, მიუხედავად მიღწეული ზრდისა, ზრდის უარყოფითი ტემპები შენარჩუნებულ იქნა სოფლის მეურნეობასა და შინამეურნეობებში. 2007-2010 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა იხილეთ ნახ. 1-ზე.

2007 წელს საქართველო რეალურად იდგა “ჰოლანდიური დააგადების” საფრთხის წინაშე². ქვეყნაში პრივატიზაციის ფონზე

¹ www.geostat.ge

² პაპაგა კ., “საგალუტო ფარი” ჰოლანდიური სენის” ფონზე. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ოქტომბერი 2007.

მკვეთრად გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა. ლიბერალიზაციის, ეფექტური პირი კამპანიის და საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მხოლოდ 2007 წელს ინვესტიციების რაოდენობამ 2 მლრდ ლოდარს გადაჭარბა, საიდანაც დაახლოებით 40% ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და ენერგეტიკაზე მოდიოდა.

ნახ. 1. მშპ ზრდის ტენდენცია 2007-2010 წლებში¹

ომის, გლობალური ფინანსური კრიზისის, არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის, მ.შ. საკუთრების უფლებების დარღვევის გამო, 2008 წლიდან ინვესტიციებმა კლება იწყო და 2010 წლის პირველ ცხრა თვეში მისი მოცულობა 433 მლნ ლოდარამდე შემცირდა. 2007-2010 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველკვარტალური დინამიკა მოცემულია ნახ. 2-ზე.


2004 წლიდან 2008 წლის ზაფხულამდე საფალურო ბაზარზე ლარზე მოთხოვნა და შესაბამისად ლარის გაცვლითი კურსი იზრდებოდა, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ლარზე მოთხოვნა შემცირდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები საინტერესო განსჯის საგანს იძლევა. 2007 წლის განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის საფალურო ბირჟაზე² 1,347 მლრდ აშშ დოლარის გარიგება დაიდო, საიდანაც ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ 260 მლნ ლოდარი გაყიდა,

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge; 2010 წლის I და II კვარტლების ინფორმაცია წინასწარია.

² მონეტარული სტატისტიკა აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდიდან www.nbg.gov.ge

სანაცვლოდ იყიდა 918 მლნ ლოდარი. მიუხედავად ამისა, გაცვლითი კურსი მკეთრად მაღლდებოდა და თუ “ვარდების რევოლუციამდე” 1 აშშ დოლარი 2,25 ლარი დირდა, 2008 წლის ზაფხულში კურსი 1,35 ლარამდე შემცირდა (ანუ ადგილი პქონდა ლარის ნომინალურ გაძიორებას). უკვე 2008 წელს გარიგებების მოცულობა ბირჟაზე 2,3 მლრდ ლოდარამდე გაიზარდა, საიდანაც ეროვნულმა ბანკმა 1,2 მლრდ ლოდარი გაყიდა. საინტერესოა, რომ ამ თანხიდან 800 მლნ ლოდარი ეროვნულმა ბანკმა აგვისტოს შემდეგ გაყიდა, ხოლო მხოლოდ ოქტომბერ-დეკემბერში ეროვნული ბანკის მიერ გაყიდულმა თანხამ 600 მლნ ლოდარს გადაჭარბა.


როგორც ჩანს, გლობალურმა კრიზისმა და რაც მთავარია, რუსეთის აგრესიამ უვლებელ დიდი დარტყმა ქართული ვალუტისადმი და ადეკვატური პოლიტიკისადმი ნდობას მიაყენა. მოსახლეობამ ლარში არსებული დანაზოგების სასწრაფო წესით დოლარში გადაყვანა დაიწყო.



ნახ. 2. ყოველკვარტალური პირდაპირი უცხოური

ეროვნულნაცნობების შემთხვევაში მდგრადი ანუ მდგრადი მხოლოდ აგვისტოში დახლოებით 300 მლნ ლოდარით)¹, რის გამოც 2008 წლის ზაფხულში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანაზოგების სამსახურის ვებგვერდიდან www.geostat.ge წო-

ნასწორული გაცვლითი კურსის ჩამოყალიბების შესახებ, კერძოდ, თუ მანამდე 1 დოლარი 1,4-1,45 დარი ღირდა, მყისიერად მოხდა კურსის 1,65 ლარამდე გაზრდა. ამ დღეს პროფესორმა ვ. პარაგამ “შწვანე პარასკევი” უწოდა². საინტერესო ისაა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, პარასკევს მიიღება, რაც სავალუტო ბაზარს დასვენების დღეებში გაურკვევლობაში ტოვებს და სპეციულაციური ფასის ფორმირების საშუალებას იძლევა. სამწუხაროდ, 2008 წლის 7 ნოემბერი გამონაცლისი არ ყოფილა, ანალოგიური გადაწყვეტილება 2010 წლის იქნის შიც იქნა მიღებული. ლარის გაცვლითი კურსის დინამიკა იხ. ნახ. 3-ზე.



გაუარესდა საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის. ლუტოს ტურისტული 2007 ვენეციურმა და 2008 წლის იუნი, 2008 წლის 2,9 მლრდ ლარია (2007 წლის 2,0 მლრდ ლარდა).

ამას თან დაერთო ისიც, რომ მიმოქცევაში არსებული ეროვნულიანებულის რაოდენობა აბსუმიტირდა და 2007 წლის დანართში: კუთხით მომდევნების მომავალი 840 მლნ ლარი იყო, ეს მაჩვენებელი 2008 წლის დანართში მომდევნების მომავალი 1,25 მლნ ლარია³.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

1,48 მლრდ ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2009 წლის დასაწყისისათვის კი 1,17 მლრდ ლარამდე შემცირდა.


თუკი 2008 წლის დასაწყისში დეპოზიტების მოცულობა 3 მლრდ ლარს ადგემატებოდა, საიდანაც 66% დოლარში იყო განთავსებული, აგვისტოში მისი მოცულობა 2,7 მლრდ ლარამდე შემცირდა. 2008 წლის განმავლობაში კი დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 77%-მდე გაიზარდა. ასევე იცვლებოდა ფულის ბრუნვის სიჩქარე. თუ 2008 წლის დასაწყისში ეს მაჩვენებელი (M2) 7,91 იყო, 2008 წლის ბოლოს იგი 10,87-მდე გაიზარდა.

2007 და 2008 წლების მაღალი ინფლაციის ფონზე, 2009 წელს ინფლაციის ტემპები ნებულოვდა, აგვისტოში წინა წლის აგვისტოსთან შედარებით 3,1% დეფლაცია დაფიქსირდა. ინფლაციის დინამიკა მოცემულია ნახ. 4-ზე. ეს არც იყო გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოში სწორედ დეფლაციური პროცესები მიმდინარეობდა.

პარალელურად გაიზარდა უმუშევრობა. თუ 2007 წელს უმუშევრობაზ 13,3% შეადგინა, 2008 წელს იგი 3,2 პროცენტული მუხლით, 16,2%-მდე გაიზარდა, ხოლო 2009 წელს 16,9% შეადგინა. ეს კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია რეგიონში. სომხეთში უმუშევრობა 6,9%-ია, ხოლო აზერბაიჯანში 6%¹.

ამ მძიმე ფონზე ქვეყნის ბიუჯეტი 2004 წლის შემდეგ პირველად აღმოჩნდა ვერმესრულების საფრთხის წინაშე, ამდენად ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილის ვალდებულებების დასაფინანსებლად გამოყენებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ მაისში ეგროობლივაციების ემისით მობილიზებული 500 მლნ ლარა.

¹ იხ. კრებული “ვენახლოვდებით ეკონომიკური პოლიტიკა? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში”, თბილისი, 2010, გვ. 79.




გრაფიკია, ხოლო დახარჩები კოედიტი. სწორედ ამ გადაწყვეტილების წყალობით საქართველოს ეკონომიკამ როგორც ომის, ასევე განსაკუთრებით გლობალური კრიზისის ზეგავლენა სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად მტკიცნეულად გადაიტანა.

თუმცა, ამ და მსგავსი გადაწყვეტილებების შედეგად საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი მკვეთრად იზრდება (მისი დინამიკა იხ. ნახ. 5-ზე). თუ 2007 წლის ბოლოს მისი მოცულობა 1,8 მლრდ ლოდარი (2,9 მლრდ ლარი) იყო, 2010 წლის 30 სექტემბერს საგარეო ვალმა 3,8 მლრდ ლოდარი (6,8 მლრდ ლარი) შეადგინა. ამ ვალში 500 მლნ ლოდარი უკრობლივაციების გმისის შედეგად მობილიზებული სახსრებიცაა, რომელთა 2008 წლის მაისში გამოშვება ბევრ პასუხებაცემელ კითხვას ბადებს.

საქართველოში კრიზისს ქონდა როგორც გლობალური, ასევე ეროვნული ფესვები¹. არ შეიძლება ეკონომიკის მდგრმარეობის ანალიზისას ერთმანეთისაგან განვაცალკევოთ მიზეზები, რომლებიც ჩვენგან დამოუკიდებელი ფაქტორებით ჩამოყალიბდა და მიზეზები, რომლებიც არასწორი ან არათანმიმდევრული პოლიტიკის შედეგი იყო. არათანმიმდევრულობა კი როგორც ინსტიტუციური, ასევე სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაში ჩანდა.

¹ სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

² აღნიშნული თანხების მიღებისა და გამოყენების შესახებ ინფორმაცია იხილეთ www.mof.ge



ე.წ. „დასაქმების“ პროგრამას). იმ ფონზე, როდესაც ინსტიტუციური რეფორმები ხშირად რადიკალური მიმართულებებით იცვლება. მაგალითად, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება, გაუქმება, შემდეგ კვლავ აღდგენა. ეროვნული ბანკის ფაქტობრივი დაშლა და შემდეგ კვლავ აღდგენა, ფინანსთა სამინისტროს სისტემის მუდმივი რეფორმირება, საგადასახადო კოდექსის არასტაბილურობა და ა.შ.

უკველივე ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 2007 წლის შემდეგ საქართველოში ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელო-

¹ საქართველოში კრიზისის თავსებურებებზე იხილეთ: პაპავა ვ., თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავსებურებების საქართველოში, „ეკონომისტი“, №4, 2009; პაპავა ვ., ომისშემდგომი საქართველოს ეკონომიკა: ახალი გამოწვევები და ქველი შეცდომები, წიგნში „საქართველო 2010 – ომისშემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი; ხადური ნ., ომისშემდგომი საქართველოს ეკონომიკური საფრთხეები, ეკონომისტი 2009, №4.

² წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge

³ დაწვრილებით იხილეთ: ხადური ნ., ეკონომიკის ლიბერალური ეტაპის წინააღმდეგობაზი, ეურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, №6.

ვანი, უარყოფითი ფაქტორი გადაიკვეთა, რომელთა გამო ეკონომიკური ზრდის ტემპები დაცა, უმუშევრობა გაიზარდა და ქვეყანაში საგარეო ვალის დაგროვების პროცესი დაიწყო. სამწუხაროდ, ხელისუფლებას რაიმე ჩამოყალიბებული ანტიკრიზისული პოლიტიკა არ ჰქონია. ის პროგრამები, რომლებიც გაუდერებული იყო, ან რეალობას იყო მოწყვეტილი ან ურთიერთგამომრიცხავი და დაუსაბუთებელი იყო. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის მიზეზების კვლევისას, აქცენტი თითქმის ყოველთვის საგარეო წყაროებზე კეთდება, რაც ხელს გვიშლის კრიზისის ადგილობრივი ფესვების გამოვლენასა და შემდგომ მის დაძლევაში.

Abstract Georgia's Economy amid Global Crisis

N. Khaduri

The signs of the global financial crisis have begun to occur in the world since the second half of 2007. The situation in Georgia was worsened by Russian military aggression. However, in autumn 2008, at a donor conference in Brussels an unprecedented decision was made to grant Georgia with 4.5 billion USD. The purpose of this solution was to mitigate the effects of the crisis and the war, but despite the financial assistance, in the wake of the crisis unemployment rate in the country has increased, there has been a decrease in foreign direct investment and real GDP (by 3.9%), Georgia's foreign debt has almost doubled and reserves of the National Bank of Georgia have reduced.

Unfortunately, in times of the crisis the government had no anti-crisis program, and the actions performed by the authority of the country were mostly spontaneous and mutually exclusive.

For prevention of the crisis in future, it is important to study not only external but also local sources of the crisis.

მილტონ ვრიდმანის მონეტარისტული ნე-
სტის შესახებ

მალხაგ ჩიქობავა
თსუ ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე შერეული ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება ძირითადად მონეტარული (ფულად-საკრედიტო) და ფისკალური (საბიუჯეტო-საგადასახადო) პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებითაა შესაძლებელი. მონეტარულ რეგულირებაში იგულისხმება ცენტრალური ბანკის მიერ მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდგნობის რეგულირება ეკონომიკურ აქტივობაზე ზემოქმედების მიზნით. ამისათვის ცენტრალური ბანკი ფულის ბაზარზე ჩამოყალიბებულ წონასწორობას მიზანდასახულად არღვევს იმ მიზნით, რომ ზემოქმედება მოახდინოს საპროცენტო განაკვეთის შემცირებაზე და წაახალისოს კერძო საინვესტიციო მოთხოვნა. ოუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც საინვესტიციო მოთხოვნის ზრდა განაპირობებს წარმოების რეალური მოცულობისა და რეალური შემოსავლების ზრდას, ეს უკანასკნელი ფულზე დამატებით მოთხოვნას წარმოშობს. საბოლოოდ, ფულზე მოთხოვნის ზრდა ფულის მიწოდების უცვლელობისას, იწვევს საპროცენტო განაკვეთის ზრდას და კერძო საინვესტიციო აქტივობის თანდათანობით შემცირებას. ამის შემდეგ ცენტრალურ ბანკს, რა თქმა უნდა, შეუძლია გააგრძელოს აღნიშნული პოლიტიკა, ანუ ფულის მიწოდების ზრდა (იაფი ფულის პოლიტიკა) საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა და კერძო საინვესტიციო მოთხოვნის წახალისების მიზნით, რომლის შედეგად მოვლენები ზემოთადწერილი სცენარით განმეორდება. ასეთი რეგულირება კეინზიანური მონეტარული პოლიტიკის სახელითაა ცნობილი და ჯ. მ. კეინზის სახელს უკავშირდება. ოუმცა, ამ პოლიტიკას თავისი შეზღუდვები გააჩნია. საქმე ისაა, რომ წარმოების მოცულობის შემდგომი ზრდის კვალობაზე ზღვრული ხარჯების ზრდისა და კლებადი უკაბების კანონის მოქმედების გამო, ეკონომიკაში ინვესტიციების

რენტაბელობის დონე სულ უფრო მცირდება, სულ უფრო იზღუდება დანაზოგების მომგებიანად გამოყენების სფეროები ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის დონის უცვლელობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, კერძო სექტორში ინვესტიციების მუდმივად წახალისება იაფი ფულის პოლიტიკით, შესაძლებელია მოთხოვნის ინფლაციაში გადაიზარდოს. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანური მონეტარული პოლიტიკა ძირითად ინსტრუმენტად იქცა, მან პრაქტიკაში ფართოდ დანერგვიდან დაახლოებით 25-30 წლის შემდეგ თავისი ინფლაციური ხასიათი გამოავლინა. ყოველივე ზემოთქმულის ფორმალიზებისათვის, ფულის ბაზარზე წონასწორობის განტოლება ასე ჩამოაწეო:

$$\left(\frac{M}{P}\right)^s = \left(\frac{M}{P}\right) = L(Y, i),$$


სადაც $(M/P)^s$ რეალური ფულადი მარჯის მიწოდებაა, რომლის უკან დგას ცენტრალური ბანკი; (M/P) - რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნაა, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია რეალურ შემოსავალზე (Y) და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე (i). ეს უკანასკნელი შემდეგნაირად გამოისახება: $i = r + \pi^e$, სადაც r რეალური საპროცენტო განაკვეთია, ხოლო π^e - მოსალოდნელი ინფლაცია. საბოლოოდ, რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნის ფუნქცია შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$\left(\frac{M}{P}\right)^D = L(Y, r + \pi^e)$$

ამრიგად, იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად მცირდება ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ფულის ბაზარზე, რაც ასტიმული რებს კერძო საინვესტიციო მოთხოვნას. საბოლოოდ, ინვესტიციების გადიდება უზრუნველყოფს წარმოების რეალური მოცულობის ზრდას, რაც ფულზე დამატებით მოთხოვნად გარდაიქმნება და წონასწორული საპროცენტო განაკვეთი უბრუნდება ადრინდელ დონეს. უდავოა, რომ მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის განხორციელებული მონეტარული პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო საინვესტიციო ხარჯების ზრდას. ეს უკანასკნელი კი ნამდვილად ავლენს გარკვეულ ელასტიკურობას საპროცენტო განაკვეთის ცვ-

ლილების მიმართ.

საქმე ისაა, რომ იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად ინვესტიციების სტიმულირების ეფექტი თანდათანობით მცირდება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინვესტიციები სულ უფრო ნაკლებად ელასტიკური ხდება საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდა, მართალია, იწვევს (თუმცა, სულ უფრო ნაკლებად შედეგიანად) საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, ინვესტიციებისა და წარმოების მოცულობის ზრდას, მაგრამ ამის მიღწევის მცდელობა სულ უფრო აჩქარებს ინფლაციას. გრაფიკულად ფულის ბაზრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი რეგულირების სცენარი ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.



და გრძელვადიანი შედეგები

მოკლევადიანი მონეტარული რეგულირება გულისხმობს რეალური ფულადი მარაგების მიწოდების ზრდას (M/P_1)-დან (M/P_2)-მდე, რასაც, ცხადია, მოპყვება ფულის ბაზარზე არსებული წონასწორობის გადაადგილება A-დან B წერტილში, რომელსაც უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი i_1 შეესაბამება. დაბალი საპროცენტო განაკვეთი ასტიმულირებს კერძო საინვესტიციო ხარჯებს, რაც განაპირობებს წარმოების რეალური მოცულობისა და რეალური შემოსავლების ზრდას. ეს უკანასკნელი გარდაისახება ფულზე დამატებით მოთხოვნად,

რაც ნახ. 1-ზე ფულზე მოთხოვნის D_1 მრუდს მარჯვნივ გადაადგილებს. შესაბამისად, ყალიბდება ფულზე ახალი მოთხოვნის D_2 მრუდი, რომელსაც ფულის მიწოდების S_2 მრუდთან გადაკვეთის C წერტილში შეესაბამება i_1 საპროცენტო განაკვეთი. მაშასადამე, კეინზიანური მონეტარული პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტი გამოიხატება ფულის პაზარზე წონასწორობის A-დან B წერტილში, ხოლო გრძელვადიანი ეფექტი - A-დან C წერტილში გადაადგილებით, სადაც საპროცენტო განაკვეთი ადრე არსებულ სიდიდეს უბრუნდება. თუ ცენტრალური ბანკი გააგრძელებს მასტიმულირებელ მონეტარულ პოლიტიკას და გაზრდის ფულის მიწოდებას S_3 , S_4 და ა. შ. დონემდე, რომელთაც შესაბამისად (M/P_3)₃ და (M/P_4)₄ რეალური ფულადი მარაგები შეესაბამება, ის მოკლევადიან პერიოდში შეძლებს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას (მოკლევადიანი წონასწორობა C-დან D, ასევე E-დან F წერტილებში გადაადგილდება), თუმცა რეალური შემოსავლების ზრდის კვალობაზე საპროცენტო განაკვეთი საბოლოოდ მაინც დაუბრუნდება ადრე არსებულ წონასწორულ დონეს (ანუ, გრძელვადიანი წონასწორობა გადის A, C, E, G წერტილებში) და რეალური ფულადი მარაგების ზრდა თანდათანობით დაკარგავს ელასტიკურობას საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ამრიგად, გრძელვადიანი პერიოდისათვის როგორც არ უნდა გაზარდოს ცენტრალურ ბანკმა ფულის მიწოდება, ის მხოლოდ დააჩქარებს ინფლაციურ პროცესებს, რადგანაც რეალურ ფულად მარაგზე მოთხოვნა სულ უფრო ნაკლებად ელასტიკური ხდება საპროცენტო განაკვეთის მიმართ (ნახაზზე ფულზე მოთხოვნის ყოველი მომდევნი მრუდი უფრო დამრეცია, რაც გულისხმობს ფულადი ექსპანსიის შედეგად ეკონომიკაში ინფლაციური მოლოდინის ზრდას, ეს კი ფასების მომდევნო ზრდის საფუძველი ხდება), ეკონომიკური სუბიექტები კი ინფლაციის აჩქარების შემთხვევაში ამჯობინებენ ფულადი შემოსავლების არა დაზოგვას, არამედ ხარჯვას, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ინფლაციას. შედეგად, დანაზოგები და ფულზე მოთხოვნა მკვეთრად კლებულობს. ფულზე მოთხოვნის ახალი მრუდები წინა მრუდებზე არა მარტო მარჯვნივ მდებარეობს, არამედ სულ უფრო დამრეცი ხდება, რასაც იაფი ფულის პოლიტიკის ეფექტიანობა არარაობამდე დაპყავს. ნახ. 1-ზე ეს პროცესი ნაჩვენებია გამუქებული არების ფართობების შემცირებით. გამოდის, რომ ცენტრალური ბანკი რაც უფრო დაუინებით ცდილობს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას კერძო ინფლაციების წახა-

ლისების მიზნით, მით უფრო ნაკლებ შედეგს აღწევს. უფრო მეტიც, ის ინფლაციის აჩქარების პროცენტირებას ახდენს.

ერთი სიცემით, მონეტარული რეალირების კეინზიანური მიღორმის ფართოდ გამოყენების შემთხვევაში თავი იჩინა ინფლაციის აჩქარების პრობლემამ. საბოლოოდ, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკის ხანგრძლივი არაინფლაციური განვითარების უზრუნველმყოფი პირობების შექმნის აუცილებლობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ფულის ბაზარი ორი რეჟიმით ფუნქციონირებს. პირველია მონეტარული პოლიტიკის მოკლევადიანი რეალური, რომელსაც ზემოთ გავეცანით. გრძელვადიანი წონასწორობის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი ნეიტრალური ხდება ფულის მიწოდების დინამიკის მიმართ.

ფულის ბაზარზე გრძელვადიანი წონასწორობის პირობას შემდეგნაირად გამოსახავებ:

$$\hat{M} \approx \hat{Y} + \pi^e,$$

სადაც \hat{M} გვიჩვენებს ფულის მიწოდების ზრდის გრძელვადიან ტემპს, \hat{Y} - რეალური მშპ-ს ზრდის გრძელვადიან ტემპს, ხოლო π^e - მოსალოდნელი ინფლაციის ტემპს (სახელმწიფოს მიერ ფასების ზრდის კონტროლირებად ტემპს)¹.

აღნიშნულ განტოლებას მონეტარისტული წესი, ანუ მ. ფრიდმანის განტოლება ეწოდება. მონეტარისტები თვლიან, რომ ფულის ბაზრის გრძელვადიანი წონასწორობის პირობა გამოიხატება ძირითადი ფულადი კანონის დაცვაში, რომლის შესაბამისად მყარდება ფულის მიწოდებისა და რეალური მშპ-ს ზრდის გრძელვადიან ტემპებს შორის კავშირი.

გრძელვადიანი მონეტარული პოლიტიკის მიზანია ინფლაციის სტაბილიზაცია და მისი ისეთ პროცესად გარდაქმნა, როცა ის მთლიანად ექვემდებარება ზუსტ პროგნოზირებას. როგორც მონეტარისტები თვლიან, ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებების გრძელვადიან ტენდენციაზე, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური ტემპების შენარჩუნებას¹.

¹ Болшная Экономическая Энциклопедия. М., Эксмо, 2007, с. 388.

ცხადია, ყველა ქვეყანა მიისწრაფვის სწრაფი ეკონომიკური ზრდის, სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობისაკენ. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რას ნიშნავს ფასების სტაბილურობა? როგორია ფასების ყველაზე სასურველი გრძელვადიანი ტენდენცია? ეკონომისტები მიუთითებენ შედარებით დაბალი და სტაბილური ინფლაციის უპირატესობაზე. სტაბილური ინფლაცია, რომლის წლიური მაჩვენებელი დაბალოებით 3%-ია², შეიმჩნეოდა აშშ-ში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, მე-2 მსოფლიო ომიდან დღემდე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გასული საუკუნის 70-იანი წლების სტაგფლაციისა და 2008 წლიდან დაწყებულ თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდებს.

ადსანიშნავია, რომ ეკონომისტთა ნაწილის აზრით, მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ გაცილებით წინ უნდა გადადგას ნაბიჯი და უზრუნველყოს ფასების აბსოლუტური სტაბილურობა, ანუ ნულოვანი ინფლაცია. სტენფორდის უნივერსიტეტის ეკონომისტი რობერტ პოლი და ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი მმართველი ლიი პოსკინის ხაზს უსვამეს ფასების წინასწარი განსკვრების, ანუ ზუსტი პროგნოზირების მნიშვნელობას, რათა ადამიანებმა უკეთ შეძლონ თავიანთი გადაწყვეტილებების მიღება ინვესტიციებთან მიმართებით. კანონმდებლივი, რომელიც გაერთიანებული ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის, კონი მაკის მიერ იქნა წარდგენილი აშშ კონგრესის წინაშე, ფაქტობრივად წარმოადგენდა მოწოდებას ფედერალური სარეზერვო სისტემის მიმართ ფასების სტაბილურობის მისაღწევად, რადგანაც „სტაბილური ფასები უზრუნველყოფს მწარმოებლურობის, რეალური შემოსავლების, ცხოვრების ხარისხის, დასაქმებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის მაქსიმალურად შესაძლო დონეებს“³.

თუმცა, მაკროეკონომისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა აზრისაა. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ ნულოვანი ინფლაციის მიღწევას აზრი აქვთ მხოლოდ იდეალური ეკონომიკის პირობებში. თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრება კი ნამდვილად არ გამოირჩევა სტაბილურობით. ამ ეკონომისტთა აზრით, ასეთი არასტაბილურობის ფაქტორია მომუშავეთა ბრძოლა თავიანთი ნომინალური ხელფასის

¹ იქვე, გვ. 388.

² Olivier Blanchard, Macroeconomics, 5th Edition, Pearson Prentice Hall, 2007, p. 54.

³ Пол Э. Самуэльсон, Вильям Д. Нордхаус, Экономика, 16-е издание. Изд. дом «Вильямс», 2000, с. 523. с. 523.

შემცირების წინააღმდეგ. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ხელფასის საშუალო დონის სტაბილურობა, ალბათ, საჭირო გახდებოდა მომუშავეთა ერთი კატეგორიისათვის ხელფასის მომატება და სხვებისთვის – შემცირება. მაგრამ, არცერთი კომპანია და მომუშავე კატეგორიულად არ დაეთანხმება საკუთარი ხელფასის შემცირებას!

მაკროეკონომიკის კანონების თანახმად, სტაბილური ფასები და ხელფასები უზრუნველყოფს უმუშევრობის უფრო მეტ მდგრად დონეს და გამოშვების მოცულობის შემცირებას, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ინფლაციის ზრდის ტემპი საშუალოდ დაბალოებით 2-4%. გამოკვლევებით დასტურდება, რომ სტაბილური ფასების მიღწევა აშშ-ს გამოშვებისა და დასაქმების დონის 1-3%-იან პერიანების უზღდება ინფლაციის 3%-იან ზედაორებით. გამოკვლევების ავტორები (ჯორჯ აქერლოფი, უილიამ დიკენსი, ჯორჯ პერი) ამტკიცებენ, რომ „ხელფასის შემცირების ტენდენცია ზოგიერთი კომპანიის შესაძლებლობას წინ ედობება დაარეგულიროს რეალური ხელფასი, რასაც მიუვავართ დასაქმების არაეფუქტიან შემცირებასთან... მთავარი შედეგი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს იმ პირებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში, არის ის, რომ ნულოვანი ინფლაციისადმი სწრაფგა გამოიწვევს რესურსების არაეფუქტიან განაწილებას, რაც გამოიხატება უმუშევრობის მდგრად დონეში, რომელიც შეიძლება დაუსაბუთებლად მაღალი იყოს“⁴.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტები ვერ თანხმდებიან ინფლაციის ოპტიმალური ტემპის სიდიდეზე, ისინი სოლიდარული არიან იმაში, რომ ფასების პროგნოზირებადი და ზომიერი ზრდა ყველაზე სასურველია ჯანსაღი ეკონომიკური ზრდისათვის.


ბოლო აბზაცი ნაკარნახევია თანამედროვე მონეტარისტების იდეოლოგიით, რომლის მთელი ფილოსოფია ფასების გრძელვადიანი სტაბილურობის პირობებთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი მ. ფრიდმანის მონეტარისტული წესით გამოისახება. მაშასადამე იმისათვის, რომ ფასები იყოს სტაბილური (რაც არავითარ შემთხვევაში არ გაფლისხმობს, ნულობაში ინფლაციას), ცენტრალურმა ბანკმა იქვე.

² იქვე.

³ Пол Э. Самуэльсон, Вильям Д. Нордхаус, Экономика, 16-е издание. Изд. дом «Вильямс», 2000, с. 523. с. 523.

უნდა შეარჩიოს ფულის მიწოდების ისეთი საშუალო წლიური ზრდის ტემპი, რომელიც უზრუნველყოფს ზომიერი, ვთქვათ, 2-4%-იანი წლიური ინფლაციის ტემპის შენარჩუნებას. სწორედ ამ წესით ცდილობენ მონეტარისტები დაძლიონ კეინზიანური მონეტარული რეგულირების ინფლაციური ხასიათი.

არის თუ არა სინამდვილეში ეს შესაძლებელი მონეტარისტული (მ. ფრიდმანის) განტოლებით?



უნდა შეარჩიოს ფულის მიწოდების განტოლება გრძელვადიანი პერიოდისათვის. განვითარებული ქვეყნების ემპირიული მონაცემებიდან გამომდინარე, ინფლაციის ოპტიმალური საშუალო წლიური ტემპი მაქსიმუმ 4%-ია, ხოლო წარმოების რეალური მოცულობის საშუალო წლიური ზრდის ტემპი, რომელიც განპირობებულია ახალი ტექნოლოგიებითა და წარმოების ფაქტორებით - 3%. მაშინ, ცენტრალურ ბანკს ისდა დარჩენია, გრძელვადიანი პერიოდისათვის უზრუნველყოს ფულის მიწოდების მაქსიმუმ 7%-იანი საშუალო წლიური ზრდა. ასეთ შემთხვევაში შენარჩუნდება ინფლაციის ტემპზე კონტროლი. მაგრამ, თუ პრაქტიკაში ზუსტად მონეტარისტული წესით ხდება ფულის ბაზრის გრძელვადიანი რეგულირება, მაშინ, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქვეყნის

ეკონომიკა გარდაუვალი კრიზისის წინაშე დადგება, რაც ფიზიკურ ეკონომიკასთან შედარებით ფულადი მასის სულ უფრო აჩქარებული ზრდით იქნება განპირობებული. დროთა განმავლობაში, ეკონომიკაში სულ უფრო მეტად მოიყრის თავს დაუსაქონლებელი ფული, საიდანაც ინფლაციური აფეთქების გარდა სხვა გამოსავალი არ არსებობს. ყოველივე ეს განვიხილოთ გრაფიკულად.

თუ წარმოების რეალური მოცულობა, მაქსიმუმ 3%-ით მატულობს ყოველწლიურად, რაც ზუსტად ასახავს განვითარებული ქვეყნების სინამდვილეს, მაშინ, დაახლოებით 23-24 წელიწადში მოხდება ამ მაჩვენებლის გაორმაგება. საწარმოო ფუნქციიდან - $\dot{Y} = Af(K, L, H, N)$ გამომდინარე, წარმოების რეალური მოცულობის ზრდას საფუძვლად უდევს ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობა (A პარამეტრი), რომელიც ტექნოლოგიების განვითარებას გვიხსინათებს, ფიზიკური კაპიტალი - K , სამუშაო ძალა - L , ადამიან-კაპიტალი - H და ბუნებრივი რესურსები - N . სწორედ ამ ფაქტორთა ზრდით და ტექნოლოგიური პროგრესით მიიღწევა წარმოების რეალური მოცულობის ზრდა. როგორც აღვნიშნეთ, აღნიშნული ზრდის ტრენდი განვითარებული ქვეყნების მაგალითზე 3%-ის ფარგლებში მერყეობს. ნამ. 2-დან ჩანს, რომ, თუ შენარჩუნდა რეალური მშპ-ის ზრდის ასეთი ტემპი, მაშინ დაახლოებით 23-24 წელიწადში ეს მაჩვენებელი გაორმაგდება.

ახლა განვიხილოთ ფულადი მასის - M -ის ზრდა. მისი საშუალოდ ყოველწლიური 7%-იანი ზრდა უზრუნველყოფს მის გაორმაგებას დაახლოებით 10 წელიწადში, ხოლო 23-24 წლის შემდეგ, როდესაც წარმოების რეალური მოცულობა ორმაგდება, ფულადი მასა დაახლოებით 4,4-ჯერ გაიზრდება, ხოლო 50 წლის შემდეგ მისი ზრდის მაჩვენებელი წარმოების რეალური მოცულობის ზრდის მაჩვენებელს თოვქმის 7-ჯერ გადაჭარებს. სხვა სიტკებით რომ ვთქვათ, აღნიშნულ ნახაზზე M -ის ზრდა ექსპონენციალურად უსწრებს Y -ის ზრდას, ანუ ფრიდმანის განტოლება ვერ უზრუნველყოს ეკონომიკის არაინფლაციურ განვითარებას ხანგრძლივი პერიოდისათვის. ამის შედეგად ეკონომიკაში თავს იყრის დაუსაქონლებელი ფულის სულ უფრო მზარდი მასა, რასაც გარდაუვალად მოჰყვება მძლავრი ეკონომიკური კრიზისი.

ვფიქრობთ, ეს ჩვენი მცირედი შენიშვნა მონეტარისტულ განტოლებასთან მიმართებით ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული. მართლაც, ანალიტიკოსთა შეფასებით, თანამედროვე გლობალური

ეკონომიკური კრიზისის მიზეზად აშშ-ის დოლარის ჭარბი ემისია სახელდება, რასაც, როგორც დავრწმუნდით, ნამდვილად შეიძლება პქნოდეს ადგილი მონეტარული რეგულირების ფრიდმანის ეული კონცეფციის პრაქტიკულად განხორციელების დროს. საბოლოოდ, მიგვაჩნია, რომ მონეტარისტული წესის საფუძველზე გრძელვადიანი მონეტარული რეგულირება ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის არაინფლაციურ განვითარებას. უფრო მეტიც, თანამედროვე გლობალურ კრიზისში სწორედ ამ იდეოლოგიას მიუძღვის, როგორც იტყვიან, ლომის წილი.

About Milton Friedman's monetarist rule

M. Chikobava

In article Keynesian and monetary concepts are considered. Inflationary character Keynesian monetary regulation for the long-term period is underlined. Also the monetary rule (Friedman's equation) is analyzed, which provides conformity of rates of increase of money supply and real GDP to check rates of inflation.

In article it is shown that on a basis Friedman's equation, monetary regulation not only practically, but also theoretically doesn't satisfy noninflationary development of economy for the long-term period that acts as one of the main reason of modern economic global crisis.

ეკონომიკური ტერმინების შინაარსობრივი
დატვირთვის შესახვა

გამოხვაურებები საქართველოს მთხოვებათა ეროვნული აკადემიის ფეხრ-კოოპერაციული, აროვ. ლეო ჩიხაგას სტატიაზე: „ზოგიერთი საჯისპუნო ეკონომიკური ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვის საკითხისათვის“ შურა, „ეკონომიკა და პიზესი“, 2010, №5, გვ.29-44.

ავთანდილ სილაბამი

საქართველოს მეცნიერებათა

ეროვნული აკადემიის წევრ-კოოპერაციული

ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და ტერმინთა არსის სწორად დადგენის საკითხები ყოველთვის იყო ქართველ მეცნიერებების მისამართის მიერთების ცენტრში. „ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი იყო 1947 წელს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის თაოსნობით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია“, რომლის შედეგენა-გამოცემაში უდიდესი დვაწლი მიუძღვით გამოჩენილ ქართველ ეკონომისტებს: ფ.გოგიაშვილს, ნ.ქოიავას, ვ.ჩატლაძეს, ა.გოკიელს, პ.იაშვილს, ლ.კარბელაშვილს, ი.მიქელაძეს, ა.ნუცუბიძეს, ა.ფანცხავას, ა.ინწირგელს, ა.კაპაბაძეს, პ.კუჭაძეს, კ.თარგამაძეს (რედაქტორი) და სხვებს”¹.

ბოლო წლებში, სხვადასხვა მოცულობისა და პროფილის ეკონომიკური ლექსიკონები გამოიცა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების: ჭ.აღეიშვილის, რ.ასათიანის, რ.ბასარიას, ფრ.ბურდულის, ლ.გრიგოლის, ლ.გულაძაშვილის, გ.დავარაშვილის, ნ.იაშვილის, ჯ.კახნიაშვილის, გ.გვიტაშვილის, დ.კახერაშვილის, ა.კოშკელაშვილის, ე.კუპრევიშვილის, ე.მაღალაშვილის, ი.მესხიას, რ.მითაიშვილის, ნ.პაიჭაძის, შ.ქისტაურის, ლ.ქოქიაურის, ვ.ყანდაშვილის, გ.შებლაძის, ო.ჩადუნელის, ლ.ჩიქავას, ზ.ჩქანავას, თ.ციგროშვილის, დ.ძელაძის, ი.ჭილაძის, ე.ხარაბაძის, ა.ხორავას და სხვათა ავტორობით.

მიუძღავად ამისა, ცალკეული ეკონომიკური ტერმინის შინაარ-

¹ ეკონომიკური ლექსიკონი (ა.სილაბაძე, გ.გოშაძე, ვ.ზურაბიშვილი, თ.დემეტრაშვილი, თბილისის უნივერსიტეტის გამომც., თბ., 2001, გვ. 3.

სობრივი არსის გაგებაში, განსხვავებული მიღებომები მაინც რჩება. „ლექსიკონებში“ ამა თუ იმ ტერმინის საყველოთაოდ მიღებული პრინციპები აისახება, განსხვავებით მონიგრაფიული ხასიათის კვლევებისაგან, თუმცა, ხარვეზებისაგან არც „ლექსიკონებია“ დაზღვეული.

ამ ფონზე, უკურადღებას იპყრობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლეო ჩიქავას ნაშრომი¹. მასში გადმოცემული საინტერესო მოსაზრებები ხელს შეუწყობს როგორც ცალკეული ეკონომიკური ტერმინის შინაარსობრივი მხარის სწორად გააზრებას, ასევე, დასაქმების სფეროში ეფექტიანი ინსტიტუციონალური სტრუქტურების დროულად ჩამოყალიბებას.

ამასთან, ნაშრომში განხილულ ზოგიერთ საკითხზე გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას:

ვფიქრობთ, განსახილველი ტერმინების ჩამონათვალში ცალკეული არ უნდა გამოყოფილიყო „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა“ და „სამუშაო ძალა“. ისინი ტექსტშიც ცალ-ცალკეა გაანალიზებული მიუხედავად იმისა, რომ ავტორი იზიარებს შეხედულებას მათი ერთობლივი კონტექსტით განხილვის შესახებ.

ავტორი არ ეთანხმება, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდიკას, რომლის მიხედვითაც: „ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას (სამუშაო ძალას)“ მიეკუთვნება „15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც დასაქმებულია ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში გვხვდება“².

ავტორის განსხვავებული შეხედულებით: „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის სრული შრომისუნარიანი (18 წლიდან საპენსიო ასაკმდე) მოსახლეობა, რომლის ერთი ნაწილი დასაქმებულია, ხოლო მეორე ნაწილი - „უმუშევარი, რომელსაც აქვს შრომის უნარი, დასაქმე-

¹ იხ. ლ.ჩიქავა, ზოგიერთი სადისეცუსო ეკონომიკური ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვის საკითხისათვის, ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №5.

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, 2010. [www.geostat.ge](http://geostat.ge)

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ბის სურვილი და როგორც კი თავისუფალი ვაკანსია გამოჩნდება, მზადაა საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობის დასაწყებად“¹.

„ეკონომიკური მოსახლეობის“ აქტორისუფლი განსაზღვრა ბევრ კითხვას წარმოშობს. ასეთი მიღებომის მიზანშეწონილობას, ფაქტობრივად, არ ადასტურებს საერთაშორისო პრაქტიკა.

ფაქტია, რომ როდესაც საშუალო განათლების მეორე საფეხურზე (X-XII კლასები) სწავლა არასავალდებულია და მრავალი ახალგაზრდა (15-17 წლის ასაკში) ჩაბმულია „საზოგადოებრივ შრომით საქმიანობაში“ – დასაქმებულია (სრულყოფილად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, იღებს ანაზღაურებას) ან ეძებს სამუშაოს. ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ არ უნდა მიგაპუთვნოთ ისინი „ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას“? ასევე, საპენსიო ასაკს გადაცილებული ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის შექმნაში და ისინიც „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ კატეგორიაში განიხილებიან, მითუმეტეს იმ პირობებში, – როგორც სამართლიანად მიუთითებს ავტორი, – როდესაც არ არსებობს: ნორმალური დონის „მინიმალური პენსია“, დასაქმების „უმუშევართა რეგისტრაციის“, „უმუშევართა შემწეობის“ სრულყოფილი სისტემები.

შსო-ს მონაცემებით², „ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის“ რიცხოვნობას ანგარიშობენ 15 ან 16 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობიდან; მათ შორის – 15 და მეტი წლის – კანადაში, იაპონიაში, აზერბაიჯანში, კორეის რესპუბლიკაში, მაკედონიაში, ფილიპინებში, ჩილეში, ავსტრიაში, ბულგარეთში, დანიაში, ხორვატიაში, ჩეხეთში, რუსეთში, საქართველოში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, ესტონეთში, ლიტვაში, მოლდოვაში, პოლონეთში, რუმინეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ავსტრალიაში, თურქეთში, ფინეთში, ყაზახეთში...; – 16 და მეტი წლის – აშშ-ში, ესანერთში, გაერთიანებულ სამეფოში, ნორვეგიაში, სომხეთში, შვედეთში...; არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ რიცხოვნობას ანგარიშობენ 15 წლზე ნაკლები ასაკიდანაც.

¹ ამრიგად, „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისადმი“ განსხვარნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, 5, გვ.34.

² International Labour Office (ILO), Yearbook of Labour Statistics, Geneva, 2005, pp. 9-29.

ვაგებული მიდგომები არსებობს, მაგრამ არცერთი მათგანი თავსებადი არ არის ავტორისეულ რეკომენდაციებთან;

ალბათ, მექანიკური შეცდომის გამო („ანაბეჭდის შეცდომა: „ეკონომიკურად აქტიურის“ ნაცვლად უნდა იყოს „ეკონომიკურად არააქტიური“-რედაქციის შენიშვნა) დასახელდა „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ ერთ-ერთ კომპონენტად „შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი მოსახლეობა (ბავშვები და მოზარდები 18 წლის ასაკამდე)“¹.

„შეცდომის“ გამორიცხვის შემთხვევაში, დაშვებულია ორი უზუსტობა: პირველი, ზემოაღნიშნული კომპონენტი სრულად არ აისახება „აქტიურ მოსახლეობაში“ და მეორე, ამ „კომპონენტის“ ნაწილს, ისედაც ითვალისწინებს მოქმედი მეთოდიყა.

თუ საკითხი შექება „არააქტიურ“ მოსახლეობას (ისე, როგორც სხვა გვერდზე აღნიშნული), მაშინ „ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობაში“ შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი მოსახლეობის (მ.შ.: 1 დღის, 1 წლის ბავშვის – ა.ს.) ჩართვა², მეთოდურადაც გაუმართდება.

ეკონომიკურად არააქტიურია (პასიურია) ის „მოსახლეობა, რომელიც არ შედის სამუშაო ძალის შემადგენლობაში ან ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში, ციფრულად ის პირი, რომელიც არ იყო დასაქმებული განსახილველი პერიოდის განმავლობაში“³.

„ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონიდან“ ზემოაღნიშნული ერთშინადადებიანი ამონარიდის მხოლოდ (ჩვენს მიერ ხაზგასმული) ბოლო ნაწილია ციტირებული ნაშრომში, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, რომ „ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობაში“ უმუშევრებიც შედიან. სინამდგილეში, ამონარიდის სრულყოფილი ვარიანტის მიხედვით, „ეკონომიკურად არააქტიურია“ მოსახლეობა, რომელიც არ შედის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში“. „აქტიურ მოსახლეობაში“ უმუშევრებიც შედიან და ბუნებრივია, ისინი ვერ იქნებიან „არააქტიური მოსახლეობის“ შემაღგენელი კომპონენტი;

ავტორი წერს: „შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მხ-

¹ ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №5, გვ. 34.

² იქვე, გვ. 35.

³ ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2005, გვ. 433.

ოლოდ ნაწილია (თუმც ძირითადი ნაწილი) ეკონომიკურად აქტიური, მეორე, შედარებით მცირე ნაწილი კი, ეკონომიკურად არააქტიურია. მაგალითთან, საქართველოში 2008 წელს ეკონომიკურად აქტიური იყო შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 62.6 პროცენტი, ხოლო ეკონომიკურად არააქტიური – 37.4 პროცენტი⁴.

სტატისტიკურ მონაცემთა წეროს არ დასახელების მიუხედავადაც (ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ავტორი (ნებსით თუ უნდა დასახურის მიმართ უდინებელი) ასე მაგალითთან, თუ ავტორისეული „მეთოდიკის“ მიხედვით, ექსპერტულად გავიანგარიშებთ საქართველოში „აქტიური“ და „პასიური“ მოსახლეობის თანაფარდობას, მივიღებთ ზემოაღნიშნული სტატისტიკური მონაცემებისგან განსხვავებულ შედეგებს;

ვფიქრობთ, ტერმინის – „დასაქმება“ განხილვისას, უმჯობესი იყო უახლესი მასალების გაანალიზება. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად საკამათო საკითხებისა, საჭირო აღარ გახდებოდა იმის თქმა, რომ ტერმინის განმარტებაში „არაფერია ნათქვამი შრომის ანაზღაურებაზე“. ფაქტია, რომ ოფიციალური სტატისტიკური მასალების მიხედვით: „დასაქმებული (დაქმირავებული ან თვითდასაქმებული) არის 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით...“⁵.

ზოგადად, ტერმინში – „დასაქმება“ მოიაზრება ადამიანთა მონაწილეობა შრომით საქმიანობაში, მათ შორის დიასახლისის საქმიანობა, ჯარში სამსახური... „ოფიციალური სტატისტიკით“ კი დიასახლისები საერთოდ, ხოლო ნაწილობრივ ჯარისკაცები არ განიხილებიან მშპ-ის შემქმნელ „დასაქმებულებად“ – „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ შემადგენელ ნაწილად. თუმცა, „ჯარისკაცები“, რომლებიც ციფრით განვითარებულ ქვეყნებში (ნაწილობრივ საქართველოშიც) საკონტრაქტო საფუძველზე მსახურობენ, „დასაქმებულებებს“ მიეკუთვნებიან. ასეთი თვალსაზრისით გამომდინარეა „ლექსიკონებში“ ნახსენები ტერმინები - „სამსხვრო სამსახური“ ან

⁴ ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №5, გვ. 32-33.

⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, 2010, www.geostat.ge

„ჯარში სამსახური“.

ზოგადად, რატომ არ არის დამოკიდებული „დასაქმების დონე, ე.ი. შრომის პროცესებში ჩართვა“, თუნდაც „შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასა და სამუშაო ადგილებს შორის თანაფარდობაზე? არ არის საინტერესო ვიცოდეთ, თუ შრომისუნარიანი მოსახლეობის რა ნაწილს შეუძლია არსებული სამუშაო ადგილებით დასაქმება – ამ შემთხვევაში, საკითხი ეხება მხოლოდ „დამოკიდებულებას“ და არა „განსაზღვრას“. „ლექსიკონის“ იმავე გვერდიდან შეიძლებოდა ამონარიდის მოტანა „დასაქმების დონე – განისაზღვრება დასაქმებულთა რაოდენობის შეფარდებით კაონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან, გამოხატული პროცენტებში“¹.

სხვა „ლექსიკონიდან“ თითქმის ანალოგიური შინაარსის „ტერმინის“ ციტირების შემდეგ, სტატიის ავტორი მის დაზუსტებას მოითხოვს: კერძოდ, „როგორც მრიცხველში, ისე მნიშვნელში უნდა ავიდოთ არა ყველა ასაკის, როგორც მოტანილ ამონარიდშია აღნიშნული, არამედ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა“².

„განმარტებითი ლექსიკონები“, უპირველეს ყოვლისა, აღიარებულ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს, „ოფიციალურ სტატისტიკაში“ გამოყენებული ტერმინების, „დასაქმებული“ ან „კაონომიკურად აქტიური“ მოსახლეობის შინაარსობრივი მხარე ისედაც (ხაზგასმის გარეშე) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს, მიუხედავად ცალკეულ ქვეყნაში „ასეთი ასაკის“ სხვადასხვაობისა.

ამასთან, ავტორი ტერმინების - „დასაქმებულთა რაოდენობა“ და „მოსახლეობის რაოდენობა“, ნაცვლად შესაბამისად იყენებს ტერმინებს: „დასაქმებულთა რიცხოვნობა“ და „მოსახლეობის რიცხოვნობა“. კვიქრობთ, ორთავე მიღვომას აქვს არსებობის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ „რაოდენობა“ არის „რისისამე რიცხვი“³. მითუმეტეს, რომ თავად ავტორი იყენებს ამ „ტერმინებს“. ასე მაგალითად: „უმუშევრობის ფაქტიური დონე = უმუშევართა ფაქტიური რაოდენობა : სამუშაო ძალის საერთო რაოდენობაზე $\times 100\%$; „შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობისა და, მათ შორის, უმუშევართა რიცხოვნობის უმუშევრობის უნდა დანართოს უსახურებელი დონეზე“⁴; კურნომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2005, გვ. 193.

¹ ქურნ. „კაონომიკა და ბიზნესი“, 2010, №5, გვ. 38.

² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 377.

ავტორი, უკვე ცნობილი პოზიციებიდან გამომდინარე, იწუნებს სტატისტიკური ორგანოების მიერ „მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონის“ მაჩვენებლის განვითარების მეთოდიკას (რომელსაც ეთანხმება გ.მენქიუც) და დასკვნის, რომ იგი ბევრ ცდომილებას იწვევს და რეალურ ვითარებაზე „მრუდე წარმოდგენას“ იძლევა⁵.

სასურველი იყო ასეთი შეფასების კონკრეტული ფაქტებით დასაბუთება. „ფაქტები“ კი შეიძლება ავტორის საწინააღმდეგოს მეტყველებდეს. ასე მაგალითად, საქართველოში „მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონის“ ავტორის „მეთოდიკის“ მიხედვით გაანგარიშების შემთხვევაში, შესაძლებელია მივიღოთ „აქტიურობის დონის“ უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე „ოფიციალურადა“ დაფიქსირებული;

ტერმინის - „შრომითი რესურსები“ გაანალიზებისას ავტორი წერს, რომ „ჩვენი აზრით, იგი არ შემოიფარგლება შრომისუნარიანი ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობით“⁶. მიღომა, რა თქმა უნდა, სწორია იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი მოსაზრება არაერთხელ გამოთქმულა ეკონომიკურ ლიტერატურაში. უნდა ითქვას ისიც, რომ ტერმინს - „შრომითი რესურსები“ აღარ იყენებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

კვიქრობთ, სტატიაში წარმოდგენილი შეხედულება – „სამუშაო ძალა როგორც საქონელი“, უფრო ახლებურ გაზრებას მოითხოვს. ყველას შეუძლია თავის პოზიციაზე დარჩენა, მაგრამ ცივილიზებული სამყაროს სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემაში, „სამუშაო ძალა და ცოდნა“ საქონლის კატეგორიაში არ განიხილება. სხვა საკითხია, როდესაც მ.შ. სამუშაო ძალის (კაონომიკურად აქტიური მოსახლეობის) მიერ შექმნილი „პროდუქტი“ აღირიცხება „საქონლის“ ან „მომსახურების“ სახით.

დაბოლოს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ლეო ჩიქავას დასახელებული სტატია შეიცავს საინტერესო მოსაზრებებს, შენიშვნების ჩათვლით, რეზენტატა, ტაზომნეულობრივი მუსტაკი და სამუშაო სამსახური, 1997, გვ. 3, 69.

⁵ იქნ.

⁶ ქურნ. „კაონომიკა და ბიზნესი“, 2010, №5, გვ. 35.

⁷ ქურნ. „კაონომიკა და ბიზნესი“, 2010, №5, გვ. 43.

სასარგებლო იქნება როგორც თეორიულ ნაშრომებში, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში.

გოგიართი შენიშვნა რამდენიმე ეკონომიკური ტერმინის
შინაარსობრივი დაზვრულობის საკითხებზე

ნუზგარ პატაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

Concerning the contents of economic terms

A. Silagadze

The work analyses an article by professor Leo Chikava originally published in the Economics and Business journal, N 5 of 2010. The author contradicts to several ideas of professor Leo Chikava and states different opinions concerning some issues.

ეკონომიკური ტერმინების სწორად დადგენის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისასალმებელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული ოკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ და ჩიქავას მიერ უკრნალ “ეკონომიკა და ბიზნესში”¹ აღნიშნულ პრობლემაზე სამყცინერო სტატიის გამოქვეყნება. მასში, მისი ავტორისათვის დამახასიათებელი პირდაპირობით, გადმოცემულია საკუთარი შეხედულებები ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვის საკითხებზე. ჩვენი აზრით, ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ძირითადად სწორია. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ლ. ჩიქავას მიერ ამ სტატიაში მოცემული ზოგიერთი მოსაზრება, რბილად რომ ვთქვათ, მეტად სადაცოა. მოკლედ, ზოგიერთი მათგანის შესახებ:

1. სადაცოა ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გარკვეული კორექტივის შეტანას საჭიროებს საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის ქვედა ზღვრად 15 წლის მიღება და მიზანშეწონილია იგი 18 წლით განისაზღვროს. საქმე ისაა, რომ ჯერ ერთი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით არაა განსაზღვრული შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის არც ქვედა და არც ზედა ზღვარი. ეს თითოეული სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა. ბევრ ქვეყანაში იგი 15 წელზე დაბალია,

¹ იხ. უკრნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2010წ., №5, გვ.29-44.

ხოლო აშშ-სა და ევროპის უმეტეს ქვეყნებში 15-16 წელია; მეორე, 15 წლის ასაკის ახალგაზრდებს უკვე მიღებული აქვთ არასრული საშუალო განათლება, რომლის შემდგომ თითოეული (მშობლებთან ერთად) წყვეტა – გააგრძელოს სწავლა, თუ შეუდგეს შრომით საქმიანობას, და მესამე, რატომ არ შეიძლება 15 წელი მიღებულ იქნეს შრომისუნარიანი ასაკის ქვედა ზღვრად, მაშინ როცა ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობით ქორწინებაში რეგისტრაცია დასაშვებია 17 წლის ასაკის მიღწევიდან და რა გასაკვირია (პირიქით, სავსებით ბუნებრივია), თუ ახალგაზრდა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ოჯახის შექმნა ან არ სურს სწავლის გაგრძელება, დაქორწინებამდე ჩაებას შრომით პროცესში, რათა მოახდინოს თავისი სურვილისა და შესაძლებლობის რეალიზაცია და საკუთარი წვლილი შეიტანოს მშობლებისა და თავისი მომავალი ოჯახის რჩენაში. ეს ასეა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და უცნაური არაფერია, თუ ჩვენთანაც ასე იქნება. თუმცა, ყველას აქვს უფლება გამოოქვას თავისი მოსახრება. მაგალითად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ ზღვრად უმჯობესი იყო დაწესებულიყო არა 15, არამედ 16 წელი, ისე როგორც წინათ იყო და არა 18 წელი, როგორც ამას პროფესორი ლ. ჩიქავა გვთავაზობს. არა მგონია (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის უცნობია) მსოფლიოში არსებობდეს თუნდაც ერთი ქვეყანა, სადაც სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული შრომისუნარიანი ასაკის ქვედა ზღვარი 18 წელი (ან მეტი) იყოს.

2. დასახელებული სტატიის ავტორი აღნიშნული ჟურნალის 31-ე გვერდზე მიუთითებს: “რაც შეეხება ზედა ზღვარს, მისი განუსაზღვრელობა გაუმართლებლად მიგვაჩნია... ჩვენი მიზანია ხაზგასმა იმისა, რომ დაუსაქმებელი პენსიონერი არ უნდა ჩაითვალოს ტიპურ უმუშევრად...”. ცხადია, ავტორის აღნიშნული მოსაზრება სწორია და ამაში მას მთლიანად ვეთანხმებით, მაგრამ გაუგებარია აღნიშნულ შემთხვევაში ავტორი ვის ედავება. როგორც უკვე აღნიშნული იყო, შრომისუნარიანი ასაკის ქვედა და

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ზედა ზღვარის დადგენა თითოეული სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა. საქართველოში იგი დადგენლია და შეადგენს: მამაკაცებისათვის 15-დან 65 წლამდე, ხოლო ქალებისათვის – 15-დან 60 წლამდე. რაც შეეხება მეორე დებულებას იმის შესახებ, რომ დასაქმებული პენსიონერი არ უნდა ჩაითვალოს ტიპურ უმუშევრად – ესეც სრული ჭეშმარიტებაა და ამაზე დღეს არ დაობენ. ყველ შემთხვევაში, ჩემთვის უცნობია ამ პრობლემაზე მომუშავე მკვლევარები, რომელთაც ამაზე განსხვავებული მოსაზღებები ჰქონდეთ.

3. ვერ დავეთანხმებით პროფესორ ლ. ჩიქავას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ცნების განმარტებაში. იგი ამ ცნებაზე მსჯელობისას აკეთებს დასკნას, რომ “ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შესახებ მსჯელობა უნდა შემოიფარგლოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობით. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ისმის კითხვა: “შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა” და “ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა” – იდენტური ცნებებია? – ცხადია, არა. ესენი არაა იდენტური ცნებები. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილია (თუმცა, ძირითადი ნაწილი) ეკონომიკურად აქტიური... “ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის” ჩვენეული განსაზღვრა, დასძენს პროფესორი ლ. ჩიქავა, ასეთია: ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის სრული შრომისუნარიანი (18 წლიდან საპენსიო ასაკამდე) მოსახლეობა, რომლის ერთი ნაწილი დასაქმებულია, ხოლო მეორე ნაწილი უმუშევარი – რომელსაც აქვს შრომის უნარი, დასაქმების სურვილი და როგორც კი გამოჩნდება თავისუფალი ვაკანსია, მზადაა საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობის დასაწყებად (გვ. 32-34)”. ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრება ასეთია: “შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა” და “ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა” რომ იდენტური ცნებები არაა, ეს შესაბამისი მკვლევარებისა და სპეციალისტებისათვის საყოველოთაოდ ცნობილია და ახალი აღმოჩენა არაა. რაც შეეხება ეკონომიკურად აქტიური მოსაზ-

ლეობის ავტორისეულ (პროფესორ ლ. ჩიქავას) განმარტებას, ვფიქრობთ, რომ იგი არაზუსტია, უპირველეს ყოვლისა, იმ ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ “ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა არის სრული შრომისუნარიანი (18 წლიდან საპენსიო ასაკამდე) მოსახლეობა”. სინამდვილეში ცნება “ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა” საერთაშორისო სტანდარტებით შრომისუნარიანი მოსახლეობით არ შემოიფარგლება. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ იმ ავტორების მოსაზრებას, რომლებიც, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, თვლიან, რომ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება საქონლისა და მომსახურების წარმოებაში მონაწილე ყველა პირი. კატეგორიების მიხედვით მას განეკუთვნებიან: ა) დაქირავებული პირები – მუშები და მოსამსახურები; ბ) დამოუკიდებული მომუშავენი; გ) საოჯახო საწარმოებში ოჯახის დამხმარე პირები; დ) ობიექტური პირობებით განპირობებული დროებით არამომუშავე პირები (ავადმყოფობა, შვებულება და სხვ.); ე) მოსწავლეები წარმოებისგან მოუწვევტლად; ვ) პირები, რომლებიც გადიან პროფმომზადებას საწარმოში და იღებენ სტიპენდიას ან ხელფასს. აღნიშნული ცნება ასეა განმარტებული ყველა სახელმძღვანელოსა და ლექსიკონში, ვინაიდან ამ ტიპის პუბლიკაციებში ცნებები და განმარტებები გადმოიცემა ისე, როგორც საყოველთაოდ მიღებულია მოცემულ პერიოდში¹. საერთოდ, ცნობილია, რომ ეკონომიკური ცნებების თუ ტერმინთა შინაარსი არ ყალიბდება ზებუნებრივი ძალების მიერ. მას, სოციალური და ეკონომიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ადამიანები აყალიბებენ და თანხმდებიან რაში რა იგულისხმონ.

შრომის ეკონომიკისა და სტატისტიკის სფეროში სწორედ ასეთი “შემათანხმებელი” ინსტიტუტია შრომის საერთაშორისო ორგა-

¹ Управление Персоналом. Энциклопедический Словарь. Авторский коллектив. Под. ред. д.э.н. профессора А.Я. Кибанова. М., 1998, с.438; Экономика Труда и Социально-Трудовые Отношения. Учебник. Под. ред. Меликъяна Г.Г. и Колосовой Р.П., М., с.27; Рональд Дж. Эренберг, Роберт С. Смит. Современная Экономика Труда. Теория и Государственная Политика. Перевод с английского.

ნიზაცია და ამ სფეროში მისი რეკომენდაციები გაზიარებულია საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისა და შესაბამისი სპეციალისტების დიდი უმრავლესობის მიერ.

4. ერთობ სადაცო მოცემულ სტატიაში პროფესორ ლ. ჩიქავას მიერ მოცემული “ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის” განმარტება. იგი წერს: “ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა უდრის შრომისუნარიან ასაკს მიღწეული მოსახლეობის, შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული მოსახლეობისა და შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისგან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის გამოკლებით მიღებული ნაშთის ჯამს”(გვ.35). ვფიქრობთ, მოცემული განმარტება არაზუსტი და ბუნდოვანია. კერძოდ, გაუგებარია რა იგულისხმება “მიღებული ნაშთის ჯამში”. თუ აგტორი თვლის, რომ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის დასადგენად მოსახლეობის ზემოხამოთვლილ ნაწილებს ცალ-ცალკე უნდა დაგაკლოთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა და შემდეგ მიღებული ნაშთები შევაჯამოთ, აზრს მოკლებულია (სხვაგვარად, “მიღებული ნაშთის ჯამზე” მსჯელობა აზრს კარგავს). მოცემულ შემთხვევაში ავტორს, ალბათ, სურდა ეთქვა, რომ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა უდრის მოსახლეობის ჩამოთვლილი ნაწილების ჯამს, ანუ მთელ მოსახლეობას გამოკლებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. ამ შემთხვევაში - “მიღებული ნაშთის ჯამი”, სრულიად ზედმეტია. რაც შეეხება მოცემული განმარტების არსებით მხარეს, მასზე ჩვენი პოზიცია ასეთია: ვერ დავეთანხმებით პროფესორ ლ. ჩიქავას იმაში, რომ ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობაში იგულისხმება მთელ მოსახლეობას (მ.შ. მცირეწლოვან ბავშვებს) გამოკლებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა. სინამდვილეში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელსაც იზიარებს ამ პრობლემაზე მომუშავე მკვლევარების უმრავლესობა და სტატისტიკური სამსახურები, ეკონომიკურად არააქტიური

მოსახლეობა შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილია, რომელიც არ შედის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. ეს ასევა განმარტებული შესაბამის სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების დიდ უმრავლესობაში¹.

“ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის” ცნების განხილვისას, პროფესორი ლ. ჩიქავა აკრიტიკებს ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მოტანილ ამ ცნების განმარტებას (გვ.35). ამის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ დასახელებულ ლექსიკონში ზუსტად არის ჩამოთვლილი ამ კატეგორიის შემადგენელი ნაწილები. თუმცა, უკეთესი იქნებოდა, თუ განმარტების დასაქტივისში სიტყვა - “მოსახლეობას”, წინ დაერთვებოდა სიტყვა - “შრომისუნარიანი” და ამ წინადადებას ჩამოშორდებოდა მისი ბოლო ნაწილი.

5. “დასაქმების დონის” ცნების განხილვისას პროფესორ ლ. ჩიქავას დასახელებული ეკონომიკური ლექსიკონიდან მოჰყავს შემდეგი ამონარიდი: “დასაქმების დონე, ე.ი. შრომით პროფესიი ჩართვა, დამოკიდებულია თანაფარდობაზე – შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასა და სამუშაო ადგილებს შორის, აგრეთვე სამუშაო ადგილების შესაბამისობაზე იმ მუშაკების გამოყენების შესაძლებლობასთან, რომლებიც შეზღუდული არიან პროფესიით, სპეციალობით, სამუშაო გამოცდილებით, ცოდნითა და უნარით” და დასხენს: “რომ არაფერი ვთქვათ ამ ამონარიდის მეორე ნაწილის ბუნდოვნობაზე, პირველ ნაწილში მსჯელობა უნდა იყოს არა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასა და სამუშაო ადგილებს შორის თანაფარდობაზე, არამედ შრომისუნარიანი ასაკის დასაქმებულთა რიცხოვნობასა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობას შორის თანაფარდობაზე”, შევნიშნავთ, რომ ამ მაჩვენებლით კი არ ყალიბდება, არამედ იზომება მოცემულ მომენტში რეალურად არსებული დასაქმების დონე.

ეკონომიკური თაობისა და ეკონომიკური პოლიტიკა

ბისა და სამუშაო ადგილების რაოდენობას შორის. რაც უფრო უახლოვდება სამუშაო ადგილების რაოდენობა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობას, შრომაში ჩაბმის მით მეტი შესაძლებლობაა, რაც იწვევს დასაქმების დონის მატებას. ამიტომა, რომ უმუშევრობის შესამცირებლად და, შესაბამისად, დასაქმების დონის ასამაღლებლად, უკლებლივ ყველა ქვეყანაში და მათ შორის ჩვენთანაც, უპირველესი ამოცანაა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. რაც შეეხება პროფესორ ლ. ჩიქავას დებულებას იმის შესახებ, რომ “მსჯელობა უნდა იყოს არა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობასა და სამუშაო ადგილებს შორის თანაფარდობაზე, არამედ შრომისუნარიანი ასაკის დასაქმებულთა რიცხოვნობასა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობას შორის თანაფარდობაზე”, შევნიშნავთ, რომ ამ მაჩვენებლით კი არ ყალიბდება, არამედ იზომება მოცემულ მომენტში რეალურად არსებული დასაქმების დონე.

რაც შეეხება დასახელებული ლექსიკონიდან მოტანილი ამონარიდის მეორე ნაწილს, რომელსაც პროფესორი ლ. ჩიქავა ბუნდოვანს უწოდებს, არაფრით არ იმსახურებს ასეთ შეფასებას. ვფიქრობთ, რომ ამონარიდის ეს ნაწილი სრულიადაც არაა ბუნდოვანი. აქ გამართული ქართულით გასაგებადაა მითითებული, რომ დასაქმების დონე დამოკიდებულია, აგრეთვე, სამუშაო ადგილების შესაბამისობაზე იმ ადამიანების გამოყენების შესაძლებლობასთან, რომლებიც შეზღუდული არიან ჯანმრთელობის მდგომარეობით, პროფესიით და ა.შ. მაგალითად, ცივილიზაციებულ და განვითარებულ ქვეყნებში სპეციალურადაც კი ქმნიან ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც შეუძლიათ დასაქმდნენ მუშაობის მსურველი ინვალიდები და ა.შ. ბევრ ქვეყანაში ახალისებენ კიდეც ბიზნესმენებს, რომლებიც ქმნიან ასეთ სამუშაო ადგილებს. ყოველივე ეს, ცხადია, ზრდის დასაქმებულთა რაოდენობას და შესაბამისად, დასაქმების დონეს.

6 ასევე ვერ გავიზიარებთ პროფესორ ლ. ჩიქავას მიერ

¹ იხილეთ დასახელებული რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი, გვ. 438.

პროფესორ რ. ასათიანისადმი გამოთქმულ კრიტიკას, რომელსაც იგი ედავება, რომ დასაქმების დონე იზომება არა დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობასთან, არამედ შრომისუნარიანი ასაკის დასაქმებული მოსახლეობის შეფარდებით შრომისუნარიან ასაკში მყოფ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოცემულ შემთხვევაში პროფესორი რ. ასათიანი მართალია. თუ რატომ, ამის შესახებ ჩვენ ზემოთ გვჭონდა მინიშნებული, როცა ვმსჯელობდით “ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის” ცნების შესახებ. უბრალოდ გაუგებარია – რატომ არ შეჟყავს პროფესორ ლ. ჩიქავას დასაქმებულები (მხედველობაში გვაქვს 15-დან 18 წლამდე დასაქმებულები და დასაქმებული პენსიონერები) დასაქმებულებში. იგივე მიზეზით ვერ გავიზიარებთ მის იმ მოსაზრებასაც, რომ “უმუშევრობის დონე – შრომისუნარიანი ასაკის უმუშევრობა რიცხოვნობის შეფარდება ამავე ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან გამოხატული პროცენტებში (გვ.42)”. მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ბ-ნი ლ. ჩიქავას მიერ შემოთავაზებული უმუშევრობის დონის გამომხატველი შეფარდების მნიშვნელი.

7. მოცემულ სტატიაში პროფესორი ლ. ჩიქავა დაწვრილებით განიხილავს “სამუშაო ძალას” როგორც საქონელს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ცდებიან ის ავტორები, რომლებიც სამუშაო ძალას არ აღიარებენ როგორც საქონელს. მაგალითობისათვის დასახლებულია რ. აბესაძის ნაშრომი “ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა”. ჩვენ ვერც მოცემულ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ სტატიის ავტორის მოსაზრებას და მიგვაჩია, რომ რ. აბესაძე (და სხვები, რომლებიც მსგავს პოზიციაზეა) მართალია და ვეთანხმებით მის მოსაზრებას. უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ სამუშაო ძალა, როგორც შრომის უნარი, მისი მფლობელისგან განუყოფელია და შეუძლებელია მისი სხვის საკუთრებაში გადას-

ვლა გაცვლის მეშვეობით. მუშაკის დაქირავებით დამქირავებელი იძენს მხოლოდ მისი (მომუშავის) შრომის უნარის გამოყენების უფლებას გარკვეულ პერიოდსა და პირობებში გარკვეული გასამრჯელოს საფასურად.

მთლიანად ვიზიარებთ სენებულ სტატიაში ბ-ნი ლ. ჩიქავას მიერ მოცემულ “შრომითი რესურსების” ტერმინის შინაარსის განსაზღვრას. იგი ემთხვევა ამ საკითხზე ეკონომიკურ ლიტერატურაში გაბატონებულ შეხედულებას. ამ განმარტებით, შრომით რესურსებში საკეთი სამართლიანად შეტანილია შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი და შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დასაქმებულია (ნაწილობრივ დასაქმებულთა ჩათვლით, გვ.43). აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ შრომისუნარიან ასაკს მიუღწეველი და შრომისუნარიან ასაკს გადაცილებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დასაქმებულია – შედის შრომით რესურსებში, მაშინ ისინი რატომ არ უნდა შედიოდნენ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში? ცხადია, ადამიანები, რომლებიც დასაქმებულებია და ხშირად შრომისუნარიან ასაკში მყოფებზე არანაკლები (ზოგჯერ მეტიც) წვლილი შეაქვთ ქვეყნის განვითარებაში – უთუოდ შედიან ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო პროფესორ ლ. ჩიქავას და უურნალის რედაქციას ასეთი პოლემიკური სტატიის გამოქვეყნებისათვის. მასში უთუოდ საინტერესო და სასარგებლო მოსაზრებებია გამოთქმული, რომელთა ნაწილი ერთობ სადავოა, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სასარგებლო, რადგან აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ თუ სამეცნიერო ნაშრომებში (სტატიებში და ა.შ.) ყველას აქვს უფლება ნებისმიერ პრობლემაზე თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, თუნდაც მკვეთრად განსხვავებული, მოცემულ მომენტში მოცემულ საკითხზე გაბატონებული მოსაზრებისგან, სახელმძღვანელოები და შესაბამისი ლექსიკონები კი მოკლებულია ამ

უფლებას, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია მათი კრიტიკული განხილვისას.

Some notes on the content and meaning of certain economic terminology.

N. Paicahdze

This article puts forward critiques and scrutiny of an article published in the journal “Economics and Business” 5th issue, 2010 by prof. L Chikava regarding contextual meaning of some debatable economic terms. The author disagrees with several inferences of Mr. L. Chikava on contextual meaning of certain economic terms and notions; and suggests his own opinion on these issues.

**ECONOMIC POLICY OF GEORGIA
DETERMINER OF NATIONAL
COMPETITIVENESS**

*Gulnaz Erkomaishvili
Associate Professor Ivane Javakhishvili
Tbilisi State University*

Upheaval of economics competitiveness is the most important task of any state. One of determinant role belongs to economic policy.

Economic policy is the gadget of the economic interests realization¹. In globalization era the national business is the main factor of the national competitive strategy directed to modern technologies and innovations. In view of obtaining competitive priority is very important to take into account as how expanded and transnationalized is the private business in the country. Information technologies strengthen political and economic power of developed states and quality of other state dependence. Exactly these states are the most competitive in the international market. In contemporary conditions with limited resources almost no state can be competitive in all positions.

The Georgian rating in the world economic forums 2009-2010 reports like other states is represented in the indexes of global competitiveness (GCI) and business competitiveness (BGI).

According to the global competitiveness index, in survey periods, our country among 133 occupies 90 place. The leading states in 2010 is Switzerland, index 5,60; USA – 5,59; Singapur – 5,55; Sweden – 5,51; Denmark – 5,46; Finland – 5,43; Germany – 5,37; Japan – 5,37; Canada – 5,33; Netherlands – 5,32;

Among former Soviet states the most competitive is Estonia (35 – place in 2010, 32 place in 2009, index-4,56); the worst rating has Tajikistan (122 place in 2010, 166 in 2009, index 3,38) and Kirgizia (123 place in 2010; 122 in 2009, index 3,9,96).

Rather low rating obtained by Russia, so huge state (63 place) despite having so vast natural recourses. The scientific capacities are rather high such are production of agrocosmos and military technics. The competitiveness of mentioned states are low for no having nomenclature for those services which may be more competitive in the international market. The only one real product that may be offered to the West by Russia is oil and gaz.

State competitive priority is conditioned scientific and information technologies gained successes, the stable business environment and the strategy oriented to the export. Moreover, the education level is of more priority matter and the lower priority is given to the natural recourses. For example, Japan. While process of obtaining and retention of competitive priority the active role belongs to the state economic policy.

In order to have the high education level the state care is necessary, financing of scientific-research works, drawing of foreign investments mostly in the fields of the scientific capacity, adaptation with the world scientific achievements and deepening of scientific-technical cooperation.

What kind of situation in conformity with business development in Georgia and is it possible to be one of the world most competitive 55 states? As we could observe even small states are in the list.

According of business competitiveness indexes Georgia is among leaders. By the index of simplicity of doing business on 11 place among the world 183 states, after Singapore, New Zealand, USA, UK, Denmark, Ireland, Canada, Australia, and Norway. Out of former soviet states – Lithuania – 26, Latvia – 27, Azerbaijan – 38, Kirgizia – 50, Armenia – 43, Kazakhstan – 63, Moldova-94, Russia 120, Ukraine – 142, Uzbekistan – 150, Tajikistan – 152.

The last period export structure (2001-2009) in some way reflects the priority spheres. The biggest export productive groups of Georgia is as follows: alloys (17,8%), black iron scrap (8,6%), copper deposits and concentrates (7,9%), cars (7,6%), nitric fertilizers (7,0%), dressed and semi-dressed gold (6,7%), cement (5,3%), alcohol and alcohol drinks (4,9%), natural wines from grapes (2,5%), chest nut and wall-nuts (2,1%). In comparison with 2004 in 2008 especially increased the export of cement (by-17), alloys (by 6,3), gold

¹ The Global Competitiveness Report 2009-2010@2009World Economic Forum. www.Weforum.org

(6,0), copper ores and concentrates (by 3,7), nitric fertilizers (by 3,7), alcohol and alcohol drinks (by 3,0). Comparatively less export was observed – grapes natural wines (by 2), chest nuts and wall nuts (1,8). In 2005 the wine export was sharply reduced with the big importer state Russia. In 2001-2003 the wine products export comprised 10,3% of the whole export, at present only 2,5%¹.

Therefore in the export is important the industrial production share that make us to think that it is possible for the state the rating priority in industrial sector and this will promote development of other sectors (agriculture, construction, trade). According of opinion of foreign experts and Georgian specialists Georgia belong to those countries which have the biggest potential in production of agricultural and food products.

In international distribution of labor Georgia may take successful part at the expense of agricultural manufacturing and food industry traditional sectors development.

From traditional fields of the country into international market usually pass the production which is manufactured by local and foreign entrepreneurs together. The most popular form of inclusion to the local enterprise together with foreign is the joint venture, though we may face also another forms of inclusion. In difference from other forms the joint venture has one priority that is the risks distribution is carried out between foreign investor and local entrepreneur. Furthermore existence of the local partner facilitates activities of foreign partner and release from many problems conditioned by local peculiarities.

For manufacturing of competitive production the interesting form has franchising system application. It is widely used in retail trade, in service sphere and less used in enterprising. It should be also noted that while enterprise franchising in difference with other ones, franchising remains as autonomy. In Georgian food industry usage of franchising system will be especially useful in tea and cans manufacturing.

In a whole world is ultimately increasing demands for water. Almost in no state of world the water is not applicable for usage and Georgia is the

¹ www.statistics.ge

rich in water recourses. In this way its indexes exceed the per/person indexes : the world – by 2,5; Europe – 2,4; Asia – 1,7. Moreover, 30% of Georgian high quality drinking water is in underground.¹. Georgia has ability to meet the demands of the whole world. The most beneficial business may become water business. In this way it is necessary to develop advertizing activities and organization of electronic trade.

Georgia must have priorities not only in traditional fields but also in high quality, high-tech and high productive spheres as well. Only in this way is possible increase of competitive long-term, irreversible growth, boosting of revenues and salaries and improvement of population living conditions. We may name, for example, manufacturing of pharmaceutical products, telecommunication devices, gadgets and installments. The focus should be made towards high technological and valuable products. This will give the opportunity to the state in substitute of export production to receive import products in comparatively actual capacities.

While the last period in a whole world has been especially boosted demands for preparations of plant origin. Accordingly has been increased demands for medicinal plants. The medicinal plants which plays one of the most important part in pharmacological research industry and in creation of medicinal preparations, at present are widely spread. Natural preparations represent significant part in a whole medicinal trade capacity. Georgia's flora is rich with medicinal plants from ancient times. Georgia has ability to occupy honorable part in manufacturing-realization of medicinal plants in the international market. The state should promote production of ecologically pure preparations and drawing of investors with care in this field. Reasonable application of medicinal plants will facilitate recreation of the state economy, boosting of export revenues, creation of jobs and reduction of population quantity being on the verge of poverty.

Creation of competitive status of Georgia in a world market is highly depended upon competitive fields of the service sphere like hotels and restaurant businesses and insurance. At the end of 2008 and beginning of 2009 several famous international hotels nets started operation. Among them are presented by – “Marriott”, “Hilton”, “Radison”, Camping and so on.

¹ G. Erkomaishvili. Business – the main aspect of the firm functioning. Tbilisi, 2007, p. 56.

It was conditioned by fast increase of tourists, yearly 70-80% in years 2005-2007. Positive balance of tourism service in 2007 has been up-surged by 44%⁵. although in war of August, 2008 this index has been significantly reduced. Practically has been got down the seaside season where the tourists were expected. The tourist companies were trying to increase the quantity of tourists by lowering of prices (10% - 40% discounts).

For tourism development it is necessary to pursue the liberal policy. For instance such approach in Turkey facilitated development of tourism. The state for the entrepreneurs engaged in tourism had made discounts for a few years: presented them loans without interest rates and credits with tiny interest rates, relieved them from tax and etc. All these made Turkey one of the leading states in world tourism entered in the first top-ten.

The state support should be reflected in provision of legal base and elaboration of correct policy. The state policy of tourism development should be directed into sector of support of existed liberalization and investments. If the state will create corresponding situation for investors, they will invest their capital in tourism, the local and foreign investors as well.

As it is well-known one of the important factors is direct drawing of foreign investors and reasonable usage of investments.

Rather high investments were implemented in Georgia, in bank, insurance, telecommunicastion, transport, hotel, energetic and other spheres. The investments was mainly directed into creation of infrastructure and not for promotion of the sectors like agriculture, weaving in which Georgia has some priorities. They are less targeted towards creation of jobs and upgrade of productivity, however provide recreation and economic development while long period.

In order to improve the investment climate in Georgia it is necessary : to study tendencies of international business development; to define existed opportunities in Georgia, their impact on drawn investments; completion of legal base; simplicity and transparency of court process; material interests for foreign investors whereupon the certain discounts are necessary for tax and less restrictions; development of investment activities.

The grounds for competitiveness of the state is its export competitive

ability. The strategy directed to export has become the most important factor of development of numerous states economy. The clear example of all these the successes achieved of South-Asia new industrial states which have chosen the strategy directed exactly towards export and obtained upgrade quality in the international arena. Here may be mentioned Switzerland where the cheaper prices are fixed for export products than for inside the state. The difference in prices will be compensated by the state.

As to Georgia, it has quite catastrophically negative trade balance, import exceeds export by 4 times. According of foreign trade turnover by 2009 data, the biggest partner of Georgia is Turkey (15,1%), then Azerbaijan (10,7%, Ukraine (10,1%), Germany (6,8%), Russia (6,0%), USA (4,8%) and so on.². The stable development and raising of competitiveness will be impossible in case the export share will not be increased.

One of the priorities of Georgia is its transit functions which together with natural-climatic conditions, intellectual recourses and other factors should provide business development in the state and upgrade of economics competitiveness.

მოვცელი პოლიტიკურიანობის განვითარები ეკონომიკური პოლიტიკა

გ. ერქომაიშვილი

ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება წებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანების ამოცანაა, რაშიც ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი ეკონომიკურ პოლიტიკას ეკისრება.

ნებისმიერი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საფუძველია მისი საქართველოს კონკურენტუნარიანობა. ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგია გახდა მრავალი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანების ფაქტორი. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვნებს, რომ საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანია

¹ www.statistics.ge

² www.statistics.ge

სამრეწველო პროდუქციის წილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ქვეყანას ფარდობითი უპირატესობა პქონდეს ინდუსტრიულ სექტორში, რაც ხელს შეუწყობს სხვა სექტორების (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა) განვითარებას.

საქართველომ უპირატესობა უნდა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუძლევადი ზრდა. ასეთია, მაგალითად, ფარმაცევტული პროდუქციის, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობის, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებზე, შესაბამისად, იმატა მოთხოვნამ სამკურნალო მცენარეებზე. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას.

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს კონკურენტული სტატუსის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომსახურების სფეროს ისეთ კონკურენტულ დარგებზე, როგორიცაა სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი და დაზღვევა, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სექტორში არსებული ლიბერალიზაციის შენარჩუნებისა და ინვესტიციების მხარდაჭერაზე. სახელმწიფო ოუ შესაბამის გარემოს შეუქმნის ინვესტორებს, ტურიზმში ფულს დაბანდებენ როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ინვესტორები. სახელმწიფოს დახმარება საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფაში და სწორი პოლიტიკის შემუშავებაში უნდა გამოიხატებოდეს.

საქართველოს ერთ-ერთი კონკურენტუნარიანი უპირატესობა მისი სატრანზიტო ფუნქციაა, რომელმაც ბუნებრივ-კლიმატურ პი-

რობერთან, ინტელექტუალურ რესურსებთან და სხვა ფაქტორებთან ერთად, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

შობადობის პროცესი საქართველოში

გერაა ხმალამი

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

დღეისათვის, საქართველოში შობადობის დონე წარსულთან შედარებით, გაცილებით დაბალია. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით იბადებოდა 40 ბავშვი, ე.ი. შობადობის დონე 40 პრომილეს შეადგენდა.

რა ფაქტორები განაპირობებდა წარსულში შობადობის მაღალ დონეს? უპირველეს ყოვლისა, შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის მაღალ დონეზე. შიმშილობა, ომები, ეპიდემიები იწვევდა ისეთ მაღალ მოკვდაობას, რომ მოსახლეობის დაბალი ტემპებით ზრდაც კი მიიღწეოდა მხოლოდ შობადობის შეუზღუდავი, მაღალი დონის პირობებში. დარიბ მოსახლეობაზე რაღა უნდა ითქვას, როდესაც ცნობილია, რომ იოჰან სებასტიან ბახს (1685 – 1750) პყავდა 20 შვილი, რომელთაგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 10. ინგლისის დედოფალ ანას (1665 – 1714) კუოდა 17 შვილი, რომელთაგან 16 ერთი წლის ასაკამდე გარდაიცვალა, ხოლო ერთიც 17 წლისა. წარსულში განსაკუთრებით მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა ეპიდემიებს. მაგალითად, 1844 წელს თბილისში გარდაცვლილთა 42,0% მოდიოდა ეპიდემიებზე. XIX საუკუნის შუა ხანებზე რაღა უნდა ვთქვათ, როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში გავრცელებულმა გრიპმა „ის-პანგამ“, რამდენიმე წელიწადში შეიწირა 20 მლნ-მდე ადამიანის სიცოცხლე, იმდენივე, რაც პირველმა მსოფლიო ომმა. შესაბამისად, მოკვდაობის მაღალი დონის შედეგად მოსახლეობის ზრდა მეტად არაეკონომიკური იყო.

თაობათა ცვლისათვის საჭიროა დაბადებულებმა მიაღ-

წიონ იმ ასაკს, რა ასაკშიც იყვნენ მშობლები მათი დაბადებისას. მშობლების ამ ასაკს შეიძლება მიაღწიონ შვილების მშობლებზე მცირერიცხოვანნა, თანაბარიცხოვანნა ან მეტრიცხოვანნა თაობებმა. ამის შესაბამისად არსებობს მოსახლეობის აღწარმოების შეკვეცილი, მარტივი და გაფართოებული ტიპი, ე.ი. აღწარმოების, ანუ თაობათა ცვლის კოეფიციენტი შეიძლება იყოს 1-ზე ნაკლები, 1-ის ტოლი და 1-ზე მეტი.

საქართველოში XIX საუკუნის ბოლოსთვის მშობლების საშუალო ასაკი შვილის დაბადებისას 30 წელს შეადგენდა. იმავდროულად, 30 წლის ასაკს აღწევდა დაბადებულთა მხოლოდ 57,0%. ანალოგიურ და ხშირად უარეს მდგომარეობას პქონდა ადგილი ევროპის ბევრ ქვეყანაში. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ მშობლებს უნდოდათ გაეზარდათ შვილების გარკვეული რაოდენობა, საჭირო იყო სულ ცოტა ორჯერ მეტი შვილი გაეჩინათ. დემოგრაფიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ წარსულში ოჯახები იყვნენ არა იმდენად მრავალ შვილიანები, რამდენადაც მრავალ შობადობიანები. ამასთან, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ წარსულში მოსახლეობა ცხოვრობდა „ოქროს დემოგრაფიულ ხანაში”, ოჯახები იყვნენ მრავალ შვილიანები და ადამიანები მხოლოდ „ჩექნს დროში გაფუჭდნენ”, რამაც მიგვიყვანა მცირეშვილიანობამდე.

შვილების რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ყოლა საჭირო იყო, აგრეთვე, მშობლების სიბერის უზრუნველსაყოფად. მაღალ შობადობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ოჯახის მწარმოებლური ფუნქცია. წარსულში, ოჯახის მწარმოებლური ფუნქციის პირობებში, ბავშვების შრომა ფართოდ გამოიყენებოდა და ისინი მნიშვნელოვან სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ.

რამდენადაც შობადობის მაღალი დონე წარმოადგენდა რეაქციას მოკვდაობის მაღალ დონეზე, ამ უკანსკნელის შემცირებას მოჰყვა შობადობის დონის დაცემაც. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოკვდაობის დონე საქართველოში მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით, აღწევდა 30-ს (ერთ-ერთი დაბადი დონეა ევროპაში), 1886-1900 წლებში იგი შემცირდა 17,5 ხოლო, 1911-1913

წლებში – 15,4-მდე.

მოკვდაობის დონის შემცირებასთან ერთად, XX საუკუნეში, საზოგადოებრივმა პროგრესმა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარებამ, შვილების, როგორც მშობლების სიბერის უზრუნველყოფის გარანტის როლი მინიმუმადე შეამცირა. წარმოების კაპიტალადგურვილობის ზრდამ და ტექნოლოგიურმა სრულყოფამ შეზღუდა ბავშვთა არაკვალიფიციური შრომის გამოყენების სფერო და ბავშვი ოჯახში მწარმოებლიდან მომხმარებლად იქცა. ამით საზოგადოებამ ბავშვებს აჩუქა ნამდვილი ბავშვობა. აღნიშნულის შედეგად ოჯახში შვილიანობის შეზღუდვამ, სხვებთან ერთად, ეკონომიკური გამართლებაც პპოვა. არანაკლები როლი ითამაშა ბავშვთა შრომისადმი ინსტიტუციონალური მიდგომის რეფორმებმა. კერძოდ, ევროპის ქვეყნებში პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალის სტატისტიკით 1900-იანი წლებიდან კანონით აიკრძალა 14 წლამდე ბავშვების შრომა, რომელიც დღემდე მოქმედებს.

შობადობის შემცირებაში დიდი როლი ითამაშა ქალთა დასაქმების ზრდამ საზოგადოებრივ შრომაში. შობადობის დონე ყოველთვის დაბალი იყო დასაქმებულ ქალებში დაუსაქმებლებთან შედარებით. შესაბამისად, დასაქმების ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, დაბლა სწევს შობადობის საერთო დონეს. ჩვენი გაანგარიშებით, 1989 წელს, 15-49 წლის ყოველ 1000 დასაქმებულ ქალზე საქართველოში მოდიოდა 213 დაბადებული, ხოლო დაუსაქმებელზე – 249. კაცებში პირიქით: 15-59 წლის ყოველ 1000 დასაქმებულზე მოდიოდა 257, ხოლო დაუსაქმებელზე – 196 დაბადებული. ამასთან, დღევანდელი სტატისტიკა ასეთი ინფორმაციას აღარ იძლევა.

შობადობის დონე უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია განათლების დონესთან. ამასთან, განათლება გაცილებით ძლიერად მოქმედებს ქალების რეპროდუქციულ ქცევაზე, ვიდრე კაცებისაზე. ჩვენი გაანგარიშებით, 1989 წელს 15-49 წლის უმაღლესი განათლების ყოველ 1000 ქალზე მოდიოდა 168 დაბადებული, ხოლო საშუალო განათლების მქონე 1000 ქალზე – 279. კაცებისათვის აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად 225 და 283-ის ტოლია.

მაჩვენებლებს შორის სხვაობა ქალებში – 111, ხოლო კაცებში – 58, ე.ი. ფაქტობრივად ორჯერ ნაკლებს შეადგენს. დღეისთვის, სამწუხაროდ, დემოგრაფიული სტატისტიკა ასეთ ინფორმაციას არ იძლევა. არსებობს ასეთი ინფორმაციის მიღების ერთადერთი გზა – შერჩევითი დემოსოციოლოგიური გამოკვლევები. უახლესი გამოკვლევები ადასტურებს ჩვენს ზემოთ მოტანილ დასკვნას განათლების და შობადობის დონეების უკუპროპორციული დამოკიდებულებების შესახებ (იხ. ცხრილი).

შვილების საშუალო რაოდენობა 2007 წელს რესპონდენტთა განათლების დონის მიხედვით საქართველოში¹

განათლების დონი	მამაკაცი	ქალი
დაწყებითი	24	26
არამაღლი	17	23
საშუალო	16	16
უმაღლესი	15	12

ინდუსტრიული უსამისო უასაცავის უძრავი უსამარტინი ულ დასკვნას როგორც განათლების და შობადობის უკუპროპორციული დამოკიდებულების შესახებ, ასევე იმაზეც, რომ განათლება შვილის ყოლის თვალსაზრისით უფრო ძლიერად მოქმედებს ქალების რეპროდუქციულ ქცევაზე, ვიდრე კაცებისაზე.

დემოგრაფიული განვითარების შედეგად მრავალ შვილიანობიდან (5 და მეტი შვილი) საშუალო შვილიანობაზე (3-4 ბავშვი) გადასვლა კანონზომიერი მოვლენაა, მაგრამ საქართველოში მოხდა გადასვლა მცირეშვილიან (2 და ფაქტობრივად 1 შვილი) ოჯახები, რაც გამოიწვევს დემოპულაციას და ის საზოგადოები-

¹ გენდერული ურთიერთობები თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში. თბ., 2008, გვ. 62.

სათვის მიუდებელია. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს სამშვილიანი ოჯახი. დღეს საქართველოში უკვე პრობლემაა შვილის გაჩენა, იმდენად „მგირი ჯდება საკუთარი შვილის ყიდვა“ სამშობიაროში. ბავშვის ყოლის მოთხოვნილებას ოჯახების უმრავლესობაში სრულად „აკმაყოფილებს“ ერთი შვილიც კი. სწორედ აქ წარმოიშობა წინააღმდეგობა ოჯახსა და საზოგადოებას შორის, რამდენადაც ერთი და ორშვილიანი ოჯახი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის საჭირო მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას.

მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას საქართველოში შობადობის არსებული დონე უზრუნველყოფდა 1991 წლის ჩათვლით. 1992 წლიდან ის შეესაბამება უკვე აღწარმოების შეავეცილ რეჟიმს. საერთოდ, პერიოდი 1992 წლიდან, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დემოგრაფიული კატასტროფის დასაწყისი, მოითხოვს უფრო დეტალურ განხილვას.

ჯერ კიდევ 1994 წელს ვწერდით, რომ „საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდს შეიძლება ისეთი მმიმე დემოგრაფიული შედეგები არ მოჰყოლოდა, ის რომ მომხდარიყო არა ისეთ კრიზისულ, არამედ ნორმალურ პირობებში, თანდათანობით, ახლის მშენებლობის და იმავდროულად ძეგლის ნგრევის პირობებში. ამიტომ საქართველოს გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე აუარესებს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმს. რამდენადაც დიდხანს გაგრძელდება ეს პროცესი, მით უფრო გაუარესდება მდგრამარეობა, ხოლო საკომპენსაციო მექანიზმის ამოქმედება შესაძლო ეფექტს გეღარ მოიტანს. ამის შედეგად დემოგრაფიული გადასვლა დაჩქარდება, რასაც მოჰყვება საქართველოს მოსახლეობის ნააღრევი სტაბილიზაცია მოსახლეობის ნაკლები რიცხოვნობით, ვიდრე ის ნორმალური დემოგრაფიული განვითარების პირობებში მოხდებოდა. ამიტომ მომავალში საზოგადოებას დასჭირდება უდიდესი ძალისხმევა მოსახლეობის დეფორმირებული აღწარმოების რეჟიმის გამოსწორებისათვის.“¹

მაგალითად, თუ დემოგრაფიული კრიზისის დაწყების წინ, 1994 წელს მაღალად დამდგრადებულ შემთხვევაში დამდგრადებულ შემთხვევაში უდიდესი განვითარების პირობებში მოხდება უდიდესი ძალისხმევა მოსახლეობის დეფორმირებული აღწარმოების რეჟიმის გამოსწორებისათვის.

დაბადებულთა რიცხვი 1999-2004 წლებში: დაბადებულთა რიცხვი ამ წლებში საშუალოდ წელიწადში შეადგენდა 47,9 ათასს, რაც წელიწადში იძლეოდა ბუნებრივ მატებას – საშუალოდ 900 ადამიანს. მათ შორის, ბუნებრივი მატება 2002-2003 წლებში საშუალოდ 150 კაცს შეადგენდა. ეს ორი წელი და ფაქტობრივად 1999-2004 წლები საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში შევა, როგორც „დემოგრაფიულად უნაყოფო, ფუჭი წლები.”¹

იმისათვის, რომ ადგილი პქონდეს მოსახლეობის ზრდას, საჭიროა რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) ყოველი 1000 ქალი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში აჩენდეს საშუალოდ 210 ბავშვზე მეტს. 210 დაბადებული ბავშვი უზრუნველყოფს მოსახლეობის მხოლოდ მარტივ აღწარმოებას. დღეისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 167-ის ტოლია რაც მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფს. ასე, რომ შობადობის ზრდა საქართველოში ჯერ მარტივი და შემდეგ კი გაფართოებული აღწარმოების დონემდე, საკმაოდ შორეული მომავლის საქმეა და დიდ პრობლემებს შეგვიქმნის, როგორც ეკონომიკური, ასევე დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით, თუმცა, ასეთი მდგრამარეობა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ნაკლებად აღვლებს.

¹ მერაბ ხმალაძე. დემოგრაფია. თბ., 2009, გვ. 212.

ბიზნესი და კონკურენცია

შპს მოლიქნება
ივაგახიშვილის სახელობის თუ
ასოცირებული პროფესორი

კონკურენცია კომპანიის წარმატებული უუნქციონირების თუ გაკოტრების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. სწორედ კონკურენციის პირობებში ვლინდება თუ რამდენად უწყობს ხელს ეფექტიანობის ამაღლებას კომპანიის ინოვაციები, მისი კორპორაციული კულტურა და არჩეული სტრატეგიის რეალიზაცია.

კონკურენტული სტრატეგიის არჩევის მიზანია როგორც ბიზნესის მოცემული სახეობის მიმზიდველობით გრძელვადიანი მომგებიანობის უზრუნველყოფა, ასევე მისი ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედება, რაც განაპირობებს ფირმის კონკურენტულ პოზიციას დარგის შიგნით. ცნობილია, რომ ერთსა და იმავე დარგში ზოგიერთი კომპანია შეიძლება იყოს გაცილებით უფრო მომგებიანი, ვიდრე სხვა დანარჩენი. ამიტომ კონკურენტული სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს კონკურენციის წესებს, რაც საბოლოო განსაზღვრავს ამა თუ იმ ბიზნესის მიმზიდველობასა და მომგებიანობას. კონკურენტული სტრატეგია მიზნად ისახავს მდგრადი და მომგებიანი პოზიციის დაკავებას, რაც კომპანიას ამ დარგში კონკურენტულ ძალებთან წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას აძლევს.

კონკურენტული უპირატესობების საფუძველია ღირებულება, რომელსაც ბიზნესის სუბიექტები ქმნიან თავიანთი მუიდველებისათვის. ეს ღირებულება შეიძლება იყოს კონკურენტების ანალიგიური პროდუქციის ღირებულებაზე დაბალი ან უფრო ძვირადიორებული, რაციონალურ იდეებზე აგებული საინტერესო წინადაღებები. კონკურენტული სტრატეგიის შემუშავებისას

შნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მიმზიდველ დარგში მომუშავე კომპანიის მოგება შეიძლება არ იყოს მაღალი მის მიერ არასწორად არჩეული კონკურენტული პოზიციის გამო. და პირიქით, კომპანია, რომელსაც უკავია განსაკუთრებული პოზიცია, მუშაობდეს არამომგებიან ბიზნესში, სადაც მიღწეული პოზიცია არაფერს წევერს.

ორივე ეს ასპექტი, რაც განაპირობებს კონკურენციის სტრატეგიის არჩევას, დინამიკურია, რაც ნიშნავს იმას, რომ დარგის მიზნიდან გველობამ და კომპანიის მომგებიანობამ დროთა განმავლობაში შეიძლება ცვლილებები განიცადოს, ანუ არა-მომგებიანი დარგები და ბიზნესი გახდეს მომგებიანი და პირიქით. ასევე ცვალებადია კომპანიის კონკურენტული პოზიციები. აქ რომელიმე მონაწილის მოულოდნელი კონკურენტული ქმედება ცვლის მთელი ბაზრის სიტუაციას.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში ბიზნესის სუბიექტების სიმრავლეა, ისინი დამოუკიდებლები არიან და ბაზრის უმნიშვნელო წილს ფლობენ. მათ გააჩნიათ ბაზარზე თავისუფალი შეღწევისა და იქიდან გამოსლის უფლება. დარგში ახალი კონკურენტების შეღწევის საშიშროება პერმანენტულად ზრდის იმის ადგათობას, რომ მოგება განაწილდება ახალ კონკურენტებზე, რომელთა გამოჩენის გამო პროდუქციის ფასი კლებულობს. ბიზნესის არც ერთ სუბიექტს აქ არ უკავია დომინირებული მდგომარეობა, იგი არ არის მონოპოლისტი და იძულებულია გაყიდოს პროდუქცია ბაზარზე არსებული ფასებით. ამ პირობებში ბიზნესის სუბიექტებს არა აქვთ შესაძლებლობა უკარნახონ სხვებს საკუთარი ფინანსური ინტერესები. მაგალითად, როდესაც კონკრეტულ ბაზარზე (ნავთობპროდუქტების, ფერადი ლითონების, საბანკო მომსახურებისა და ა.შ.) არსებობს მყიდველთა და გამჭიდველთა დიდი რაოდენობა, არც ერთ მათთაგანს არ შეუძლია შექმნას მოთხოვნა და მიწოდება იმ რაოდენობის პროდუქციაზე, რაც შესამჩნევ გავლენას მოახდენს მის ფასზე. მოგება შეიძლება შემცირდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იზრდება წარმატებული კონკურენციისთვის გაწეული საჭირო დანახარჯები.

არსებობს ორი ტიპის კონკურენ-

ტული უპირატესობა: დანახარჯების შემცირება და საქმიანობის დიფერენციაცია. დანახარჯების მინიმიზაციით კომპანია მიზნად ისახავს მცირედანახარჯიანი საქონლის წარმოების ორგანიზებას. დანახარჯების ეკონომიის წყაროებია: მასშტაბის ეფექტი, საკუთარი დაპატენტებული ტექნოლოგიები, ნედლეულის წყაროებზე ხელმისაწვდომობა. ამ ფაქტორებით პერმანენტულად მიიღევა დანახარჯების შემცირება. უპირატესობები დანახარჯებში მიიღევა ასევე დაბალი ზედნადები ხარჯების შედეგად, იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით და სხვ.

თუ კომპანიამ მიაღწია ლიდერობას დანახარჯების შემცირების სფეროში და ინარჩუნებს ამ უპირატესობას დიდი ხნის განმავლობაში, იგი დგენერობს მაღალ მოგებას, რაც დიდად ადემატება კონკურენტების შემოსავლებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოცემული კომპანიის პროდუქცია შესაძლოის უნდა იყოს კონკურენტების პროდუქციასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიას მოუწევს ფასების დაკლება მის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. ეს იმის გამო ხდება, რომ პროდუქციის უნიკალურობა ყველა შეიძლება არ იზიდავს, მას შეუძლია კონკურენტის მსგავსი პროდუქცია იყიდოს ნაკლები ფასით. აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მუდმივად არსებობს პროდუქტი-სებსტიტუტის (შემცვლელი) აღმოცენების საფრთხე, რის გამოც მწარმოებლებმა პერმანენტულად უნდა ეძებონ დანახარჯების შემცირების ახალი წყაროები მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

კონკურენციის მეორე სტრატეგია - დიფერენციაციის სტრატეგიაა, რაც გულისხმობს კომპანიის განსაკუთრებულ მდგომარეობას ამა თუ იმ დარღვი და მიიღწვა პროდუქციის სხვადასხვა მახასიათებლის არსებობით, რაც იზიდავს მყიდველს. დიფერენციაციის საფუძველი შეიძლება იყოს თვით პროდუქტის უნიკალური თვისებები, რეალიზაციის თავისებურებები, განსაკუთრებული მარკეტიზაციი მიღომები და სხვა მრავალი ფაქტორი, რაც დააინტერესებს მყიდველს. მაგალითად, სამშენებლო მანქანა-დანადგარების წარმოების დროს კომპანია Caterpillar¹ –ი უპირატესობას ანიჭებს მათ საექსპლუატაციო

ვადის ხანგრძლივობის ზრდას, ტექნიკურ მომსახურებას, სათა-დარიგო ნაწილების მისაწვდომობას და კარგიდ თრგანიზებულ სადილერო ქსელს². პარტიუმერიის დარგში დიფერენციაციის საფუძველი, ხშირად, პროდუქციის იმიჯი და მისი სხვადასხვა უნივერმაღში განლაგება.

დიფერენციაციის სტრატეგიით კომპანიამ თავის პროდუქციაში ისეთი ატრიბუტები უნდა ჩადოს, რაც მას თავისი უნიკალური თვისებებით განასხვავებს კომპანია-კონკურენტის პროდუქციისაგან. დანახარჯების მინიმიზაციის სტრატეგიისაგან განსხვავებით, დიფერენციაციის სტრატეგია არ მოითხოვს დარგში (ბიზნესში) მხოლოდ ერთი ლიდერის არსებობას, აქ შესაძლებელია იყოს რამდენიმე კომპანია, მაგრამ იმ პირობით, რომ მოცემული დარგის საქმეელს ახასიათებდეს ისეთი პარამეტრები, რომლებსაც განსაკუთრებულად აფასებენ მომხმარებლები.

დანახარჯების მინიმიზაციით ლიდერობის სტრატეგია და დიფერენციაციის სტრატეგია, როგორც წესი, თავსებადი არ არის ერთმანეთთან. დიფერენციაცია საკმარი ძვირი ჯდება, ვინაიდან კომპანიის უნიკალურობა და მყიდველისთვის მისი პროდუქციის სათანადო ატრიბუტირება დანახარჯების ზრდას მოითხოვს.

კონკურენციის საკითხების განხილვისას უურადღება უნდა მიექცეს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსებობას, რომელმაც დიდი გავრცელება ჰქოვა დღეს. ეს შედარებით ახალი მოვლენაა და მისი გამომწვევი მიზეზი, როგორც წესი, ბაზარზე დაძაბული მდგომარეობაა, რაც აიძულებს ზოგიერთ მეწარმეს მოიქცეს კონკურენტის საზარალოდ. პარიზის კონკურენციის² მიხედვით არაკეთილსინდისიერი (უანონო) კონკურენცია ბაზარზე ნებისმიერი ისეთი აქტია, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას, საქმიანი ურთიერთობების წესებს, პატიონებას ბიზნესში, იწვევს კონკურენტების პოზიციების შესუსტებას და აყენებს მათ ზარალს.

არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ადრეც არსებობდა, მაგთოთ იგი არ ასისტენტის როგორც კანონსაწინააღმდეგო. **Майкл Портгер, Конкурентное преимущество: Как достичь высокого результата на основе собственных усилий** Изд. Во «Альпина бизнес» бухгалтерия
Противодействие недопустимой конкуренции в экономической среде бизнеса

<http://market-pages.ru/bussines/80.html>

სახელმწიფო ორგანოები: სამართალდამცავი, სასამართლო სტრუქტურები და ანტიმონოპოლიური კომიტეტი. ეს ორგანოები ებრძინან მეწარმეობის უპატიონსნო მეთოდებს, მაგრამ საკუთარი ბიზნესის დასაცავად ამ სტრუქტურებს უნდა მიმართოს თვითონ დაზარალებულმა, ვინაიდან მხოლოდ მისი ინიციატივის შედეგად მიიღება ზომები.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად კონკურენტს შეიძლება მიეყენოს ზარალი მისი სიმბოლოს, პატენტების, სამრეწველო ნიმუშების, საწარმოს სახელწოდების ან მისი პროდუქციის დასახელების უკანონო გამოყენებით, ასევე კონკურენტის ტექნიკური მიღწევების უკანონო კოპირებით, პროდუქციის ანტირეკლამით. ასეთი ქმედებები ფირმის რეპუტაციის სერიოზულ შედახვას იწვევს.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მეორე მიმართულებაა კონკურენტის საწარმოზე ინფორმაციის არაკანონიერი გზით მოპოვება, რომელიც დაკავშირებულია ფირმის კომერციული საიდუმლოების გამოაშკარავებასთან. კონკურენტული ბრძოლის ეს მეთოდი მეტად გავრცელებულია. იგი გამოიყენება კომერციული საიდუმლოების გაყიდვის ან ფართო საზოგადოების წრეებში მისი განხილვის მიზნით, რომლის შედეგად ამ საიდუმლოებას მოგება არ მოაქვს.

ხშირია მომწოდებლების, კლიენტების, მომსახურე პერსონალის მოსყიდვის ის შემთხვევა, რაც ბიზნესმენს აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს. ამიტომ საჭიროა არაკეთილმოსურნებისგან თავის დაზღვევის ცოდნა.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონი ებრძინის მსგავს მოვლენებს, რისთვისაც არსებობს სპეციალური ინსტანციები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ფირმის არა მხოლოდ რენომეს აღდგენა, არამედ მიუენებული ზარალის ანაზღაურება არაკეთილსინდისიერი კონკურენტის ხარჯზე.

თუ ავისმზრახველმა ამა თუ იმ ფირმის პროდუქციის ანტირეკლამა მოახდინა, მან საჯაროდ უნდა უარყოს ცილისმწამებლური ინფორმაცია და ბოდიში მოიხადოს. მთავარია ეს მოისმინოს ყველამ, ვინც მოისმინა სიცრუე. იმის მიხედვით თუ რა

არხები იყო გამოყენებული - პრესა თუ ტელეარხი, იმავე წყაროების გამოყენებით უნდა მოხდეს უარყოფა. თუ არაკეთილმოსურნე კონკურენტის გამო ვერ შედგა გარიგებები, სასამართლოს მეშვეობით შესაძლებელია როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზარალის ანაზღაურება, რაც დაეკისრება დამნაშავეს.

მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით კონკურენცია სულ უფრო მწვავე და ხისტი ხდება, ამიტომ საჭიროა ყველა აღნიშნული ასპექტის გათვალისწინება. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ხშირ შემთხვევაში, ბიზნესმენების უმეტესობა მიმართავს კონსალტინგურ სამსახურს, რათა მოახდინონ ფირმაში და ბაზარზე არსებული მდგომარეობის დიაგნოსტირება, გამოავლინონ მოსალოდნელი სირთულეები (ორგანიზაციული ბარიერები) და ფირმის პოტენციალისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეიმუშაონ კონკურენტული სტრატეგია.

Business and Competition

J. Tolordava

Article discusses the issues of development of competition strategies. Attention is paid on two types of competitive advantages: reduction of expenditures and diversification of activities. The article points out the ways which can be used to reduce expenditures and to implement diversification strategies. The article also analyses the methods that combat today widely spread dishonest competition.

არარამ ამტრილია რესპუბლიკის
საინვესტიციო
მიმღებელობის შეფასება

ვლადიმერ ღლონტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი

სოჭიკო მეგრელიშვილი
რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

საინვესტიციო პროცესები წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მთავარ ფაქტორს. საინვესტიციო შემადგენელი არის ეკონომიკის რეგულირების ყველა ბაზისური მოდელის ფუძემდებლური ელემენტი (კლასიკური, მონეტარისტული, კეინზიანური). საინვესტიციურ პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკის ნაწილია, შეიძლება იქცეს საქართველოს ეკონომიკის განვითარების კატალიზატორად.

საბაზრო გარდაქმნების დასაწყისში საქონელმწარმოებლების საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფოს საგადსახადო და საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკაში. საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მიიღო პიპერტოფული განვითარება, საინვესტიციო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი გამორიცხავდა მისი გამოყენების შესაძლებლობას საწარმოო მიზნებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს რეგიონებში საკურსების მობილი-

3. ღლობის, ს. მეგრელიშვილი

ზაციის და გარე წყაროების მოზიდვის ქმედითი მექანიზმების არარსებობა. უაღრესად დაბალია ხარჯების დონე საინოვაციო საქმიანობაზე (ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიების შეძენაზე მოდის მოელი საინოვაციო ხარჯების 2,2%).

ინვესტიციების ინდექსი ძირითად კაპიტალში 2001 წელს შეადგენდა 21%-ს (1990წ.=100%). თუმცა, ინვესტიციების მოცულობის შემცირების ფონზე ზოგიერთ რეგიონში შეინიშნება მისი კონცენტრაციის ტენდენცია.

საინვესტიციო შესაძლებლობების განსაზღვრა წარმოადგენს ინვესტირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის საწყის წერტილს. საბოლოო ანგარიშით, ეს შეიძლება გახდეს საინვესტიციო საშუალებების მობილიზაციის დასაწყისი. ქართველი და უცხოელი, კერძო თუ სახელმწიფო პოტენციური ინვესტორები დაინტერესებული არიან მიიღონ ინფორმაცია ახალი საინვესტიციო შესაძლებლობის შესახებ. ასეთი ინფორმაციის შესაქმნელად საინვესტიციო პროექტის იდენტიფიკაციისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საინვესტიციო პროექტის მრავალსაფეხურიანი შეფასება:

- ეკონომიკის სექტორის, ეროვნული ეკონომიკის დარგების დონეზე შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ საინვესტიციო პროდუქტის სავარაუდო მასშტაბი და სამეურნეო სუბიექტ-ინვესტორის რანგი (საერთოეროვნული კორპორაცია, რეგიონული კორპორაცია და ა. შ.). ანალიზი შეიძლება ჩატარდეს, როგორც ზოგადად საქართველოს მასშტაბით, ასევე მეზოდონებზე;

- რეგიონის (მეზოდონებ) და მისი პოტენციალის დონეზე;
- საწარმოოს საინვესტიციო პროექტის დონეზე.

პირველი ორი დონის გამოსაკვლევად საინვესტიციო პროექტის შეფასება მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას რეგიონის, საწარმოო სექტორის შესახებ, აგრეთვე რესურსების ანალიზს და წარმოების განვითარების კომპლექსური გეგმის შედგენას. მიკროეკონომიკური მიდგომა, უმთავრესად, მოიცავს მეწარმეების, ინვესტიციების ხელშემწყობი თრგანიზაციების და საფინანსო დაწესებულებების საინვესტიციო იდეების ანალიზს.

ინვესტორების დაინტერესების სტიმულირების მიზნით კონკრეტული პროექტების შესაძლებლობების გამოკვლევებს უნდა გააჩნდეს გარკვეული საბაზო ინფორმაცია, თანაცარ არის საკმარისი უბრალოდ საქონლის ჩამონათვალი, რომლის წარმოებისათვის არსებობს შიგა პოტენციალი. ასეთი ანალიზი დაფუძნებული უნდა იყოს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მაგალითად, იმპორტი წინა პერიოდში, მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდა) ან რეგიონის, საწარმოო სექტორის, რესურსების საერთო შესაძლებლობების გამოკვლევის მასალებზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციის განხორციელების ამოსავალ წერტილად.

მონაცემები შეიძლება შეიგსოს ინფორმაციით, რომელიც მოიცავს კონკრეტული პროდუქციის წარმოების მეთოდებს და ტენდეციებს. ეს მნიშვნელოვანია პოტენციური ინვესტორისათვის – რადგანაც მან უნდა შეძლოს შეაფასოს არსებული შესაძლებლობები, მისი სარფიანობა იმისათვის, რომ გადავიდეს პროექტის მომზადების შემდეგ სტადიაზე.

ინფორმაციის რაოდენობრივი შეფასების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევა.

საინვესტიციო შესაძლებლობების გამოკვლევის ფარგლებში შემდეგი ასპექტები:

- ბუნებრივი რესურსები, რაც ვარგისია წარმოებისათვის, მაგალითად: ხის მასალა გადამამუშავებელი წარმოებისთვის;

- სოფლის მეურნეობის არსებული სტრუქტურა როგორც სამრეწველო დარგების საფუძველი;

- მოთხოვნა გარკვეულ სამომხმარებლო საქონელზე, რომელთა მოხმარება შეიძლება გაიზარდოს მოსახლეობის რაოდენობის ან მყიდველობითი უნარის ზრდით;

- იმპორტი;

- გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორები, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებენ ანალოგიური ეკონომიკური ბაზის, მსგავსი განვითარების დონის და ფინანსური, შრომითი და ბუნებრივი რესურსების მქონე სხვა რეგიონებსა და ქვეყნებში;

• შესაძლებელი ურთიერთეკავშირები ადგილობრივ ან ტრანსნაციონალური მასშტაბის სხვა დარგებთან;

• არსებული წარმოების შესაძლებელი გაფართოება ინტეგრაციის საფუძველზე, მაგალითად, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობპროდუქტების გამწმენდი წარმოების გაერთიანება;

• შესაძლებელი დივერსიფიკაცია, მაგალითად, ნავთობქიმიური კომპლექსის გარდაქმნა ფარმაცევტულ წარმოებად;

• არსებული საწარმოო სიმძლავრეების შესაძლებელი გაფართოება ეკონომიკის მისაღებად, რაც განპირობებულია წარმოების მასშტაბის ზრდით;

- საერთო საინვესტიციო კლიმატი;
- სახელმწიფოს საწარმოო პოლიტიკა;
- საწარმოო ფაქტორების არსებობა და ღირებულება;
- საექსპორტო შესაძლებლობები.

გარემოებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს საერთო (სექტორული მიდგომა) ან კონკრეტული პროექტის (მიდგომა საწარმოს დონეზე) შესაძლებლობების შესწავლა, ან თრივეს ერთად. საერთო შესაძლებლობის გამოკვლევა შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად:

• რეგიონის გამოკვლევა, იქნება ეს ადმინისტრაციული პროვინცია, ჩამორჩენილი რაიონი ან პორტის მახლობელი რაიონი;

• საწარმოო გამოკვლევები, რათა გამოვლინდეს მოცემული წარმოების (დარგის) შესაძლებლობები;

• გამოკვლევები, რომელთა დანიშნულებაა, გამოავლინოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობები, სოფლის მეურნეობის ან მრეწველობის პროდუქციის შესაქმნელად.

ამგვარად მეზოდონებზე ეკონომიკის სუბიექტების შესაძლებლობების და საფინანსო-ეკონომიკური ზრდის პერსპექტივების შეფასება შეუძლებელია მათი საინვესტიციო პოტენციალის ანალიზის გარეშე.

პრაქტიკისათვის ცნობილია საინვესტიციო კლიმატისა და რისკების ეროვნული რეიტინგები, რაც აღიარებული საექსპერტო საგენტოების მიერ Moody's, Standard & Poor, IBCA პერიოდულად

ქვეყნება მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ჟურნალებში Economist, Fortune, The Economist.

საინვესტიციო მიმზიდვებელობის ინტეგრალური შეფასების სისტემა დაფუძნებულია ორი ზომვადი სიდიდის, ორი ძირითადი მაჩვენებლის ურთიერთეორელაციაზე: საინვესტიციო რისკი და საინვესტიციო პოტენციალი. ამის საშუალებით შესაძლებელია, ერთი მხრივ, რეგიონში სავარაუდო ბიზნესის მასშტაბების შეფასება, ხოლო მეორე მხრივ - იმის დადგენა რამდენად სარისკოა ამ ბიზნესის განვითარება. რისკ-პოტენციალის სიბრტყეში მოცემულია შემდეგი გრადაცია.

პოტენციალი:

- მაღალი (ციფრული აღნიშვნა 1),
- საშუალო (2),
- დაბალი (3).

რისკი:

- დაბალი (ანბანური აღნიშვნა A),
- საშუალო (B),
- მაღალი (C),
- ძალიან მაღალი (D).

შესაბამისად, ყოველი რეგიონის რეიტინგი აღინიშნება ანბანურ-ციფრობრივი კომბინაციით. ზოგადად, აღნიშნული მეორეიკა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საინვესტიციო კლიმატის შეფასების მეორეიკა, რომელიც აერთიანებს ქვეყნისა და რეგიონის ობიექტურ შესაძლებლობებს (საინვესტიციო პოტენციალი) და ინვესტორის საქმიანობის პირობებს (საინვესტიციო რისკი).

გასაგებია, თუ რატომ არ არის საქმარისი გადაწყვეტილებების მისაღებად მხოლოდ პოტენციალის ან მხოლოდ რისკის განხილვა. რეგიონი შეიძლება საკუთხევო იყოს პოტენციალის თვალსაზრისით - მაგალითად, იქ არის ნედლეული, რესურსები ან მოსახლეობა მდიდარი, მაგრამ თუ პოლიტიკური მდგომარეობა არასტაბილურია, ან გარემო იმდენად დაბინძურებული, რომ კიდევ ერთ ქარხანას მოსახლეობა უბრალოდ ვერ აიტანს, ინვესტიციებზე ცოტანი თუ დათანხმდებიან.

საინვესტიციო პოტენციალი (ტერიტორიის საინვესტიციო ტევანდობა) წარმოადგენს ინვესტიციების განხორციელების ობიექტურ წინაპირობათა ჯამს, რომელიც დამოკიდებულია როგორც ინვესტიციების ობიექტების, სფეროების არსებობაზე და მრავალფეროვნებაზე, ასევე - მათ ეკონომიკურ ჯანმრთელობაზე.

საინვესტიციო პოტენციალი ითვალისწინებს ძირითადად მაკროეკონომიკურ მახასიათებლებს, ტერიტორიის გაჯერებას წარმოების ფაქტორებით, მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნას და სხვა მაჩვენებლებს. რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი ყალიბდება რვა კერძო პოტენციალისაგან:

- ნედლეულ-რესურსული (ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეობების საბალანსო მარაგით უზრუნველყოფა);
- შრომითი (შრომითი რესურსები და მათი საგანმანათლებლო დონე);
- საწარმო (რეგიონში მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის ერთიანი შედეგი);
- ინოვაციური (რეგიონში მეცნიერების განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის დონე);
- ისტორიული (საბაზო ეკონომიკის წამყვანი ინსტიტუტების განვითარების ხარისხი);
- ინფრასტრუქტურული (რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგრადება და მისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა);
- საფინანსო (საგადასახადო ბაზის მოცულობა და რეგიონის საწარმოების მომგებიანობა);
- სამომხმარებლო (რეგიონის მოსახლეობის ერთობლივი მსყიდველობითი უნარი).

მაშასადამე, საინვესტიციო პოტენციალის შეფასება ეფუძნება მოყვანილი რვა პოტენციალიდან ცალკეულის ეტაპობრივ შეფასებას, ხოლო შემდეგ ამ საინფორმაციო ბაზაზე დაყრდნობით ყალიბდება ერთიანი, ინტეგრალური შეფასება.

რეგიონების რანჟირების აღნიშნული მეთოდიების მეორე

შემადგენელს წარმოადგენს საინვესტიციო რისკის მაჩვენებელი. საინვესტიციო რისკის სიდიდე აჩვენებს ინვესტიციების დანაკარგების და მათგან მოგების მიღების ალბათობას. განიხილება რისკის შემდეგი სახეობები:

- ეკონომიკური (ტენდენციები რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში);
- საფინანსო (რეგიონული ბიუჯეტისა და საწარმოების ფინანსების დაბალნებულობის ხარისხი);
- პოლიტიკური (არჩევნების შედეგების მიხედვით მოსახლეობის პოლიტიკურ სიმპატიათა განაწილება, ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტულობა);
- სოციალური (სოციალური დაძაბულობის დონე);
- ეკოლოგიური (გარემოს დაბინძურების დონე, რადიაციულის ჩათვლით);
- კრიმინოგენური (რეგიონში დამნაშავეობის დონე, დამნაშავეობის სიმძიმის გათვალისწინებით);
- საკანონმდებლო (ამა თუ იმ სფეროში ან დარგში ინვესტიციების იურიდიული პირობები, წარმოების ცალკეული ფაქტორის გამოყენების წესი). ამ რისკის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც სახელმწიფოს, ასევე რეგიონების დონეზე მიღებული კანონები და ნორმატიული აქტები. აგრეთვე ის დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ არეგულირებს საინვესტიციო საქმიანობას ან არაპირდაპირად ეხება მას.

რისკი თითქოს აჯამებს “თამაშის წესებს” საინვესტიციო ბაზარზე. საინვესტიციო პოტენციალისაგან განსხვავებით ბევრი რამ ამ წესებიდან შეიძლება უეცრად შეიცვალოს იმდენად, რამდენადაც იცვლება ადამიანის ხასიათი და აზრი, ამიტომ რისკი თვისობრივი მახასიათებელია.

კანონმდებლობა წარმოადგენს საინვესტიციო რისკის უმნიშვნელოვანეს შემადგენელს. რეგიონთაშორისი მიღების სპეციფიკა არის ის, რომ რეგიონთა უმრავლესობის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს საერთოსახელმწიფო საკანონმდებლო ფონი, რომელიც აწესრიგებს საინვესტიციო საქმიანობას მხოლოდ

3. ღლონგი, ს. მეგრელიშვილი

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. გარდა ამისა კანონმდებლობა, როგორც წესი, არა მარტო გავლენას ახდენს საინვესტიციო რისკის ხარისხზე, არამედ აწესრიგებს ამა თუ იმ სფეროში ან დარგებში ინვესტიციების შესაძლებლობებს, განსაზღვრავს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის ცალკეული ფაქტორის გამოყენების წესს.

რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება შეიძლება ავაგოთ შემდეგი კლასიფიკირით:

1A ტიპი - მაქსიმალური შესაძლებლობები მინიმალური რისკის პირობებში;

2A ტიპი - საშუალო შესაძლებლობები მინიმალური რისკის პირობებში;

3A ტიპი - ჯგუფი დაბალი შესაძლებლობებით და მინიმალური რისკით;

1B ტიპი - ჯგუფი მაღალი პოტენციალით და ზომიერი რისკით;

2B ტიპი - ჯგუფი საშუალო პოტენციალით და ზომიერი რისკით;

3B ტიპი - ჯგუფი დაბალი პოტენციალით და ზომიერი რისკით;

3B1 ტიპი - დაქვეითებული პოტენციალი და რისკის ზომიერი ინდექსი;

3B2 ტიპი - რეგიონები უმნიშვნელო პოტენციალით და რისკის ზომიერი ინდექსით;

1C ტიპი - რეგიონების ჯგუფი მაღალი პოტენციალით და მაღალი რისკით;

2C ტიპი - ჯგუფი საშუალო პოტენციალით და მაღალი რისკით;

3C1 და 3C2 ტიპი - რეგიონები დაბალი პოტენციალით და მაღალი რისკით;

3D ტიპი - რეგიონები დაბალი პოტენციალით და ექსტრემალური რისკით;

აღნიშნულ რეგიონებში ჯგუფები 1A და 2A, 1B, 2B შეიძლება განვიხილოთ როგორც პოტენციური “ზრდის პოლუსები”.

მაკროეკონომიკა

საექსპერტო შეფასებები მომავალში ფართოდ გავრცელდება, თუმცა, რეიტინგების საყოველთაო გამოყენება შექმნის მრავალ პრობლემას მათი უტყუარობის შემოწმებასთან დაკავშირებით¹, რადგანაც ექსპერტთა შეფასებები სუბიექტურია. მათზე გავლენას ახდენს პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა ფაქტორები. ეს კი იწვევს ერთი და იმავე ეკონომიკური ინდიკატორის და მოვლენის სხვადასხვანაირ ინტერპრეტირებას.

დიდი მოცულობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინების შესაძლებლობა წარმოადგენს საექსპერტო მოდელების უმთავრეს ღირსებას. თუმცა, ობიექტურობის დონის ამაღლებისათვის საჭიროა მათი შევსება სატატისტიკური მონაცემების სისტემით და გამოთვლებით, რაც შესრულებული იქნება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო მეთოდიკის გამოყენებით.

საბიუჯეტო-საფინანსო ფედერალიზმის განვითარების პირობებში იქმნება პირობები პრინციპულად ახალი საინვესტიციო კავშირების სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის რეალურ ჩართვის კალიბრიზაციის პროცესში.

წარმოდგენილი მეთოდიკის შესაბამისად, საქართველოს რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასების შედეგად მივიღეთ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შეესაბამება აღნიშვნა 2A, რაც გულისხმობს საშუალო შესაძლებლობებს მინიმალური რისკით.

აჭარის რეგიონზე მოდის საქართველოს საერთო საინვესტიციო პოტენციალის 4%. 2004 – 2005 წწ. რეგიონმა მიიღო უცხოური ინვესტიციები 112 მლნ დოლარი, რაც საქართველოს მთლიანი მაჩვენებლის დაახლოებით 23%-ია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მხოლოდ დედაქალაქ თბილისს ჩამორჩება ინფრასტრუქტურულ, შრომით, სამეცნიერო, სამომზარებლო, საწარმოო, საფინანსო და ინსტიტუციურ პოტენ-

¹ Рожков Ю., Терский М. Инвестиционный потенциал региона и масса регионального инвестиционного риска. Вестник Хабаровской государственной академии экономики и права, 2001 г.

ციალებში.

ჩატარებული ანალიზის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო რისკი 2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ მთელს საქართველოში.

Estimation of investment attractiveness of autonomous republic of Adjara

V. Glonti, S. Megrelishvili

This article is to present the assessment of Investment climate not only in countries in general but in the regions inside countries as well. We investigated investment capabilities (investment potential) and Investors' business climate in the investing country (investment Risk Assessment) in the example of Autonomous Republic of Ajara. Which identifies that Investment Risk is two times lower in Ajara in comparison of other regions in Georgia. But to be more objective theoretical knowledge has to be proved by statistical figures and investigation by using international methods of assessment and calculation.

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნიკა

რგოები ინფორმაციული

საგრგალოების პირობებში

თემატ ჩალიგავა,
თინა მელქონიშვილი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტები

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების (იკტ) განვითარება და გამოყენება წარმოადგენს მცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბოლო ათწლეულის გლობალურ ტენდენციას, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. იკტ-ის ეფექტიანი გამოყენებით შესაძლებელია ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, მართვის სრულყოფა, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი ორგანოების დონეზე. სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას გადაყავს პოსტინდუსტრიული საზოგადოება თვისობრივად ახალ მდგრმარეობაში – ინფორმაციულ საზოგადოებაში.

ეკონომიკისა და საზოგადოების ინფორმატიზაციის თვალ-საზრისით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს არა მარტო განვითარებულ ქვეყნებს, არამედ სხვა ქვეყნებსაც. იკტ-ის ეკონომიკაში დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენების, ასევე თვით იკტ-ის წარმოების დაბალი მაჩვენებლები განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, როგორიცაა არასრულყოფილი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც შემუშავებულია თანამედროვე იკტ-ის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად; სახელმწიფო და სამთავრობო მართვაში მისი გამოყენების დაბალი დონე; ერთიანი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის არარსებობა;

გაჭრობისა და მოძახურების ინორმაციული მხარდაჭერა; იკტ-ის შექმნისა და გამოყენების სფეროში კადრების მომზადების დაბალი დონე; კავშირგაბმულობის არხების მონოპოლიზაციის მაღალი დონე, რაც ქმნის იკტ-ის გამოყენების სხვადასხვა ბარიერს, განსაკუთრებით სატარიფო პოლიტიკაში.

ზოგადად, ინფორმაციული საზოგადოებაში ცხოვრების დონე, ასევე სოციალური ცვლილებები და ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციასა და მის გამოყენებაზე. ასეთ საზოგადოებაში ცხოვრების წესს, შრომისა და დასვენების ფორმებს, განათლების სისტემას და ბაზარს ძირითადად განსაზღვრავს ინფორმაცია და ცოდნის სფეროში არსებული მდგომარეობა. რაც შეეხება ინფორმაციული საზოგადოების ეკონომიკას, იგი წარმოადგენს საქონლის და მომსახურების მწარმოებელი დარგების ფართო სპექტრს, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმატიზაციისა და კომპიუტერიზაციის თანამედროვე მიღწევები¹.

ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების ფაქტორებია:

- ეკონომიკაში ინფორმაციული ტექნოლოგიების, გამოთვლითი ტექნიკისა და თანამედროვე ტელეკომუნიკაციების მასობრივი გამოყენება;
- ინფორმაციისა და ცოდნის ბაზების შექმნა და განვითარება;
- საზოგადოების ფაქტობრივი უზრუნველყოფა ინფორმაციული პროდუქტითა და მომსახურებით;
- საზოგადოებრივ წარმოებაში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის ფართოდ განვითარება;
- განათლების, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული განვითარებისა დონის ამაღლება ინფორმაციის გაცვლით საერ-

¹ Dolfssma W. and Soete L. - *Understanding the Dynamics of A Knowledge Economy*. Edward Elgar Publishing, Inc. 136 West Street, Suite 202, Northampton, Massachusetts 01060, USA - 2006.

თაშორისო და ადგილობრივ დონეზე;

- მოქალაქეებისა და სოციალური ინსტიტუტების უფლებების დაცვის უფლებითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას, გავრცელებას და გამოყენებას.

იკტ შეიძლება განვიხილოთ, როგორც საინფორმაციო კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბიზნესის ისეთ სფეროს, რომელიც ინტერნეტისა და კავშირის სხვა სისტემების გამოყენებით უზრუნველყოფს სოციალურად საჭირო ინფორმაციის შექმნას, მოპოვებას, გადაცემას, დამუშავებას და შენახვას. ეკონომიკაში ინტერნეტითა და პერსონალური ტელეფონებით სარგებლობა აადვილებს როგორც მომწოდებელთან, ისე მომხმარებელთან კავშირურთიერთობას, აჩქარებს და აიაფებს მას; ხელს უწყობს მარკეტინგულ საქმიანობას.¹ საინფორმაციო კომპლექსში შედის ასევე კომერციული ინფორმაციის მწარმოებელი და მომხმარებელი ინსტიტუტები (ბანკები, საინვესტიციო, სადაზღვევო, შეამაგლი, მარკეტინგული, აუდიტური, სარეკლამო ფირმები); მასობრივი და სპეციალიზებული საინფორმაციო საშუალებები (რადიო, ტელევიზია, პრესა, ბიბლიოთეკები, მონაცემთა ბანკები, გამომცემლობები); კავშირგაბმულობა (სტაციონალური და მობილური ტელეფონები, თანამგზავრული და ქსელური კავშირის არხები და ა.შ.).² ყოველივე აღნიშნული გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნის ინფორმაციული ეკონომიკის უველაზე აუცილებელი მახასიათებელი საკუთარი ინსტიტუციონალური საკომუნიკაციო ბაზაა, რომელის გამოყენებითაც ინფორმაციული ტექნოლოგიები დაინერგება ნაციონალური კონომიკის ყველა სფეროსა და სექტორში.

XX საუკუნის ბოლოს სახელმწიფოთა უმრავლესობა აღმოჩნდა ერთი პრობლემის წინაშე – სახელმწიფოებრივი მართვის

¹ დო. ჩიქავა. ინფორმაციური გეონომიკა. თბ., 2006.

² Попов А.О. Совершенствование государственного управления экономикой на основе внедрения информационных технологий, М., 2007.

ორგანოების სტრუქტურა და მოდელი აშკარად არ შეესაბამებოდა საზოგადოების ინფორმაციზაციის მოთხოვნებს. ინფორმაციულ საზოგადოებაში გადასვლამ გამოიწვია სახელმწიფო სამსახურების რეორგანიზაციისა და მთელი რიგი სხვა პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობაში დაიწყო ადმინისტრაციული და სახელმწიფო სამსახურების რეფორმები, რათა ამაღლდეს სახელმწიფო პარატის ეფექტიანობა იკტის გამოყენების ბაზაზე. კერძოდ, უნდა გაიზარდოს სახელმწიფო პარატის მიერ მოსახლეობისთვის გაწეული მომსახურების ხარისხი; მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების მრავალმხრივი კავშირის დამყარება საზოგადოებრივ მართვაში მათი ჩართვის მიზნით; სახელმწიფო საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალება, ანუ საზოგადოების დემოკრატიზაციის დონის რეალური ამაღლება.

დღეისთვის საქართველოს სახელმწიფო სექტორში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება საინფორმაციო სისტემები. იკტ დანერგილია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის ბევრ სფეროში, ხდება იკტ-ების გამოყენების სამართლებრივი რეგულირება. ამასთან, საქრთველოს ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, საზოგადოებრივ წარმოებაში და სახელმწიფო მართვაში იკტ-ის გამოყენების ხარისხი არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დგას ქვეყნის წინაშე ეკონომიკის განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის, თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების მხრივ. ამასთან, მოსახლეობის ცალკეულ ფენას ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საჭირო ინფორმაციასა და იკტ-ზე, რაც საზოგადოების ხოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელი ფაქტორია. გარდა ამისა, საქართველოში ფაქტორივად არ ხდება ტელეკომუნიკაციური მოწყობილობების, გამოთვლითი ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება (თუ არ ჩავთვლით ადგილობრივი ბაზრისთვის განკუთვნილ ისეთ პროგრამებს, როგორიცაა ორისი, სუპერფინი და სხვ.), რის

გამოც ქვეყნა მთლიანად არის დამოკიდებული ამ პროდუქციის იმპორტზე, რაც ხელს უშლის იკტ-ის დანერგვას იმ ტექნიკით და მოცულობით, რაც აუცილებელია მსოფლიო ინფორმაციული სივრცეში ინტეგრაციისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის ინფორმაციულ უსაფრთხოებას, რადგან არსებული დაცვის სისტემებს ნაკლებად შეუძლია თანამედროვე საფრთხეებისაგან დაცვა, რაც ხათლად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს და შემდგომ პერიოდში, როდესაც აქტიურად ხდებოდა ქართულ ინტერნეტ-გვერდებზე საკმაოდ ხშირი და ძლიერი შეტევების განხორციელება.

უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს მთავრობის მიერ გაწეული დიდი მოცულობის სამუშაოების შედეგად, სამინისტროების და მომსხურების სფეროებში ფართოდ დაინერგა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რაც მნიშვნელოვნი ხაბიჯია „ელექტრონული მთავრობის“ შესაქმნელად. ელექტრონული მთავრობა წარმოადგენს სახელმწიფოს მართვის სისტემას დაფუძნებულს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ლოკალური და გლობალური ქსელების საშუალებით სახელმწიფო, არასახელმწიფო სტრუქტურებსა და მოქალაქეთა შორის ინფორმაციის ციფრულ-ელექტრონულ გაცვლაზე¹. აღსანიშნავია საპატრულო პოლიციის, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოების მომსახურების მაღალტექნოლოგიური სისტემები, საბაჟო გაფორმების ეკონომიკური ზონა, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ანგარიშსწორების, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემები და სხვ. მაგრამ, ჩვენი აზრით, აუცილებელია უფრო კოორდინირებული მოქმედება უწყებებს შორის, ბიზნესისა და სამოქალაქო მოსახლეობის უფრო მასობრივი ჩართვა მომსახურების სფეროში. ხშირ შემთხვევაში ხდება საკუთარი სტანდარტების გამოყენება ინფორმაციის გაცვლის და მარხმისადმიურულ სტანდარტების გაცვლის და ბიზნესი. №3. თბ., 2008.

ბაზა. რა თქმა უხდა, არსებობს საინფორმაციო სისტემის აგების როგორც ტექნოლოგიური, ასევე ორგანიზაციული გამოცდილება, მაგრამ მათი უმრავლესობა დაპროექტებულია სახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთიანი ფუნქციონალური მოდელის გარეშე.

ინფორმაციული საზოგადოების პირობებში ნაციონალური ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულყოფისათვის აუცილებელია ტრადიციული მთავრობის ტრანსფორმაცია ელექტრონულ მთავრობად, რაც პირობითად შეიძლება რამდენიმე ეტაპად განხორციელდეს:

I ეტაპი - სახელმწიფო სამსახურებისა და ორგანიზაციების ინტერნეტში ჩართვა. ამჟამად საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 22% სარგებლობს ინტერნეტით, რაც საქმაოდ დაბალი მაჩვენებელია;

II ეტაპი - ინფორმაციის გაცვლის პროცედურებისა და ელექტრონული ფორმების შექმნა. მოხდება საქმაოდ ბევრი ისეთი პროცესის კომპიუტერიზაცია, რომლისთვისაც აუცილებელი იყო პიროვნების ვიზიტი ორგანიზაციაში. ამ ეტაზე სახელმწიფო სამსახურების ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს მომხმარებლის იდენტიფიკაცია. დღეისთვის ამ მიზნით ხდება პაროლების, ციფრული სერტიფიკატებისა და სმარტ-ბარათების გამოყენება;

III ეტაპი - ინფორმაციული ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომლის დროსაც ყველაზე რთული მართვის ოპერაციები, რომლებშიც ჩართულია მრავალი სახელმწიფო ორგანიზაცია, დაწესებულება და მოქალაქეები, მთლიანად სრულდება ელექტრონული ფორმით. იმისათვის, რომ საბანკო, საწარმოო, სოციალური, საგანმანათლებლო, სამედიცინო და სხვა საინფორმაციო სისტემებმა ერთმანეთისთვის და, რაც მთავარია, ადამიანებისთვის გასაგებ ენაზე იფუნქციონირონ, აუცილებელია სპეციალური სტანდარტული უნივერსალური ენის გამოყენება.

სახელმწიფოებრივი მართვის სისტემების ეფექტიანი და

ქმედითი მუშაობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია: მთავრობის მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის კუთხით; მართვაში ელექტრონული მთავრობის ლიდერად ჩამოყალიბება; სამთავრობო კურსად ორგანიზაციების ინტეგრაციის აღება; ელექტრონულ მთავრობაში სახელმწიფოებრივი და კერძო სტრუქტურების პარტნიორების სტატუსით ფუნქციონირება; საზოგადოებრივი მონიტორინგის განხორციელება ელექტრონულ მთავრობაზე.

ელექტრონული მთავრობის ფორმირების შედეგად:

- მნიშვნელოვნად შემცირდება სახელმწიფო მართვის ორგანოების დროისა და შრომითი დანახარჯები საუწყებო დონეზე ინფორმაციის გაცვლის პროცესში, რადგან შესაძლებელი იქნება სახელმწიფო საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა, მოხდება სახელმწიფო საინფორმაციო სისტემების ინტეგრაცია და უწყებათა შორისო ელექტრონული დოკუმენტბრუნვის განვითარება;
- მნიშვნელოვნად შემცირდება მოქალაქეების ვიზიტები სახელმწიფო მართვის ორგანოებში მომსახურეობის მისაღებად და იკტ-ის უფასოიანი გამოყენება შესაძლებელს გახდის ეჭ. ‘ერთი ფანჯრის’ პრინციპზე გადასვლას, რაც შეამცირებს მომსახურების დროს;

▪ სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ ინფორმაციული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა გააძლიერებს მთავრობის მიმართ ნდობის ფაქტორს. ახალი და მოდერნიზებული საუწყებო ინტერნეტ-საიტების შექმნით შესაძლებელი იქნება ისეთი საინფორმაციო სისტემის შექმნა, როგორიცაა „სამთავრობო პორტალი“, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების სწრაფ და ეფექტიან მომსახურებას;

▪ მოხდება ნაციონალური ინფორმუნიკაციური ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის ერთიანი ინფორ-

მაციული სისტემის ჩატოვალიბება.

Information communication technologies in social conditions

*Temur Chaligava
Tina Melqoshvili*

Using the informational and communicational technologies in the governance of the country makes it much more effective. Electronic government represents the modern type of governance system. Using this type of governance in such country which has transactional economics as Georgia, is a very good way to solve the problem of bureaucratic barriers, corruption, to involve society in the governance of the country and to raise believability of people to the government.

საქართველოს სოფლის მეურნეობის

თანამედროვე მდგრადიობა

და განვითარების პრივატიზაცია

იოსებ არჩევაძე
ეკონომიკის დოქტორი
ელგუჯა მექანიკისტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სოფლის მეურნეობის განვითარება წებისმიერ ქვეყანაში უკავშირდება ისეთი უმნიშვნელოვანების პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და ამ გზით სასურსათო უსაფრთხოების, როგორც ეროვნულ-სახელმწიფო პრივატობის, შემადგენელი კომპონენტის განმტკიცება¹, მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფა და ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირებში აქტიური ჩართვა. სოფლის მეურნეობა მრეწველობასთან ერთად დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკურ ხერხემალს წარმოადგენს. საქართველოსთვის ეროვნული ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანები დარგი მეტისმეტად მგრძნობიარე, რეცესიული და მაღალი რისკების მატარებელია.

მიწა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება და სოფელი ქართველი კაცისათვის განსაკუთრებული ფასეულობებია. საქართველო უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა². ქართველები სამიწათმოქმედო ცივილიზაციის შექმნის სათავეებთან იდგნენ და მიწათმოქმედება მათთვის იყო არა მხოლოდ სამეურნეო საქმიანობა, არამედ ცხოვრების წესის და მეტადიტეტის განმსაზღვრელი ფაქტორი³. ათასწლეულების მანძილზე სასოფლო სამეურნეო


¹ პ. კოდუაშვილი, ლ. გეგენავა, თ. ლაჭვებიანი. მარცვლეული მეურნეობის განვითარება - საქართველოს სასურსათო დამოუკიდებლობის გარანტი. ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი”, 2008, 6, ნომბერი-დეკემბერი, გვ. 65-67.

² სამიათ ეპისტოლე უზმინდესისა და უნებრესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II. ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი”, 2009, 1, იანვარი-ოქტომბერი, გვ. 17.

³ პ. კოდუაშვილი. ილია II სოფლის ყოფა-ცხოვრების აღორძინების და მეურნეობის განვითარების შესახებ. ქურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი”, 2009, 13, მაისი-ივნისი, გვ. 18-19.

წარმოებას თვითგმარი ხასიათი პქონდა და როგორც დიდი იღია შენიშვნავდა: „მანამ, ქვეყანა ქვეყანას პგავდა და ჭეუის მოგითხავი პატრონიცა ჰყავდა, ჩვენ მიწა-წყალს ჩვენთვის სარჩო-საბადებელი არ დაჲკლებია“. ამ ფონზე განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა, რაც რეფრენივით იმეორებს კითხვას: „კვდება თუ არა სოფლის მეურნეობა საქართველოში?“

დღეისათვის სოფლად მცხოვრები საქართველოს მოსახლეობის 47 %-ია (რა თქმა უნდა უველა მათგანი არ არის უშუალოდ აგრარულ სექტორში დასაქმებული). სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3/5-ზე მეტი. ამასთან ერთად, ეს არის დარგი, სადაც უკიდურესად დაბალია შრომის ფონდშეიარაღება და შრომის მწარმოებლურობა. ეს არის ეროვნული ეკონომიკის ერთადერთი დარგი, რომელშიც 2003 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდეც 1/7-ით და მეტად. ამას ქვემოთ მოტანილი გრაფიკი ადასტურებს. წლიდან წლამდე მცირდება სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნაში შექმნილ დამატებულ დირებულებაში. 2009 წლისთვის იგი 1996 წელთან შედარებით ზუსტად 4.0-ჯერ, ხოლო 2003 წელთან შედარებით 2.3-ჯერ შემცირდა და მხოლოდ 8.3 % შეადგინა¹ (იხ. გრაფიკი).



¹ მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალებიდან. გათვალისწინებით გაკეთებულია ი. არჩვაძის მიერ.

საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 57.0% და დასაქმებული მოსახლეობის 63.2%, თვითდასაქმებული მოსახლეობის 81.5% და დაქირავებით დასაქმებულების 30.5%. ბოლო წლებში აღნიშნული თანაფარდობა ფაქტობრივად არ შეცვლილა, თუმცა, უმუშევართა საერთო რაოდენობაში სოფლად მცხოვრებთა წილი საგრძნობლად გაიზარდა – 2003 წლის 20.8%-დან 2009 წლის 26.4%-მდე (იხ. ცხრილი).

სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულთა და უმუშევართა საერთო რაოდენობაში (%)

წლები	1998	2000	2002	2004	2006	2008	2009
საქართველო	59.0	55.5	58.7	58.5	57.9	56.2	57.0
ერთეულები	58.2	55.5	58.7	64.5	62.5	58.2	63.2
ერთეულები	50.4	50.0	28.5	29.4	28.6	28.6	30.0
ოკიდებულებები	78.9	78.5	81.9	83.0	83.4	82.5	81.5
კავკავი	47.2	50.9	50.8	51.0	52.1	54.4	56.4

შორის მუსიკურულ უფლებებით სოფლის უკიდურესად დაბალია, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ეროვნულ დონეს და ეს ჩამორჩენა წლიდან წლამდე იზრდება. ამჟამად შრომის მწარმოებლურობა საქართველოს ეკონომიკაში ერთ დასაქმებულზე (დამატებული დირებულების ხიდიდე) შეადგინს 10.8 ათას ლარს, სოფლის მეურნეობაში კი - მხოლოდ 1.4 ათასი ლარი. შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში 1998 წელს შეადგენდა ეროვნული მეურნეობის საშუალო მაჩვენებლის 45%-ს, 2003 წელს იგი დაეცა 30%-მდე, 2009 წელს – 13%-მდე. თუ ამ

დარგის შრომის მწარმოებლურობას შევადარებთ სხვა დარგების ანალოგიურ მაჩვენებელს, მეტად სავალადო სურათს მივიღებთ: 1998 წელს შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში 4-ჯერ ჩამორჩებოდა საშუალო მაჩვენებელს, 2003 წელს - 7.4-ჯერ, ხოლო 2009 წელს - თითქმის 19-ჯერ. ამჟამად სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე თვეში იქმნება დაახლოებით 70 აშშ დოლარის ეკვივალენტური დამატებული ღირებულება, რაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმზე დაახლოებით 7%-ით ნაკლებია.

აღნიშნული დარგის ჩამორჩენაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სოფლად მცხოვრებთა ოჯახური მეურნეობების ფულად შემოსავლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილად მოდის მხოლოდ 21% (საშუალოდ ქვეყანაში - 6%), ხოლო ამ შინამეურნეობათა აგრარული სექტორიდან მიღებული შემოსავლების მხოლოდ 28% დებულობს საქონლურ სახეს (ქვეყანაში საშუალოდ - 26%), დანარჩენი 72 % - ნატურალური შემოსავლებია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის შინამეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის დასაქონლიანების დონე უფრო დაბალია, ვიდრე არასაბაზრო კოლექტივისტური ეკონომიკის პირობებში. შედარებისათვის: 1980-იან წლებში მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქციის 45% დებულობდა სასაქონლო ფორმას. კიდევ უფრო კონტრასტული იქნება მონაცემები, თუ შედარებებს გავაკეთებთ არა მოსახლეობის დამხმარე მეურნეობებზე, არამედ მთელი სოფლის მეურნეობაზე. 1989 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობის დასაქონლების დონე 82%-ს უდრიდა, 1998 წელს - 22%-ს, ამჟამად კი 18%-ის ტოლია, ანუ სახეზე გვაქვს ჩვენთვის ფრიად სამწუხარო პარადოქსი: საბჭოურ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში პირადი დამხმარე მეურნეობები უფრო მეტად იყო ბაზარზე ორიენტირებული, ვიდრე დღესაა. მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს სასოფლო სამეურნეო წარმოების ნატურალიზაციასთან, რაც მისი დეგრადირების მაჩვენებელია.

აქვე საჭიროა აღნიშნოთ იმის შესახებაც, რომ არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი, მგრძნობიარე ინდიკატორი - მოცულები ქვეყნის რამდენი მცხოვრების გამოკვება შეუძლია სოფლად

დასაქმებულ ერთ ადამიანს თავისი საქმიანობით. განვითარებული ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი რამდენიმე ათეულს აღწევს. საქართველოში კი, ფორმალურად, სოფლად ერთ დასაქმებულზე 4.2 მცხოვრები მოდის (1988 წელს კი - თითქმის 7.0). თუ დამატებული ღირებულების რეალურ მოცულობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ დღევანდელ პირობებში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავისი გამოკვებაც კი არ ძალუძს და რომ არა საქმიანობის სხვა, არააგრარული სახეობები (პირველ რიგში, ვაჭრობა, მომსახურება), სოფლად ტოტალური შიმშილი და გაჭირვება დაისადგურებდა. დღეისათვის სამამულო წარმოების წილი მოლიან მოხმარებაში შეადგენს: ხორბალი - 7.2%, სიმინდი - 76%, კარტოფილი - 82.8%, ბოსტნეული - 67.1%, ხორცი - 45.7%, რძე - 88.7%, კვერცხი - 96.4%. „სამაგიეროდ”, წლიდან წლამდე იზრდება იმპორტირებული პროდუქციის წილი ქვეყანაში მოხმარებული სასურსათო კალათის მოცულობაში და დღეისათვის ის 2/3-ს, ხოლო თბილისის მასშტაბით, თითქმის 4/5-ს შეადგენს. იმპორტის ასეთი მოძალება, რა თქმა უნდა, არსებითად უშლის ხელს სამამულო სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებას.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის გეურნეობაზე 2011 წლისათვის გამოყოფილია 55.348 ათასი ლარი - საბიუჯეტო ასიგნებების ხოლოდ 0.8%-ია, მაშინ როდესაც ძალოვან სტრუქტურებზე (თავდაცვა, შეს, სასჯელადსრულებისა და პრობაციის) 1411 მლნ ლარი, ანუ ბიუჯეტის მეხუთედზე მეტია (20.9%). მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება 10-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსებას.

სოფლის მეურნეობის წილად მოდის ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების მხოლოდ 0.7%. შედარებისათვის შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ასიგნებების საერთო მოცულობიდან სოფლის მეურნეობაზე [სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნაციები] მხოლოდ 0.82% მოდის. ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს აგრარულ სექტორში შემოვიდა მხოლოდ 45.6 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ანუ ინვესტიციების საერთო მოცულობის (4237.2 მლნ აშშ დოლარი) მხოლოდ 1.0%. ეს მაშინ, როცა იმავე პერიოდში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოს უძრავ ქონებაში შეადგინა 10-ჯერ მეტი თანხა - 455.7 მლნ აშშ დოლარი, რაც სერიოზული დაფიქრების და

განსჯის საბაბს უნდა იძლეოდეს.

ამჟამად საბანკო სექტორის მიერ სოფლის მეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობა მხოლოდ 1.0%-ია, ხოლო მოსახლეობაზე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობა (1017.9 მლნ ლარი) 18.5-ჯერ აღემატება სოფლად სამეწარმეო საქმიანობაზე გაცემული სესხების მოცულობას. გასათვალისწინებელია, რომ ნათესი ფართობების 97.2 % მოდის ოჯახურ მეურნეობებზე და მხოლოდ 2.8 % - სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2009 წელს სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით შეიქმნა 1422 ლარის დამატებული ღირებულება, მაშინ როდესაც 1988 წელს - 4.0 ათას მანეთზე მეტი. მანეთისა და ლარის პარიტეტის გათვალისწინებით, გამოდის, რომ შრომის მწარმოებლურობა ამჟამად ორი ათეული წლის წინანდელ დონეს თითქმის 7-ჯერ მაინც ჩამოუვარდება (14.5%). ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობაში შემცირდა წარმოება: ხორცის - 3.3-ჯერ, რძის - 1.3-ჯერ, კვერცხის - 2.0-ჯერ, მატყლის - 3.6-ჯერ. ეს ადგილად ახსნადია, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 1988 წელს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა არ გამოირჩეოდა მოწინავე პოზიციებით და რბილად რომ ვთქვათ, სულაც არ წარმოადგენდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიური ნოვაციების პოლიგონს, მას გააჩნდა დაახლოებით ნახევარი მლრდ მანეთის მანქანა-იარაღები და სატრანსპორტო საშუალებები, მათ შორის 27231 ტრაქტორი, 1691 კომბაინი, 28.5 ათასი სატვირთო ავტომობილი. ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება კი ოთხ მლრდ მანეთს აღემატებოდა. 1990 წელს ყოველ 100 ჰა ნათეს ფართობზე 526 კვტ. სო ენერგეტიკული სიმძლავრეები მოდიოდა (მთლიანად სოფლის მეურნეობაში 3.2 მლნ კვტ. სო).

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში მარცვლეულ კულტურებს ეკავა 270 ათასი ჸა, მოსავალი კი 600 ათას ტონას აღემატებოდა. 2009 წელს, შესაბამისად, 216.8 ათასი ჸა და 364.8 ათასი ტონა, 1988 წელს მოგვავდა 326 ათასი ტ კარტოფილი, 2009 წელს - 216.8 ათასი ტონა, ბოსტნეული, შესაბამისად, 641 ათასი და 214 ათასი, ხილი - 653 ათასი ტონა და 181.2 ათასი, ყურძენი - 620 ათასი ტონა და 150.1 ათასი, ციტრუსები - 437

ათასი ტონა და 70.9 ათასი ტონა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა წარმოადგენს რიგი ობიექტები და სუბიექტები ფაქტორების მოქმედების შედეგს. კერძოდ:

- არ არსებობს ამ დარგის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია;

- ფერმერულ მეურნეობებში არ არსებობს შიგა დაგროვების წყაროები და შესაბამისად - არ ხდება წარმოებაში სახსრების ინვესტირება;

- ფერმერულ მეურნეობებს არ გაეწევათ ვეტერინალური, აგრონომიული, საკონსულტაციო მომსახურება;

- ფერმერებისათვის ფრიად გაძნელებულია კრედიტებით სარგებლობა და თანამდეროვე ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა, რის გამოც სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თითქმის არ განიცდის განახლებას;

- სოფლის მეურნეობაში არ ხდება ქონების, კომერციული რისკებისა და სხვათა დაზღვევა.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია სიღრმისეული და კომპლექსური ღონისძიებების გატარება საქართველოს სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოსაყვანად. კერძოდ, უნდა შეიქმნას სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია და მისგან გამომდინარე:

- ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსება უნდა გაიზარდოს მინიმუმ 4,5%-მდე, ანუ 4-ჯერ და მეტად;

- სახელმწიფოს მონაწილეობით უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კომერციული რისკების დაზღვევის გამართული და ეფექტური ფუნქციონირებადი სადაზღვევო სისტემა. სახელმწიფომ უნდა ისრუნოს ფერმერებისათვის დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობაზე;

- სოფლიდ უნდა შეიქმნას საინჟინრო და აგროსერვისული მომსახურების თანამდეროვე სისტემა; შემუშავდეს და ამოქმედდეს საშუალებელ სტრუქტურების ფუნქციონირების მექანიზმი;

- უნდა ჩამოყალიბდეს საკონტრაქტო ურთიერთობის სისტემა, სადაც განმსაზღვრელი როლი მიენიჭება სასურსაოო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთებს და განხორციელდება ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;

- უნდა დამუშავდეს სოფლად საბითუმო ვაჭრობის განვითრებისა და საშუალო სტრუქტურების შექმნის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე კავშირს სოფლის საქონელმწარმოებლებსა და პროდუქციის რეალიზაციებს შორის;

- უნდა შემუშავდეს და დაინერგოს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი იმ სასურსათო საქონლისაგან საქართველოს ეროვნული ბაზრის დაცვის მექანიზმი, რომელ საქონელსაც ადგილობრივი მეწარმეები ქმნიან;

- მთავრობამ ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი ფერმერული მეურნეობის, კომპერატივებისა და ასოციაციების შექმნას;

- აუცილებელია, ადგილობრივი ხელისუფლების მაქსიმალური ჩართვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემების გადაწყვეტაში.

სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის საფუძვლზე შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობა, რაც გააძლიერებს ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

Current situation in Georgia agriculture sector and perspectives of development

J. Archvadze, E. Mekvabishvili

Agriculture is the most oldest and traditional field of Georgia economy. At the same time, this mentioned branch was in recession during the long period of time. The role and importance of this branch has decayed, its contribution in the production of GDP has decreased considerably and the differences in labor productivity have increased between this and other branches of national economy. Value added per capita produced by employed persons in this sphere is less than subsistence minimum. It has crucial importance to undertake some public policy measures for revival, recovering and development of this field of economy, to overcome crisis and to increase rural inhabitants' welfare.

ხარმატული შემთხვევის მარკეტინგი

ტერიტორიას მარკეტინგი

ჩარიტა ჯაში

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაბულტეტის ასოცირებული პროფესორი

მომსახურების სფეროს ღინამიკური განვითარება თვალსაჩინოა მთელ მსოფლიოში. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მომსახურების წილი მშპ-ში ბევრად მეტია საწარმოო სფეროსთან შედარებით. მომსახურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომხმარებელთა ფასეულობის ზრდის პროცესში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OSCD) წევრ ქვეყნებში მომსახურების სფეროში ჩართულია დასაქმებულთა 70%. „მომსახურების სფერო ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს“, სწორედ ამ დევიზით ჩატარდა მომსახურების გლობალური სამიტი აშშ-ში 2009 წლის ოქტომბერში.¹

ტურიზმი მომსახურების სფეროს მაღალკონკურენტული ეკონომიკური საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვას.

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის წილი ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, თუმცა, ბოლო პერიოდის ტენდენციები მეტად შთამბეჭდავია: 2010 წელს საქართველოში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 36% -ით მეტი იყო და 1,5 მლნ-ზე მეტი ტურისტი დაფიქსირდა. ტურიზმის ბაზრის

¹. Global Services Summit, Washington, DC, October, 2009 p.4.

არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა როგორც ქვეყნის შიგნით. ასევე გარეთ. არსებობს რეალური პერსპექტივა, რომ ტურიზმი საქართველოში გადაიქცეს ეკონომიკის ერთ-ერთ წარმატებულ დარგად.

საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ტურისტული მომსახურების ხარისხისა და მომსმარებელთა კმაყოფილების დონის ამაღლება. მიუხედავად პრობლემის აქტუალურობისა, ტურიზმის მარკეტინგული კვლევები ამ მიმართულებით საკმარისი არ არის და ნაკლებად ასახავს ცვლილებებს ქართულ ტურისტულ ბაზარზე¹.

მსოფლიოში მრავალი მეცნიერული კვლევა არსებობს მომსახურების ხარისხისა და მომსმარებელთა კმაყოფილების შესახებ, თუმცა სპეციალისტთა მიღვომები აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით განსხვავებულია. წინამდებარე სტატიის მიზანია ტურიზმის სფეროში ხარისხის შეფასების არსებული მეთოდების ანალიზი. ამ მიზნით სტატიაში განხილულია უცხოელი და ქართველი მარკეტოლოგების - ფ. კოტლერის, კ. კელერის, ვ. ზეიტამლის, ა. პარასურმანის, ლ. ბერის, ჯ. მაკლუგალის, თ. ლევესკის, ს. გრონრუსის, ვ. მიდლტონის, ჯ. კრომპტონის, ა. მორგანის, ა. რანჩოლდის, მ. ბიტნერის, ტ. ვორენის, ნ. თოდუას და სხვათა ნაშრომები.

გლობალიზაციის პროცესებმა მკვეთრად შეცვალა ვითარება ტურისტულ ბაზარზე. საგრძნობლად გაიზარდა ტურისტთა რიცხვი მსოფლიოში. მკვლევარები მიზნევენ, რომ კულტურული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემოს რადიკალურა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანთა ცხოვრების წესზე. დღეისთვის მომსმარებელთა ინტერესების არეალი დიდად განსხვავებულია. თანამედროვე ტურისტები

¹ტურიზმის სამომსმარებელო პოტენციალი. რაოდენობრივი კვლევის ანგარიში. თბილისი, 2007. შიდა ტურიზმის სამომსმარებელო კვლევა, თბილისი, 2009; ნ. თოდუა, ე. ბახტაძე. ტურიზმის ბაზრის მარკეტინგული კვლევა და მისი განვითარების სტრატეგიები აჭარაში. თბილისი, 2006.

ჩვეულებრივ მოგზაურობასა და დასვენებასთან ერთად, განსხვავებულ ტურისტულ მარშრუტს, მრავალფეროვნებას, უჩვეულოსა და ინდივიდუალურს ანიჭებენ უპირატესობას. განსაკუთრებით შეიმჩნევა ტურისტთა სხვადასხვა სეგმენტის ზრდა. ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა საქმიან მოგზაურთა რიცხვი, ასევე ადგილი აქვს კულტურული ტურიზმის, ქალთა ტურიზმის, ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთა რიცხვის ზრდასაც.

ტურიზმი წარმოადგენს ინდივიდუალური მომსახურებების (სერვისების) ერთიან პაკეტს, რომელიც მომსმარებელთა ფასეულობების დასაკმაყოფილებლად იქმნება. მომსახურება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასეულობის ზრდის საქმეში. მომსახურების ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული პროდუქტის მახასიათებლებზე და უშუალო გავლენას ახდენს მომსმარებლის დაკმაყოფილების დონეზე. ხარისხი ვიწრო მნიშვნელობით შეიძლება განისაზღვროს, როგორც “წუნის არარსებობა”, მაგრამ მომსმარებელზე ორიენტირებულ კომპანიათა უმრავლესობა ასეთი ვიწრო განსაზღვრის ფარგლებს სცილდება და ხარისხს მომსმარებლის დაკმაყოფილების პოზიციებიდან განიხილავს. ხარისხი უშუალოდ არის დაკავშირებული მომსმარებლის აღწევასთან. კომპანია მაღალ ხარისხს აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა მისი პროდუქტი თუ მომსახურება თავის მახასიათებლებით და მრავალფეროვნებით ამართდებს ან აღემატება იმ მოლოდინს, რომელსაც მომსმარებელი ელოდება კომპანიის საქმიანობიდან.¹

მომსმარებელი პროდუქტისა და მომსახურების ისეთ ფასეულობებს ეძებს, რაც მათ კონკრეტულ, ინდივიდუალურ მოთხოვნებზე იქნება მორგებული. ტურისტულ ბაზარზე არსებული კონკურენცია განაპირობებს იმას, რომ კომპანიები სტანდარტულ შეთავაზებებს არ სჯერდებიან, ამატებენ დამატებით ფასეულობებს, რასაც მომსმარებლები სასიამოვნო სიურპრიზად ჩატარებუნ. მომსმარებელთა პრინციპიური შეთაბეჭდილებების შე K. Kotler P., Keller K., “Designing and Managing Services” Pearson Prentice Hall, Singapore, 2006, p. 371-397

ქმნას, მათი მოლოდინის გამართლებას წარმატებისაკენ მიყავს კომპანია.

მომხმარებლის მოლოდინსა და აღქმულ ფასეულობას შორის არსებული განსხვავების ანალიზი წარმოაჩენს იმ ბარიერებს, რაც ხელს უშლის მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ბევრმა ტურისტულმა მარშრუტმა მოიხვეჭა პოპულარობა იმის გამო, რომ მომხმარებლის მიერ აღქმული ტურისტული პროდუქტი და მომსახურება სრულად შეესაბამება გადახდილ ღირებულებას. სხვადასხვა სახეობის ტურისტული მარშრუტები მომხმარებლებს ხარისხიან მომსახურებას სთავაზობენ. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ტურიზმის სფეროში დაკავებული ყველა რგოლი სინქრონულ რეჟიმში უზრუნველყოფს სერვისის უწყვეტ მაღალ ხარისხს, რათა მომხმარებლის საბოლოო შთაბეჭდილება სასიამოვნო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდეს.

ტურიზმის მარკეტინგის სპეციფიკურობა, უპირველეს ყოვლისა, ტურიზმის პროდუქტში კლინდება. ასეთ პროდუქტად გვევლინება ტურისტული მომსახურების სხვადასხვა ფორმა. ტურისტული პროდუქტი მომხმარებელთა სარგებლის ნაკრებია. ტურისტული პროდუქტი მოიცავს მრავალ სექტორს, როგორიცაა - სატრანსპორტო სექტორი, სასტუმროების ქსელი, გასართობი სექტორი, რესტორნები და კაფეები, ტურისტული შუამავლები, საკომუნიკაციო სისტემა და სხვა.

მარკეტინგული მიქსის კომბინირებული ქმედება ხელს უწყობს ტურისტულ პროდუქტიასა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა. ტურიზმის მარკეტინგული კომპლექსში¹ ნათლად ჩანს არა მარტო მიმწოდებელთა როლი, არამედ მომხმარებელთა დამოკიდებულება, მათი მონაწილეობა მომსახურების პროცესში, მარკეტინგული მიქსი ფოკუსირდება პარტნიორულ ურთიერთობაზე, რომელიც წარმატების საფუძველია ტურიზმის მარკეტინგის შეზღუდვაში.

¹Middleton V., Morgan A. Understanding the Marketing Mix in Travel and Tourism-marketing in tourism and travel www.bized.co.uk 2009 tourism/marketing www.capecateway.gov.za/Text/2005; www.hotelmule.com/management.

ტურიზმის მარკეტინგი განსაკუთრებულ ფოკუსირებას ახდენს ე.წ. „ახალი მოთხოვნის“ ფაქტორზე, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს ორი თვალსაზრისით: პირველი - მომხმარებელთა მოტივაციის ხელშეწყობა, მეორე - ტურისტის ქცვის მოდელი, რომელიც განპირობებულია მიმართულებების მრავალფეროვნებაზე, პროდუქტის ფასეულობების მიწოდებაზე, ხარისხის მოდელინზე, შეკვეთების ფორმებზე და სხვა.¹

ტურისტულ ბაზარზე არსებული ვითარების კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლისათვის. გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა გარე და შიგა ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს მიმდინარე პროცესებზე. რასაკვირველია ტურისტული სააგენტოები, შესაბამისი ორგანიზაციული ბიზნეს-სტრუქტურები ბევრს აკეთებენ მომხმარებელთა მოზიდვისათვის, მაგრამ მათი აქტიურობა საკმარისი არ არის. პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო ქვეყანაში მნიშვნელოვანია. ქართულ რეალობაში ეს ძალიან კარგად გამოჩნდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებმა ტურიზმის ბიზნესს სერიოზული ზიანი მიაყენა. ტურისტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა განმსაზღვრელი ფაქტორია ტურისტული მომსახურების სფეროსათვის. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქვეყნის სტაბილურობა, პოზიტიური იმიჯი, როგორია მსოფლიოს ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოს ტურისტული პოტენციალისადმი.

დიდია სოციალური გარემოს როლიც. სოციალური ასპექტები უშეალო გავლენას ახდენენ მომხმარებელთა მოტივაციაზე. მხოლოდ ელიტარულ მომხმარებელზე ორიენტაცია საკმარისი არ არის. ყველა ფენის მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება და ტურისტული პროდუქტის ინდივიდზე მორგება მეტად მნიშვნელოვანია.

ტურისტთა მოთხოვნების დააკმაყოფილებისათვის აუცილებელია კომპანიამ განახორციელოს რიგი მარკეტინგული

¹Lohmann M. New Demand Factors in Tourism, Budapest, 2004, p. 3-5.

დონისძიება, როგორიცაა: ტურისტული ბაზრის დეტალური შესწავლა, ტურისტული პროდუქტის შესახებ რეალური ინფორმაციის მიწოდება, აგრესიული საინფორმაციო პოლიტიკის წარმართვა, მომსმარებელთა მოტივაციის გაზრდა, პროდუქტის დივერსიფიკაცია და სხვა.

ტურიზმის მომსახურების ხარისხი მომსმარებელთა მოთხოვნების, მოლოდინის დაკმაყოფილებაა. ხარისხი მრავალი მახასიათებელის ერთობლიობაა, რაც მიმართულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის (Public Welfare) უზრუნველყოფისაკენ. მომსახურება მოიცავს არამატერიალურ მახასიათებლებს, რომელთა გაზომვა/შეფასება საქმაოდ რთულია, თუმცა სერვისის ზოგიერთი ელემენტის რაოდენობრივი შეფასება შესაძლებელია. მაგალითად, მოლოდინის დრო, მომსახურების სიხშირე, საბაზრო ფასით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება და ტიპები.

ხარისხი კომპანიის სტრატეგიული ელემენტია და შესაბამისად მნიშვნელოვანი ფაქტორია. აგრესიულ კონკურენტულ პირობებში ხარისხის მენეჯმენტის მართვა გულისხმობს მართვის მომსახურების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას მომსახურების სრულყოფის მიზნით.

მომსახურების ხარისხი მრავალგანზომილებიანია. იგი იცვლება დროის შესაბამისად. მომსახურების ხარისხი იყოფა ორ ნაწილად: აღქმული და რეალური ხარისხი. ომსახურების ხარისხის განზღვრის სამი ნიშანი არსებობს: ორგანიზაციის ანუ კომპანიის იმიჯი, ტექნიკური ხასიათის დამატებითი მახასიათუბელი და ფუნქციური ხარისხი, ანუ მომსახურების შედეგი.

მომსახურების ხარისხი აღიქმება მომსმარებლის მიერ და იზომება მისი კმაყოფილების დონის მიხედვით, რაც განპირობებულია სოციალური გარემოსა და ეკონომიკური ფაქტორების ქრის ანდერსნი - ცნობილი მარკეტოლოგი და ბიზნეს მენეჯერი 10 ცნობილ მეცნიერს ასახელდეს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წლილი შეიტანეს ხარისხის მენეჯმენტისა და კონტროლის, ხარისხის მეთოდოლოგიური საფუძვლების შექმნაში. როგორიცაა: გ.სტიუარტი, ედემინგი, ა.ფეიგნბაუმი, ჯ.ჯურანი, კ.ისიკავა, შ. შინგო ტ.ბაგუჩი, ფ. კროსბი, მ.კოლდრატი, ტ.ოპნო: www.bizmanualz.com/.../top-ten/top-ten-quality-gurus.html

ზემოქმედებით. ის უწყვეტი პროცესია, რომელიც მომსმარებელს უყალიბებს პოზიტიურ დამოკიდებულებას მომსახურების მიმწოდებლისადმი (service provider).¹ არსებობს მომსახურების ხარისხის შეფასების სხვადასხვა მეთოდი და სამოქმედო დებულებები. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის სამუშაო პროგრამაში მოცემულია ცნების- „ხარისხი ტურიზმში“ შემდეგი განმარტება: „შედეგი პროცესისა ,რომელიც გულისხმობს სასურველ პროდუქტსა და მომსახურებაზე მომსმარებლის მოთხოვნილებისა და მოლოდინის დაკმაყოფილება მისაღებ ფასებში ორივე მხარისათვის სასურველი საკონტრაქტო პირობებით; უმნიშვნელოვანებია ხარისხის დეტერმინანტები, როგორიცაა უსაფრთხოება, ჰიგიენა, ხელმისაწვდომობა, ტრანსფარენტულობა, აუთენტურობა და ჰარმონია დაკაგშირებულ ტურისტულ საქმიანობასთან, ადამიანურ და ბუნებრივ გარემოსთან“.¹

ტურისტის კმაყოფილების ხარისხი არ იზომება მარტო ან რადგნიმე მოთხოვნის დაკმაყოფილებით. ის მრავალასპექტოვანია და საკმარისია ერთი მათგანი ამოვარდეს, რომ მან შეიძლება მომსმარებლის მოლოდინი ვერ გაამართლოს. ამასთან არ შეიძლება ტურისტული პროდუქტის მხელოდ ერთხელ მომსმარების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების დაკაგშირება მთლიან ფასებულობასთან. ერთჯერადი მაღალი ხარისხის სერვისი არასაკმაო გავლენას ახდენს ტურისტული პროდუქტის ხარისხის აღქმის ამაღლებაზე. უმაღლესი ხარისხის სერვისმა ტურისტს შესაძლოა წარსულში მომსმარებული ტურისტული პროდუქტის ნაკლოვანებები დაანახოს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომსმარებელებთა კმაყოფილება ხასიათდება სუბიექტური მიდგომით ხარისხის აღქმისადმი. პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, მომსმარებლებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნილებები და მოლოდინი, ამიტომ ხარისხის უზრუნველყოფები მარკეტინგი თრიეგტირებულია პიროვნების პერსონალურ მახასიათებლებზე და ¹ WTO Quality Support Committee at its sixth meeting Varadero, Cuba, 9-10 May,

მათ მიერ აღქმული ხარისხის დონის განსაზღვრას.¹

ტურიზმის მომსახურების ხარისხის კვლევა დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. ხარისხის შეფასების პოპულარული მოდელია ე. წ. SERVQUAL (მომსახურების ხარისხის შემოკლებითი აბრივიატურა), რომელიც 1982 წელს შეიმუშავეს ამერიკელმა მეცნიერებმა ჰარასურმანმა, ზეიტლმანმა და ბერიმ.

აღნიშნული მოდელის შესაბამისად მომხმარებლის მოლოდინი უკავშირდება მოთხოვნილებას პოზიტიურ კომუნიკაციაზე და მომხმარებლის მიერ პროდუქტის მახასიათებლების აღქმას. ტურისტმა უნდა მიიღოს ის ფასეულობა, რაც მისთვის წინასწარ არის განსაზღვრული. ამ მოდელის მიხედვით სერვისის ხარისხი განისაზღვრება როგორც განსხვავება მომხმარებლის მოლოდინსა და აღქმულ ფასეულობას შორის, რაც სერვისის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურის საფუძველია.²

ხარისხის შეფასების მოდელი დაფუძნებულია 5 კრიტერიუმზე:

1. სანდოობა – პირობის შესრულების უნარი;
2. დარწმუნება - პროფესიონალიზმი, კომპეტენცია;
3. გულისხმიერება- დახმარების მზადყოფნა, ინდივიდუალური მიღების გათვალისწინება;
4. მატერიალურობა- ფიზიკური გარემოს დანახვის შესაძლებელობა – პირობის შესრულების უნარი;
5. დარწმუნება - პროფესიონალიზმი, კომპეტენცია;

¹ ტიმ ვორენი, მარკეტოლოგი და მენეჯერი ტურიზმის დარგში, გვთავაზობს მომხმარებელთა მომსახურებისა და ხარისხის გაუმჯობესების ცხრა პრინციპს, რაც ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული. აი.ისინი: 1. მომხმარებელს უნდა მოუსმინო, იგი ინფორმაციის საუკეთესო წყაროა; 2 სასურველია მოლოდინის არა თუ გამართლება, არამედ გადაჭარბება, ეს ცნობიერებაში უფრო მეტად აღიქმება; 3. უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა; 4. მადის აღმდერელი სამზარეულო; 5. დამატებითი კომუნიკაცია შექმნა; 6. ცოდნა ტურისტის ფიზიკური შესაძლებლობების შესახებ; 7. ტურისტული გარემოს შესახებ უახლესი ინფორმაციული პაკეტის მიწოდება; 8. მომხმარებელისადმი კეთილგანწყობის გამოხატვა; 9. კომუნიკაციური აქტიურობა; Warren T, www.adventurebizsuccess.com/tourism_business_casestudy.php

² Berry L, Parasuraman, A., Zeithaml, V. A. The service-quality puzzle. Business Horizon, 1988, 31(5), 35-438.

ბლობა;

5. გულშემატკივრობა - დაუყონებლივი გამოძახილი მომსახურებაზე;

ეს მოდელი გამოიყენება სერვისის სფეროში ხარისხის შესაფასებლად, რაც განსაკუთრებით პოპულარულია ტურიზმის სფეროში. ზეიტმალისა და ბიტნერის მიხედვით კმაყოფილება არის მომხმარებლის პასუხი მომსახურებაზე. პროდუქტისა და მომსახურების მახასიათებლები უზრუნველყოფს მოხმარების პოზიტიურ დონეს.¹

მომხმარებელთა აღქმა დაკავშირებულია კონკრეტულ მომსახურებასთან, რაც მან გარეულ დროსა და სივრცეში მიიღო. ხოლო მომხმარებლის მოლოდინი დაკავშირებულია გამოცდილებასა და იმ ინფორმაციასთან, რომელიც მომხმარებელს აქვს წინასწარ მიღებული. მომსახურების ხარისხის კვლევაში მონაწილე რესპონდენტს მიმართავენ სპეციალურად შემუშავებული ანგეტით, რომელიც მოიცას 22 კომპონენტს.

მომხმარებლის მოლოდინის და აღქმის შედარებებს ზემოთ აღნიშნული 5 კრიტერიუმის გარშემო. ანგეტა შედგებაორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი იყენებს ლაიკერტის 7- ბალიან სკალას, (მთლიანად ვეთანხმები ან მთლიანად არ ვეთანხმები) რომელსაც მომხმარებელი ავსებს. რესპონდენტების პასუხები ერთმანეთისაგან განსხვავდება შეთანხმებისა და შეუთანხმებლის დონის იმ მტკიცებულებით, რომელიც გამოხატავს დადებით თუ უარყოფით შეხედულებას მოლოდინთან მიმართებით. მეორე ნაწილი ამავე სკალის მიხედვით განსხვავრავს მომხმარებლის აღქმას მომსახურების ხარისხთან მიმართებით.¹

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის შეფასების აღნიშნული მოდელის მიხედვით მრავალი გამოკვლევაა ჩატარებული, მკლევართა ნაწილი მის ნაკლოვანებაზეც ამახვილებს კურადღებას.

¹ Zeithaml, V. A., & Bitner, M. J. Services Marketing: Integrating Customer Focus Across the Firm. New York: McGraw-Hill, 2003, p. 86.

მკლევარი ს. გრონრუსი მომსახურების ხარისხის შეფასებისას ეფუძნება ორ განზომილებას: ტექნიკურს და ფუნქციონალურს. მისი აზრით, მომსახურების ტექნიკური ხარისხი განისაზღვრება იმ კრიტერიუმებით, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების პროცესის შემადგენელ ნაწილებთან, მაგალითად, სასტუმროს ნომერი, ტრანსპორტი, სამზრეულო და სხვა. მომსმარებელს აქვს საშუალება მიახლოებით შეფასოს მისი ხარისხი. იგი წინასწარ არის მომზადებული იმისთვის, თუ რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს მას. ფუნქციონალური ხარისხი კი უშუალოდ მომსახურების აღქმასთან არის დაკავშირებული. ის მოიცავს მომსახურე პერსონალისა და მომსმარებელს შორის ურთიერთობას, პერსონალის ქცევასა და მომსახურების მომსმარებლამდე ჩაბარებას.¹ ამერიკელმა მკვლევარებმა გ-მაკდოუგალმა და თლევესკიმ ს. გრონრუსის მოდელს კიდევ ერთი განზომილება დაუმატეს - მომსახურების გარემო და ხარისხის შეფასების ეს მოდელი გახადეს სამგანზომილებიანი.²

მომსმარებელთა კმაყოფილება და მომსახურების ხარისხი ხშირად მიჩნეულია ერთ კატეგორიად, რადგანაც მათ საერთო თეორიული საფუძველი გააჩნიათ. თუმცა, მკვლევარების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მომსმარებლის კმაყოფილება გამომდინარეობს ხარისხიანი მომსახურებისაგან. ხარისხსა და მომსმარებლის კმაყოფილებას შორის განსხვავება განპირობებულია მოლოდინის შედარებისა და აღქმული მომსახურების გაანალიზებით.

მომსახურების ხარისხისა და მომსმარებლის კმაყოფილების ერთიანობით იქნება ფასეულობა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსმარებელისათვის. მომსმარებლები არ უნდა მოვლოდნენ უფრო მეტი ფასეულობის მიღებას, ვიდრე ეს მათ

¹.Parasuraman, A., Zeithaml, V.A. and Berry, L.L., "SERVQUAL: A multiple-item scale for measuring consumer perceptions of service quality", Journal of Retailing, 1988.

².Grönroos, C. . A service quality model and its marketing implications. Journal of Marketing, 1984.p. 36-44. 3 3.McDougall, G. Levesque, T. A revised view of service quality dimensions: An empirical investigation. Journal of Professional Service Marketing, 11(1), 1994,p.189-209.

მიერ გადახდილი თანხითა და გარემოს შეზღუდვებითაა გათვალისწინებული.

მომსმარებელთა კმაყოფილება ერთიანი, პოლისტიკური /holistic/განზომილებაა. ტურისტის დაკამაყოფილების ხარისხის გაზომვა, შეფასება კომპლექსური ღონისძიებაა. მომსმარებელთა კმაყოფილებისა და უკმაყოფილების შეფასების მეთოდი არის ე.წ. Mistery Shopping/Consumer (იდუმალი მყიდველი), რომელიც XX საუკუნის 50 წლებიდან ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში. ამ მეთოდის მიხედვით, შეფასების პროცესში ჩართული არიან პიროვნებები, ფოკუსირებული ჯგუფები, რომლებმაც სპეციალური მომზადება გაიარეს. ისინი კონტაქტში შედიან ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებთან, როგორც მყიდველები (მაგალითად, რესტორანებში, სასტუმროებში, ტურისტულ საგენტოებში), აკვირდებიან როგორია მომსახურე პერსონალის განწყობა, კომპტენტია, ზრდილობა. დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს აუდიო და ვიდეო საშუალებებით. დაკვირვების შედეგები გაანალიზდება შესაბამისი კრიტერიუმის ფორმატის დაცვით.¹

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებება შეუძლებელია, თუ დროულად არ იქნება გამოვლენილი მომსახურების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, როგორიცაა:

- შეუთანხმებლობა მომსმარებელთა მოლოდინსა და სერვისის აღქმულ ფასეულობას შორის;
- კომუნიკაციის ნაკლებობა სერვისის მიმწოდებლებსა და მომსმარებლებს შორის;
- მარკეტინგული კვლევების მნიშვნელობის უგულველყოფა;
- დასაქმებულთა ნაკლები სტიმულირება და არახელსაყრელი სამუშაო პირობები;
- კონტროლის სისტემის დაბალი ეფექტუანობა;
- გუნდური მუშაობის ნაკლებობა;
- შეფასებების მომსახურების სფეროს თანამშრომელთა 2 Rappold J. Get Paid to Shop: opportunities in mystery shopping. USA, 2004, p.13-33.

და მენეჯმენტის შეხედულებებს შორის;
 • სერვისის მიმწოდებლებისა და მენეჯერების მიერ მომხმარებელთა მოლოდინის სხვადასხვაგარად აღქმა.

ამასთან დაკავშირებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის ის ფაქტორიც, რომ ხშირ შემთხვევაში მომსახურების ხარისხი არ შეესაბამება იმ ფასს, რომელსაც მომხმარებელი იხდის გაწეული მომსახურებისათვის. ფასის პოლიტიკა განსაკუთრებულ როლს თამაშობს ტურიზმის მომსახურებაში, ამიტომ არააღექსატური ფასები ხშირად დამაბრკოლებელ ფაქტორი ხდება ტურიზმის ბიზნესში. ტურისტული პროდუქტისათვის გადახდილი ფასით განისაზღვრება კლიენტის მოლოდინი კონკრეტული მომსახურებისადმი. თუ ხარისხი გარანტირებულია და პროდუქტი კი განსაკუთრებული, გამორჩეული, ბუნებრივია, ფასიც შესაბამისად მაღალი იქნება. ეს პროდლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ტურიზმის ბაზარზე საქართველოში, ისევე როგორც ხარისხისა და მომხმარებელთა კმაყოფილების სხვა ასპექტები.

ხარისხის შეფასების მეთოდების პრაქტიკული გამოყენება საშუალებას იძლევა მიზანმიმართულად იქნეს განხორციელებული ტურიზმის მარკეტინგული სტრატეგია. ხარისხისა და ტურისტთა კმაყოფილებაზე ორიენტირებული კვლევები უნდა ტარდებოდეს მომხმარებელთა ფართო სეგმენტზე და მას სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს. მსგავსი კვლევების დაფინანსება აუცილებელია აკადემიური, მეცნიერული სფეროსათვის. მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქართული ტურიზმის პროდუქტის პოპულარიზაციისათვის ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე, ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის საქართველოში.

The methods of measuring quality in tourism marketing

Empowering the service quality and customer satisfaction is crucially important for development of tourism business in Georgia. It is widely accepted today that service quality has a direct effect on customer satisfaction. Despite the significance of this issue there's lack of scientific researches on the service quality of tourism in Georgia.

This paper seeks to provide review of marketing mix of tourism, to analyse the service quality models of tourism service relying on scientific researches of foreign and Georgian marketing specialists.

Service quality is considered as the major concern tourist industries. One of the most widely used SERVQUAL model developed by Parasuraman, Zeithaml, and Berry in 1982. The following five key dimensions were qualified to measure the quality of service in tourism : reliability, assurance, tangibles, empathy, and responsiveness.

The model is qualified a useful instrument to identify the gaps between customers' expectations and customers' perceptions of the services. The model contains 22 items for assessing customer perceptions and expectations regarding the quality of service . A level of agreement or disagreement with a given item is rated on a seven point Likert-type scale . The SERVQUAL model has been extensively used in service sectors of many countries. .

Consumer satisfaction is a holistic dimension and result of service quality in tourism .

Quality and consumers satisfaction measurement will give the possibility to identify the demands of different segments of potential consumers . It is very important to integrate the methods of measurement of service quality in practice for developing tourism marketing in Georgia. It should be provided consumer oriented researches of tourism market not only in terms of scientific , but for wide promoting Georgian tourist product in the domestic and global markets.



საქართველოს დამოუკიდებელი

თბილისში (ემპირული კვლევის
შედეგები)

01 ნაცვლიშვილი

ეგონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

სამეწარმეო საქმიანობის საკითხების შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა ეგონომიკურ ლიტერატურასა და ბიზნესის შემსწავლელ მეცნიერებებში. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მეწარმეობა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. სადღეისოდ სამეცნიერო ლიტერატურაში დაგროვდა მდიდარი მასალა სხვადასხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნიშნების და მეწარმეობისადმი დამოკიდებულების თავისებურებების შესახებ. ცხადი გახდა, რომ სამეწარმეო საქმიანობასა და ინდივიდუების მეწარმეობისადმი დამოკიდებულებაში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები არა მხოლოდ სუპრანაციონალურ დონეზე ქვეყნებს შორის, არამედ ნაციონალურ დონეზეც ქვეყნის შიგნით რეგიონების მიხედვით.

საქართველოში მეწარმეობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების (განწყობის) შესასწავლად ჯერ არ ჩატარებულა ფართომასშტაბინი კვლევა, რომელიც რესპონდენტთა გამოკითხვის გზით მოიცავდა მთელი ქვეყნის ტერიტორიას და გააანალიზებდა მეწარმეობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების სპეციფიკას როგორც სხვა ქვენებთან მიმართებით, ასევე ცალკეული რეგიონების მიხედვით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2000-2003

წლებში ჩატარებული კვლევები ნაწილობრივ ეხებოდა აღნიშნულ საკითხებს. სამეწარმეო საქმიანობის კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამჟამად თსუ ეპონომიკური სტატისტიკის კათედრის მიერ ხორციელდება კვლევითი პროექტი “ბიზნესმენთა ქცევის ტაქტიკა და სტრატეგია ეკონომიკური განუსაზღვრელობის პირობებში”, რომელიც დაფინანსებულია საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის მიერ.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს საქართველოში მოსახლეობის მეწარმეობისადმი დამოკიდებულების სპეციფიკური ნიშნების შესწავლის მიზნით 2010 წლის ივლის-სექტემბერში თბილისში ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების აღწერას და მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზს.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკასა და სოციალურ სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები, ცხადია, უდიდეს გავლენას ახდენს მოსახლეობის სამეწარმეო საქმიანობისადმი განწყობის ფორმირებაზე.

იწვევს თუ არა საქართველოში მიმდინარე რეფორმების პროცესში წარმოშობილი სიძნელეები და პრობლემები უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მეწარმეობისადმი? იწვევს თუ არა აღნიშნული პროცესები მეწარმეობის სურვილის გაქრობას თუ პირიქით? რამდენად ღრმადაა გაცნობიერებული მოსახლეობის მიერ მეწარმეობასთან დაკავშირებული რისკები და საშიშროებები? როგორია მოსახლეობის სურვილები და მოლოდინი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისადმი, თვითდასაქმების პერსპექტივისადმი მომავალი უახლოესი წლების განმავლობაში?

ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხების მისაღებად მრავალ წლიანი და ფართომასშტაბიანი გამოკვლევების ჩატარებაა საჭირო. მსგავსი კვლევის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩავთვალოთ თბილისის მასშტაბით რესპონდენტთა ექსპერეს-გამოკითხა. გამოკითხვის შედეგები საშუალებას იძლევა შევაფასოთ როგორც მათი განწყობა მეწარმეობისადმი, ასევე მონაცემთა ანალიზის გზით ვიზუალოთ საქართველოში მეწარმეობისადმი

მოსახლეობის დამოკიდებულების ძირითად ტენდენციებზე.

2010 წლის ივლის-სექტემბერში ავტორის მიერ ჩატარებული ექსპერეს-გამოკითხვის საკლევ თემას წარმოადგენდა საქართველოში მეწარმეობისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების სპეციფიკური ნიშნების, მეწარმეობისადმი განწყობის სხვადასხვა ასპექტის, მომავალთან დაკავშირებული მოლოდინის, ასევე თვითდასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისათვის მიმზიდველი დარგების გამოვლენა. გამოკითხვის ობიექტი იყო თბილისის სხვადასხვა უბანში მცხოვრები ინდივიდები და ოჯახები (შონამეურნეობები). ცხადია, ეს ობიექტი არ არის რეპრეზენტატული მთელი საქართველოს მასშტაბით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თბილისი ყველაზე დიდი ქალაქია საქართველოში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს. შესაბამისად, თბილისში მცხოვრებ რესპონდენტების განწყობა საკმარისი სიზუსტით უნდა ასახავდეს საქართველოში მოსახლეობის განწყობის ძირითად ტენდენციებს.

გამოკვლევის პიპოლებაა ის, რომ საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონისა და მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე არსებული სიძნელეების გათვალისწინებით, ასევე უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტ-ნაკლებად წარმატებული რეფორმების ფონზე, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო თვითდასაქმების დიდი სურვილი და მომავალში სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ასევე დიდი მოლოდინი.

კვლევის მეთოდს წარმოადგენდა ანკეტური გამოკითხვა ისეთი არაალბათური შერჩევის სხვადასხვა სახის გამოყენებით, როგოროცაა ქწ. სტიქიური შერჩევის და “ქუჩის შერჩევის” ტიპი. სტიქიური შერჩევა გამოიყენება ქუჩაში ადამიანების გამოკითხვისას. იგი, სხვა მეთოდებთან შედარებით, უფრო მარტივი, იაფი და ნაკლებრეპრეზენტატულია. შეუძლებელია განზოგადების მოხდენა მთელ პოპულაციაზე. მიუხედავად ამ ხარვეზისა, სტიქიური შერჩევა ხშირად გამოიყენება სოციალურ კვლევებში, რაც სწორედ მისი სიმარტივით და მოხურებულობით აიხსნება.¹

“ქუჩის შერჩევის” ტიპის გამოყენების შემთხვევაში ინტერვიუები გამოკითხვები რესპონდენტებს წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე² პირველადი ინფორმაცია მოპოვებულ იქნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თბილისში მცხოვრები სტუდენტების მიერ საკუთარი ოჯახის წევრების, მეზობლად არსებული შინამეურნეობების, თბილისის სხვადასხვა უბანში მცხოვრები ოჯახებისა და ინდივიდების გამოკითხვის გზით. ასეთი გზით მიღებული შერჩევის ერთობლიობა მოიცავს თბილისის მასშტაბით გენერალური ერთობლიობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. რესპონდენტები იყვნენ თბილისის სხვადასხვა უბანში მცხოვრები სხვადასხვა ასაკის, განათლების, სქესის, სოციალური სტატუსის, შემოსავლების ქმონე ადამიანები. სულ გამოკითხა 1116 რესპონდენტი. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის საშუალებით.

კვლევის შედეგები შთამბეჭდავია და ხაზსგასმით წარმოაჩენს საქართველოში მეწარმეობისადმი დამოკიდებულების სპეციფიკას თბილისის მაგალითზე. ემპირიული მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ რესპონდენტთა 91.5% ისურვებდა ყოფილიყო თვითდასაქმებული. ამ მხრივ ეკროპელები ბევრად უფრო თავშეკავებული არიან. ეკროკავშირში რესპონდენტთა მხოლოდ 45% გამოთქავს თვითდასაქმების და მეწარმეობის დაწყების სურვილს. აშშ-ში მსგავს სურვილს გამოთქავს 65%, ხოლო ჩინეთში – 71%.³

უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმატებული რეფორმების ფონზე სუსტია უარყოფითი განწყობა მეწარმეობისადმი. მაღალი უმუშევრობის დონის ფონზე მნიშვნელოვნად დიდია

¹ ლ. წელაძე. რაოდენობრივი კვლევის შეიოდები სოციალურ მეცნიერებებში. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი, 2008, გვ. 43-44.

² თამარ ზურაბიშვილი, თინათინ ზურაბიშვილი. სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკა. რაოდენობრივი მეთოდები. სალექციო კურსი. სამოქალაქო განათლების პროექტი. სოციალურ მეცნიერების მაგისტრებისათვის. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი, 2006, გვ. 105-106.

³ Who want to be an entrepreneur?; <http://www.euronews.net/2010/06/14/who-want-to-be-an-entrepreneur/>; 14/06 20:59 CET 2010; last retrieved July 10, 2010

თვითდასაქმების სურვილი. ასევე, ძლიერია მომავალში სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მოლოდინი. საქართველოში თბილისელ რესპონდენტთა პოზიტიური დამოკიდებულება მეწარმეობისადმი მიანიშნებს რესპონდენტთა თავდაჯერებულობაზე, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის განცდის არსებობაზე, ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური რეფორმების წარმატების მოლოდინზე.

განსაკუთრებული ინტერესის საგანია გამოკითხულ ადამიანთა ამჟამინდელი სამეწარმეო საქმიანობის ფაქტობრივი მდგრამარება. რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე – “ეწევით თუ არა მეწარმეობას (გაქვთ თუ არა საკუთარი ბიზნესი)?” ცხადყოფს, რომ რესპონდენტთა 81.8% არ ეწეოდა მეწარმეობას. მხოლოდ 10.0% იყო თვითდასაქმებული, 6.1% ეწეოდა მეწარმეობას მცირე ან საშუალო ბიზნესში, 1.4% - მსხვილ ბიზნესში. მონაცემები არ არის რესპონდენტთა 0.6%-დან. ადსანიშნავია, რომ ევროკავშირში რესპონდენტთა 12% არის დაკავებული სამეწარმეო საქმიანობით, იაპონიაში - 15%, აშშ-ში - 21%, ჩინეთში - 27%.


რესპონდენტთა 91.5% დადებითად პასუხობს კითხვაზე - “რომ შეგეძლოთ, ისურვებდით თუ არა ყოფილიყავით თვითდასაქმებული?”, უარყოფითად პასუხობს 6.0%, მონაცემები არ გვაქვს რესპონდენტთა 2.5%-დან.

რესპონდენთა დიდი ნაწილი (48.4%) მეწარმეობისათვის ყველაზე დიდ საშიშროებად მიიჩნევს არარეგულარულ შემოსავლებს.

გაკოტრების საფრთხე საშიშროებად მიაჩნია რესპონდენტთა 39.6%-ს. საქართველოში ეს მაჩვენებლები განსხვავდება ევროპისა და ჩინეთის მონაცემებისაგან. ჩინელებისათვის მეწარმეობასთან დაკავშირებულ საშიშროებათა შორის პირველ ადგილზეა გაკოტრების საფრთხე - 56%. ეკროპელებისთვისაც ეს საფრთხე პირველ ადგილზეა - 49%. აშშ-სა და იაპონიაში, ქართველების მსაგავსად, მეწარმეობასთან დაკავშირებულ საშიშროებათა შორის პირველ ადგილზეა არარეგულარული, არასტაბილური შემოსავლები (აშშ-ში რესპონდენტთა 46% ფიქრობს ასე, ხოლო იაპონიაში

37%).¹


გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51,4%) იმედს გამოთქვავს, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში გახდება მეწარმეობით დაკავებული. კითხვაზე - "მიგაჩნიათ თუ არა, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში გახდებით მეწარმეობით დაკავებული?" - პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: დიახ, გავხდები თვით-დასაქმებული - 25.6%; დიახ, დავიწყებ მეწარმეობას მცირე ან საშუალო ბიზნესში - 20.8%; დიახ, დავიწყებ მეწარმეობას მსხვილ ბიზნესში - 5%; არა - 46.1%; მონაცემები არ არის რესპონდენტთა 2.5%-დან (იხ. დიაგრამა).



მიუხედავად (91,5%), პარადოქსულად ჩანს ის ფაქტი, რომ მათ უდიდეს ნაწილს (55,7%) ურჩევნია დასაქმება სახელმწიფო სექტორში და არა კერძო სექტორში. კერძო სექტორში დასაქმებას ამჯობინებს რესპონდენტთა 41,2%. მონაცემები არ არის რესპონდენტთა 3,1%-დან. ასეთი პარადოქსული ვითარება შესაძლებელია იმით აისხნას, რომ საქართველოში რესპონდენტებს მეწარმეობასთან (და შესაბამისად კერძო ბიზნესთან) დაკავშირებული საშიშროებებიდან ყველაზე დიდ საშიშროებად მიაჩნიათ არარეგულარული შემოსავლები. ამ მხრივ სახელმწიფო სექტორში დასაქმება რესპონდენტთა მიერ, სავარაუდოდ, სტაბილური შემოსავლების მიღების გარანტად აღიქმება.

განსაკურებული ინტერესის საგანია რესპონდენტთა პასუხები იმის შესახებ, თუ რომელი სექტორი მიაჩნიათ ყველაზე უფრო სასურველად მეწარმეობის დაწყების თვალსაზრისით. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს რესპონდენტთა უმრავლესობა მეწარმეობის დასაწყებად ყველაზე უფრო სასურველად მიიჩნევს განათლების, კულტურისა და დასვენების სექტორს (19,5%). სასურველი სექტორის მიხედვით რანჟირებისას პირველ ხუთეულშია: საფინანსო, საბანკო და სადაზღვო მომსახურება (15,3%); ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა (14,7%); ვაჭრობა/კომერცია (11,6%); ჯანდაცვა (9,5%).

კითხვაზე - "არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, რომელ სექტორში ისურვებდით თვითდასაქმებას/მეწარმეობის დაწყებას?" - რესპონდენტთა პასუხი შემდეგია: სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავება - 5,4%; მრეწველობა - 5,2%; ვაჭრობა/კომერცია - 11,6%; მშენებლობა - 3,0%; ტრანსპორტი - 2,1%; კავშირგაბმულობა - 2,7%; სათბობი, ენერგეტიკა - 0,7%; ტურიზმი, საკურორტო მეურნეობა - 14,7%; საფინანსო, საბანკო, სადაზღვო მომსახურება - 15,3%; ოპერაციები უძრავი ქონებით - 2,2%; ჯანდაცვა - 9,5%; განათლება, კულტურა, დასვენება - 19,5%; სასტუმროები და რესტორნები, კვების ობიექტები - 3,8%; სხვა მომსახურება - 3,6%; მონაცემები არ არის - 0,8% იხ. დიაგრამა).



ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ემპირიული მასალის ანალიზი ადასტურებს კალევის პიპოთეზას. უკანასკნელი წლების რეფორმების ფონზე არც თუ ისე დიდია უარყოფითი განწყობა მეწარმეობისადმი.

მაღალი უმუშევრობის დონის ფონზე მნიშვნელოვნად დიდია თვითდასაქმების სურვილი. ასევე, ძლიერია მომავალში საქმეწარმეო საქმიანობის დაწყების მოლოდინი. რესპონდენტთა უმეტესობა (48%) მეწარმეობასთან დაკავშირებულ ყველაზე დიდ საშიშროებად არარეგულარულ შემოსავლებს მიიჩნევს. გამოკითხულთა 51,4% თვლის, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში დაკავდება მეწარმეობით. თბილისელ რესპონდენტთა პოზიტიური დამოკიდებულება მეწარმეობისადმი მიაიზნებს მათ თვითდაჯერებულობაზე, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის განცდაზე, ბაზარზე თრიუნგირებული ეკონომიკური რეფორმების წარმატების მოლოდინზე.

Entrepreneurial Attitudes in Tbilisi (Empirical Research Results)

Ia Natsvlishvili

Article highlights the peculiarities of entrepreneurial attitudes in Georgia. According the empirical research results 91.5% of Georgian respondents would like to be self-employed. In contrast, Europeans remain far less keen on becoming an entrepreneur. Several factors explain why people prefer to remain employees. Nations differ according their concerns and fears of becoming the entrepreneur. In Georgia respondents greatest fear is uncertain income from entrepreneurship – 48% of respondents consider uncertain income from entrepreneurship as a greatest fear of becoming an entrepreneur. 39.6% of respondents are concerned of bankruptcy from entrepreneurship. One of the specific characteristics of Georgians' entrepreneurial attitudes is the Georgians' expectations of becoming self-employed: about 52% of Georgians see feasibil-

ity of becoming self-employed in next five years. Georgians' positive attitudes towards feasibility of becoming self-employed show the self-confidence and expectations of success of market oriented economic reforms and feeling of social and political stability in Georgia.

**ქონების დაზღვევის არსი და
მაკისებურებები საქართველოში**

ნატო პაკაშვილი
ექონომიკის აკადემიური დოქტორი

ქონებრივი რისკების დაზღვევისას სადაზღვევო ინტერესი დაპავშირებულია დაზღვეულ ქონებასთან. ქონების დაზღვევისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა სადაზღვევო ინტერესისათვის ზიანის მიყენებისას. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქონების დაზღვევის სფერო და მოიცვა როგორც ქონების, ასევე საინჟინრო რისკების ჯგუფში გაერთიანებული დაზღვევის სახეობები.

ქონების დაზღვევის პოლისი შედგება ოთხი წამყვანი რისკისა და დამატებითი რისკებისგან.

ქონების დაზღვევისას ძირითადი სადაზღვევო რისკებია:

- ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, თვითმფრინავის ჩამოვარდნა (FLEXA)

ქონების დაზღვევისას დამატებითი რისკებია:

- მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, შტორმი, თოვლის სიმძიმე, სეტყვა, მიწის დაწევა, წყლით დაზიანება, ავტოტრანსპორტის შეჯახება, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი, მინების დაზიანება.

თუმცა, არ ანაზღაურდება ძარცვა ან ყაჩაღობა, განხორციელებული დაზღვეულის, მისი ოჯახის წევრების, მის მიერ დაქირავებული თანამშრომლების ან მომსახურე პერსონალის მიერ.

დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე და პოლისში მითითებული მისამართების მიხედვით.

საინჟინრო რისკების დაზღვევას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნეში, როცა ტექნიკური რევოლუციის მიზეზით გახშირდა ისეთი ქონებრივი ზარალები და უბედური შემთხვევები, რომელთა

გამომწვევი მიზეზებიც სწორედ აპარატურის, საწარმოო ხაზების, მანქანა-დანადგარების, საწარმოო პროცესების მიმღინარეობის დარღვევითა და სხვა მსგავსი მიზეზებით იყო გამოწვეული.

სამშენებლო რისკების დაზღვევა ითვალისწინებს ნების-მიერი შენობების, ინდუსტრიული ობიექტების, ელექტროსადგურების, გზების, ხიდების, გვირაბების და სხვა სახის მშენებლობების დაზღვევას. დაზღვეულად ითვლება: ასაშენებლი რბიექტი, სამშენებლო მოედანზე განლაგებული მასალები, დამხმარე ნაგებობები, საწყობები, საინჟინრო სისტემები და სხვა მშენებლობისთვის აუცილებელი ქონება, მშენებლობისთვის გამოსაყენებელი მანქანა-დანადგარები. ასევე იზღვევა ზარალის შედეგად წარმოქმნილი ნაგვის გატანის ხარჯები.

სამშენებლო რისკების დაზღვევა ასევე ფარავს მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობას, როგორც მატერიალური, ასევე ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში.

კონტრაქტორის მოწყობილობების და დანადგარების დაზღვეა გულისხმობს სამშენებლო და სამოწავლის მიმღინარეობის პროცესში ამ სამუშაოების შესრულებისათვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარების დაზღვევას ყველა რისკისგან.

სამოწავლის დაზღვევა მოიცავს მანქანა-დანადგარების, ტურბინების, გენერატორების, კომპრესორების, ტრანსფორმატორების, საწარმოო ხაზების და მსგავსი მოწყობილობების დაზღვევას მონტაჟის და საცდელი გაშვების დროს.

ელექტრონული მოწყობილობების დაზღვევა მოიცავს ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობის დაზღვევას შემდეგი რისკებისგან: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, თვითმფრინავის (ან სხვა საჰაერო ტრანსპორტის) ჩამოვარდნა; კონდენსირებული აირების, კვამლის, მურის ზემოქმედება; წყლის ზემოქმედება, მოკლე ჩართვა და ელექტროენერგიასთან დაკავშირებული სხვა რისკები, მომსახურებისას დაშვებული შეცდომები (დაუდევრობა, გაუფრთხილებლობა); ძარცვა, ეაჩაყობა, ვანდალიზმი. დამზღვევი შეიძლება იყოს ნებისმიერი მხარე, რომელსაც გააჩნია ფინანსური ინტერესი დასაზღვევი ქონების მიმართ.¹

ქონების დაზღვევის დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სადაზღვევო ლირებულების განსაზღვრას.

უძრავი ქონების დირებულების განსაზღვრისას იყენებენ შემდეგ მეთოდებს:

აღდგენითი დირებულება, ანუ თანხა, რაც აუცილებელია იმავე ადგილას იმავე ტიპის, ზომისა და სარისხის შენობის თავიდან ასაშენებლად, ხელახალი დაპროექტების ხარჯების ჩათვლით; რეალური დირებულება, ანუ შენაცვლებით დირებულებას გამოკლებული ამორტიზაციის ხარჯები, როდესაც ობიექტის დირებულება 40%-ით ნაკლებია შენაცვლებით დირებულებაზე, საერთო დირებულება, არის შენობის გასაყიდი ფასი. ასეთი შეფასება ხდება მაშინ, თუკი შენობა დასანგრევია ან ისეთ მდგომარეობაშია, როდესაც შეუძლებელია მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ.

ფიქსირებული დირებულება გამოიყენება მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება სხვა მეთოდით სადაზღვევო დირებულების დადგენა და დამზღვევი თავისი საჭიროებიდან გამომდინარე, აფიქსირებს სადაზღვევო თანხას. ასეთი თანხა წარმოადგენს ზარალის შემთხვევაში ანაზღაურების ლიმიტს.

ტვირთების დაზღვევა აუცილებელი ელემენტია ყველა საერთაშორისო საგაჭრო გარიგების. ტვირთის გადაზღვევა ხდება კონსამენტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებას ტვირთის მფლობელსა და გადამზიდავს შორის და ასრულებს მთავარ როლს სადაზღვევო დაფარვის საზღვრის დადგენისას. საერთაშორისო ვაჭრობაში მხარეებს შორის ურთიერთობა რეგულირდება ინკორემტის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს პირობების, წესებისა და კონტრაქტების კრებულს. საერთაშორისო

საგაჭრო პალატის მიერ 1990 წლის 1 აპრილს მიღებული ინკორემტის მიხედვით დადგენილია 13 ტერმინი, რითაც განისაზღვრება ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობები.

პრაქტიკაში არსებობს ტვირთის სადაზღვევო დირებულების განსაზღვრის ოთხი მეთოდი:

1. ტვირთის დირებულება გაგზავნის ადგილას მოსალოდნების მოვალეის გათვალისწინებით - თუ დაზღვეულს არ შეუძლია შემთხვევით შემდინარებელი ჯ. აგენტურის 6. სადაზღვევო საქმეზე, 2008.

ზუსტი მოგების დასაბუთება, ტვირთი იზღვევა მაქსიმალურ 110%-ზე. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ადასტურებს, რომ მოსალოდნელი მოგება აღემატება 10%-ს, პოლისში ფიქსირდება გაზრდილი ლირებულება მოთხოვნილი ოდენობით;

2. ლირებულება დანიშნულების ადგილზე – ესაა ტვირთის საბაზრო ლირებულება დანიშნულების პორტში ჩასვლისას;

3. სადაზღვევო თანხა განისაზღვრება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში აღნიშნული სპეციალური პირობების მიხედვით. ზარალის შემთხვევაში ბენეფიციარმა უნდა დაამტკიცოს ტვირთის ლირებულება;

4. ადდგენითი ლირებულებით ძირითადად ტვირთების დაზღვევა ხორციელდება ტიპური პირობებით, რაც ჩამოყალიბებულია ლონდონის ანდერრაიტერთა ინსტიტუტის საზღვაო დაზღვევის პირობების კრებულში.¹

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ქონებრივი რისკების დაზღვევის სხვა საშუალებები. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სახეობებია: მოსავლის დაზღვევა; სათბურების დაზღვევა; მეცხოველეობის დაზღვევა; ტყვებისა და პლანტაციების დაზღვევა; თვეზეულის დაზღვევა; შინაური ცხოველების დაზღვევა (Pet Insurance).

მოსავლის დაზღვევის პოლისით იზღვევა როგორც ერთწლიანი ნათესები, ასევე მრავალწლიანი ნარგავები - ხეხილის ბაღები, ვენახები და სხვ. მრავალწლიანი ნარგავების შემთხვევაში შესაძლებელია დაიზღვეს მოსალოდნელი მოსავალი და თვითონ ნარგავები. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში უფრო მეტად გაგრცელებული და მიღებულია

სეტყვის და გვალვისგან მოსავლის დაზღვევა, რაც ხორციელდება მთავრობის მხარდაჭერით, ვინაიდან მას ახასიათებს გლობალურობა და მიუენებული ზარალი იმდენად დიდი შეიძლება იყოს, რომ ვერც ერთი სადაზღვევო კომპანია ვერ შეძლებს დანაკლისის ანაზღაურებას; ზემოთ ჩამოთვლილი სხვა დანარჩენი რისკი მიღებულია მოსავლის დაზღვევაში, როგორც დამატებითი

¹ www.banksandfinances.ge

რისკები, რაც თავისთავად აძვირებს გადასახდელ პრემიას.

სათბურების დაზღვევისას შესაძლებელია განხორციელდეს შენობის, შუშების, დანადგარების, შიგთავსის და ნარგავების ან ნათესების დაზღვევა. შენობები იზღვევა ხანძრისგან, მიწისძვრისგან, ხეტყვისგან, ქარიშხლისგან, მდიმე თოვლის საფარისგან. ასევე იზღვევა გამათბობელი მოწყობილებები მათი მწყობრიდან გამოსვლისას. სათბურების დაზღვევის მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია საქმიანობის შეჩერების დაზღვევა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ბაზარზე ფასების დაცემით, ჭარბი პროდუქციით, სათბურის სრული განადგურებით.

მცხოველეობის დაზღვევის პოლისით შეიძლება დაიზღვეს ყველა ის პირუტყვი და ფრინველი, რაც ყავთ ფერმებში ხორცის, რძის და სხვა პროდუქციის საწარმოებლად.

სადაზღვევო თანხა არის ცხოველის ან ფრინველის რეალური საბაზრო ლირებულება, რომელსაც ადგენს ფერმერი და ათანხმებს სადაზღვევო კომპანიასთან. თანხა განისაზღვრება ცხოველის პროდუქტიულობის, ჯიშის, ასაკის და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. სადაზღვევო კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ცხოველის სადაზღვევო ლირებულება.

მცხოველეობის დაზღვევა საქართველოსთვის მეტად აქტუალურია, ვინაიდან თანდათან ისევ ვითარდება ეს დარგი და უკვე მომრავლდა ისეთი ფერმები და მფრინველების ფაბრიკები, სადაც ათეულობით ათასი ცხოველი მრავლდება და იძლევა პროდუქციას. ცხოველების უმეტეს ნაწილს ინდივიდუალური პიროვნებები ფლობენ მცირე თდენობით, რომლებიც ერთად აღებული საქმაოდ დიდ რაოდენობას იძლევა, მაგრამ მათი დაზღვევა არახელსაყრელი და როგორია განსახორციელებლად სადაზღვევო კომპანიებისათვის.¹

თევზეულის წარმოებაში იზღვევა ძირითადად ისეთი ჯიშები, რომლებიც უფრო გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, როგორიცაა: კარპი, სარკისებრი კობრი, კალმახი, გველთვეზა და სხვა, აგრეთვე დაზღვევას ექვემდებარება ხამანცაქები და მიღიები,

¹ www.ftenet.dk

რომლებიც მასობრივად იწარმოება ბევრ ქვეყანაში. წყლის ცხოველები ძირითადად იზღვევა დაავადებით განადგურებისგან, პარაზიტებისგან, აგრეთვე განდგურებისგან, რომელსაც იწვევს წყლის ფიზიკური ან ქიმიური შემადგენლობის შეცვლა, წყლის დაბინძურება ქიმიური ან ორგანული ნაერთებით, ზღვის მცენარეების ყვავილებით, საკვებით მოწამვლა. აქაც შეიძლება მეტეოროლოგიური რისკებისგან დაზღვევა, როგორიცაა, შტორმი და წყალდიდობა, რაც არღვევს შემოფარგლულ საცავებს და ზარალი თითქმის ყველთვის 100%-ს აღწევს.

შინაური ცხოველების (**Pet Insurance**) დაზღვევა ახლოს დგას მეცხოველეობის დაზღვევასთან დასაზღვევი ობიექტებით და რისკებით. ამ პოლისით იზღვევა შინაური ძაღლები, კატები, თუთიყუშები, ცხენები და ყველა ის ცხოველი, რომელსაც ზოგიერთი უცხოელი ოჯახის წევრადაც კი თვლის. ძირითადად იზღვევა ძვირადღირებული ცხენები, რომლებიც ყოველი შეჯიბრებისას უდიდესი საშიშროების წინაშე იმყოფებიან.

საქართველოში 2009 წლის განმავლობაში დაზღვეული სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა 29,936 შეადგენს, აქევე უნდა აღინიშნოს, რომ სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისები 75,071 სატრანსპორტო საშუალებაზე გაიცა, აქედან 25%-ს ავტო-მოტოციკლების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფალდებულო დაზღვევის ფარგლებში დაზღვეული სატრანსპორტო საშუალებაზე მოდის.

2009 წელს, წინა წელთან, შედარებით ზოგიერთ სახეობაში შეინიშნებოდა მოზიდული პრემიის შემცირებაც (სიცოცხლის დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, ქონების დაზღვევა, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა), თუმცა, საერთო ანგარიშით, სადაზღვევო ბაზრის მოცულობა 1/3-ით არის გაზრდილი. ეს ზრდა დიდწილად, განაპირობა სამედიცინო დაზღვევით (54%) მოზიდული პრემიის ზრდამ, რადგან ეს სახეობა ძირითად ნაწილს წარმოადგენს ჯამურ მონაცემებში და მისი ცვლილება მნიშვნელოვნად აისახება საერთო მონაცემებზე.

მოზიდული ჯამური პრემიის მაჩვენებლების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ქონების (8.2%), სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა (7.6%) და გალდებულებათა შესრულების დაზღვევა (5.4%). 2009 წლის განმავლობაში სადაზღვევო კომპანიების მიერ გადახდილი ზარალების ოდენობამ 1913 მლნ ლარი შეადგინა. გადამზღვევლების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ანაზღაურდა 18.6 მლნ ლარის ზარალი. ანაზღაურებული ზარალების ძირითადი წილი სამედიცინო დაზღვევაში გადახდილ ზარალებზე მოდის (78.8%), ასევე დაახლოებით 10%-იანი წილით შეიძლება გამოვყოთ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა. რაც შეეხება კ.წ. „სადაზღვევო ზარალიანობის კოეფიციენტს“, რომელიც სადაზღვევო ზარალების სადაზღვევო შემთხვევის ოდენობასთან შეფარდებით მიიღება - სადაზღვევო ბაზრისათვის ზარალიანობის ჯამურმა კოეფიციენტმა 2009 წლისათვის 64.15% შეადგინა. დაზღვევის სახეობებიდან შეიძლება გამოვყოთ სამედიცინო და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, სადაც ზარალიანობის კოეფიციენტები შესაბამისად 74% და 52% პროცენტებს შეადგენს, რაც ამ სახეობებისათვის მაღალი მაჩვენებელი არაა.

Property insurance and characteristics
of the essence in Georgia

N. Kakashvili

¹საქართველოს უკუკუჭული მანების წლიური საბიურო, 2009.

insured. Property insurance interest payment will be issued for damage. Significantly expanded the field of property insurance to cover property as well as engineering risk insurance group in the United species. Property insurance policy consists of four leading risk and additional risks. Livestock insurance is very important for Georgia as the gradual development of this field of still and already sure of such farms and poultry factories in which tens of thousands of animals multiplied, and gives. Animals, most of the individual possess a small amount of people who taken together provide a very large number but their insurance and it is difficult. In 2009, the previous year compared with some of the species observed in the reduction of the award attracted Life Insurance Cargo Insurance Property insurance and land transport facilities but the overall insurance market in the amount of 3/2. Insurance market zaralianobis ratio of total for 2009 amounted to 64 of 15%. Insurance types can be singled out from the medical and insurance and land transport facilities in accordance with the ratios zaralianobis 74 and 52 percent of which this species is the high rate.

ვინაცსური მდგრადირების

საწარმოთამორისო ანალიზის მეთოდიკა

იმოლდა ჭილაძე
თსუ ასოცირებული პროფესორი

საწარმოთაშორისო ანალიზი წარმოადეგენს საწარმოთა სამეცნიერო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის გაგრძელებას, დამასრულებელ საფეხურს როგორც კომპანიების, ასევე სამინისტროების და დეპარტამენტების დონეზე. იგი გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილებების მიღება ანალიზობების განხორციელებისათვის, ალტერნატივებიდან არჩევანის გაკეთებისათვის, საქმიანი ურთიერთობების დასაწყებად საწარმოს შერჩევისათვის და ა.შ. უფრო კონკრეტულად, საწარმოთაშორისო ეკონომიკური ანალიზის მიზანია სხვადასხვა საწარმოს საქმიანობის შედეგების შედარებითი შეფასება და დახასიათება ურთიერთმიმართებით. სხვადასხვა საწარმოს შედარებითი დახასიათება მრავალი სუბიექტის ინტერესებში შედის. მაგალითად, ბანკებს აინტერესებთ რომელი საწარმოა უფრო გადახდისუნარიანი, რომელიც დროულად დაფარავს ვალდებულებებს; ინვესტორებს აინტერესებთ, რომელ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციები მოიტანს უფრო მაღალ მოგებას (დივიდენდს); ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს აინტერესებთ რომელ კომპანიაში შეიძლება პქონდეთ უფრო სტაბილური შემოსავადი და სამუშაო ადგილი; საწარმოს ხელმძღვანელობა დაინტერესებულია არ ჩამორჩეს მაღალი იმიჯის მქონე კომპანიებს, რისთვისაც უნდა მოახდინონ მათი საქმიანობის შედეგების შედარება მაღალეფებიანი კომპანიების შედეგებთან, რათა საკუთარ კომპანიაშიც დანერგონ და განახორციელონ წარმატებების მომტანი ღონისძიებები და ა.შ.

შიგასაწარმოო ეკონომიკური ანალიზის ამოცანაა გამოიკვლიოს საწარმოს ხელო არსებული რესურსების უკეთ გამოყენების გზები და მოგების გადიდების ღონისძიებები. საწარმოთაშორისო

ანალიზი, თავის მხრივ, იუქნებს შიგასაწარმოო ანალიზის შედეგებს, რათა უზრუნველყოს რეზერვების სრულად გამოვლენა. შიგასაწარმოო ანალიზი გეგმური მაჩვენებლებიდან გამოვლენილი გადახრების ანალიზს უყრდნობა და მაშასადამე, გეგმასაც და ფაქტობრივ შედეგებსაც მოცემული კომპანიის მმართველობის უნარების „დაღი“ აკრავს. საწარმოთაშორისო ანალიზის დროს კი შედარების ბაზას სხვა საწარმოს (უფრო ხშირად წარმატებული საწარმოს) ფაქტობრივი შედეგები წარმოადგენს, რაც საშუალებას იძლევა მოცემული საწარმოს ფინანსური მდგომარეობა თვით ამ საწარმოს ხელმძღვანელობამ გარედან, უცხო თვალით დაინახოს. მაშასადამე, საწარმოთაშორისო და შიგასაწარმოო ეკონომიკური ანალიზი უზრუნველყოფს საწარმოს (კომპანიის) საქმიანობის კომპლექსურ შესწავლას და სწორი გდაწყვეტილებების მიღებას.

ამასთან ერთად, საწარმოთაშორისო ანალიზი დამოუკიდებლადაც შეიძლება ჩატარდეს, რაც შედის ინვესტორების, საკრედიტო დაწესებულებების და საზოგადოების სხვა წევრების ინტერესებში. საწარმოთაშორისო ანალიზის დროს წყდება შემდეგი საკითხები:

- საწარმოს ადგილის განსაზღვრა დარგის, ეკონომიკის სექტორის ან რეგიონის საწარმოთა შორის;
 - საწარმოს სამიანობაში ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, წარმატებულ საწარმოებთან შედარებით;
 - პრობლემების წრის განსაზღვრა კონკრეტული საწარმოს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის, რათა ამაღლდეს წარმოების ეფექტიანობა.
 - მოწინავე გამოცდილებების შესწავლა და დანერგვა;
 - სოციალურ პროგრამებში საწარმოს მონაწილეობის შეფასება;
 - არსებული ამოწურვადი რესურსების გონივრული გამოყენება საერთო, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად;
 - ეკოლოგიური გარემოს საიმედოდ დაცვის საერთო ეროვნული პროგრამის შემუშავება და დაცვა.
- საწარმოთაშორისო ანალიზის ჩატარებისათვის, უწინარეს

ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს სხვადასხვა საწარმოს მუშაობის შედეგების შედარების შესაძლებლობა. ორი ძირითადი მიმართულების პირობა (აუცილებლობა) არსებობს: 1. საწარმოთა შესადარისობა; 2. საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების დაპირისპირებადობა.

საწარმოთა შესადარისობის ხარისხი მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის სახეობებით და ტექნოლოგიით განისაზღვრება, რადგან იგი ყველა ეკონომიკურ მაჩვენებელზე ახდენს გვლენას. რაც უფრო განსხვავდება საწარმოები ერთმანეთისაგან წარმოუბული პროდუქციის სახეობების მიხედვით, მით ნაკლებია შესადარი მაჩვენებლების რაოდენობა.

მაჩვენებლები დაპირისპირებადია, თუ სხვადასხვა საწარმოს ერთი და იგივე მაჩვენებლებს შორის გადახრა საწარმოს საქმიანობის ხარისხზე დამოკიდებული ფაქტორებითაა გამოწვეული. მაგალითად, მაცივრების მწარმოებელი რომელიმე ორი ქარხნის აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლების დაპირისპირების შედეგად მიღებული გადახრის ანალიზი, ამ საწარმოების ფინანსურ მენეჯმენტს შეიძლება მოგების გადიდების სერიოზული ღონისძიებების შემუშავებაში დაეხმაროს. მაგრამ, თუკი მაცივრების ქარხნის მომგებიანობის მაჩვენებელს პურის ქარხნის მომგებიანობის დონეს დავუპირისპირებთ, ამ საწარმოების მენეჯმენტი ვერ დაასკვნის, რომელი უფრო ეფექტიანად მუშაობს, რადგან მათი მომგებიანობის დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ საწარმოთა საქმიანობის თვასებურებები. თუმცა ინვესტორს, რომელსაც სურს ინვესტიცია მაღალრენტაბელურ ბიზნესში ჩადოს, შეუძლია სრულიად სხვადასხვა ტიპის და ნებისმიერი საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებლები შეუდაროს და სასურველი გადაწყვეტილება მიიღოს. მაგრამ ერთია მიიღო გადაწყვეტილება მაღალ მომგებიან მიზნებში ინვესტიციის დაბაზდების შესახებ და მეორეა, შეიმუშაო ღონისძიებები, რათა დაეწიო და გაუსწრო კონკურენტ კომპანიებს. ამისათვის კი ერთგვაროვანი საწარმოების მაჩვენებლების გადახრების ანალიზია საჭირო.

სხვადასხვა საწარმოს მუშაობის მაჩვენებელთა შედარების

შესაძლებლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ასე მაგალითად, კ.მ. რაკოვი ამტკიცებს, რომ პროდუქციის თვითდირებულების საწარმოთა შორისო ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოები უშვებენ ერთიდაიგივე პროდუქციას ერთნაირი სტანდარტებით და ტექნოლოგიებით.¹ მ. რუბინოვი წერს, რომ სამუშაონეო პროცესების დაპირისპირება შესაძლებელია, თუკი ისინი ხორციელდება წარმეობის ორგანიზაციის ერთ-სადაიმავე პირობებში.² ე.ა. ივანოვი თვლის, რომ რესურსების გამოყენების შედარება შესაძლებელია მხოლოდ იმ საწარმოებს შორის, რომლებიც ერთგვაროვანია როგორც გამოშვებული პროდუქციის, ასევე, ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით.³ ა.კ. ვორობეგიანი და მ.ხ. კაუფმანი არ ეთანხმებიან ივანოვს, რადგან საწარმოთა შორისო ანალიზი არ შეიძლება შემოსაზღვრული იყოს მხოლოდ განსხვავების ფაქტების დადასტურებით. ანალიზის პროცესში აუცილებელია განსხვავებების დადგენა და იმ მიზეზების განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ განსხვავებაზე.⁴ ვ.ი. განშტაბი და ბ.მ. მაიდანჩიკი აყენებენ აზრს, რომ შედარება შესაძლებელია არა მარტო იმ საწარმოებს შორის, რომლებიც ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ, არამედ იმ საწარმოებს შორისაც, რომლებიც განსხვავებულ პროდუქციას უშვებენ.⁵

განსხვავება იმ საწარმების მაჩვენებელებს შორის, რომლებიც ერთნაირ ან ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ, აიხსნება შესაძარ საწარმოთა მხოლოდ მუშაობის ხარისხის მიხედვით. იმ საწარმოთა შედარება, რომლებიც განსხვავებულია პროდუქციით, ორგანიზაციით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით, და სხვ. შესაძლებლობებს იძლევა დადგინდეს როგორი გავლენა მოახდინა ცალკეულმა განსხვავებამ ამ შედეგებზე. თუ საწარმოები ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ, ახლოს არიან წარმოების სიდიდისა და ტიპის მიხედვით, მაშინ

1. К.М. Раков. Методика сравнительного анализа себестоимости продукции. М., 1971, с. 105.

2. М.Рубинов. Основы экономического анализа работы предприятия. М., 1972, с. 87.

3. А. Иванов. Использование основных производственных фондов в промышленности. М. 1982, с. 105.

შედარება შეიძლება ჩატარდეს მათი საქმიანობის შედეგების ყველა კომპეტსური მაჩვენებლის მიხედვით, სამეურნეო პროცესებისა და ოპერაციების დიდი უმრავლესობის მიხედვით.

საწარმოები, შესადარისობის ხარისხის მიხედვით, შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

- I. ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებლები;
 - II. მსგავსი პროდუქციის მწარმოებლები;
 - III. განსხვავებული პროდუქციის მწარმოებლები.

პირველი ორი ჯგუფის საწარმოების მიხედვით, შეიძლება ჩატარდეს კომპლექსური შედარებითი ანალიზი, რომელიც მათი მუშაობის ყველა მხარეს მოიცავს. მესამე ჯგუფის საწარმოებს შორის შესაძლებელია ჩატარდეს ზოგადი ხასიათის მაჩვენებლების შედარება. ფარდობითი მაჩვენებლების გამოყენება აფაროვებს შედარების შესაძლებლობას, რადგან, მათზე გავლენას არ ახდენს ამა თუ იმ კომპანიის წარმოების ტიპი, ზომა და მასშეგაბები.

ერთგვაროვანი საწარმოები შესაძარისია და მათი საქმიანობის შედეგების ამსახველი მაჩვენებლების დაპირისპირება შესაძებელია, ანუ მათ შორის გადახრის გამოთვლა მიზანშეწონილია. მაგალითად, ორი საკონსერვო ქარხნის მიერ გამოშვებული ერთი პირობითი ქილა კონსერვის თვითდირებულების მაჩვენებლებს შორის გადახრა შეიძლება განისაზღვროს და მიზეზებიც დადგინდეს, თუმცა, ეს შესაძლებელია ერთი მესაკუთრის საწარმოებს შორის, რადგან, დანახარჯების შესახებ არსებული დეტალური ინფორმაცია შეიგვაროვანი ინფორმაციაა და საჯაროდ არ ქვეყნება. მაშასადამე, საწარმოთა შესაძარისობის პირობების გარდა არსებობს ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა.

არაერთგვაროვან საწარმოებს შორის შეიძლება წარმოების ეფექტინაობის და ფინანსური მდგომარეობის ფარდობითი მაჩვენებლების შედარება. აგრეთვე, ეკოლოგიური გარემოს დაცვის ხარისხი, დასაქმებულთა სოციალური უზრუნველყოფის ღონება და მსგავსი საერთო მაჩვენებლები, რაც კონფიდენციალურ ინფორმაციას არ მოითხოვს.

საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შედარებითი ანალიზი შეიძლება დასჭირდეს საკრედიტო საწესებულებებს, ინვესტორებს, კალექტო ინსტიტუტებს, საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს, ბიზნესში მოქმედ ნებისმიერ სუბიექტს, რომელთაც უხდებათ არჩევანის გაკეთება კრედიტის გაცემის, ინვესტიციების დაბანდების, აქციების შესყიდვის, მომწოდებლებისა და მყიდველების შერჩევის და სხვათა დროს. ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოთვლა შესაძლებელია საწარმოთა ფინანსური ანგარიშების საფუძველზე, რაც საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს და ყველა იურიდიული პირი ვალდებულია იგი ინფორმაციის გარე მომხმარებლებისათვის გამოაქვეყნოს.¹

საწარმოთაშორიოს ანალიზის დროს არსებობს შესადარმაჩვენებელთა დაპირისპირებადობის ხარისხის დადგენის პროცესები. საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ამსახველ მაჩვენებელთა სისტემა ძირითადად ფარდობით მაჩვენებლებს მოიცავს, რაც საწარმოთა შედარების დახასიათებას უფრო შესაძლებელს ხდის. როგორიცაა: აქტივების დაფინანსების წყაროების წილი, ლიკვიდურობის კოეფიციენტები, ავანსირებული დირებულების ბრუნვადობის კოეფიციენტები, მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი, ფინანსური სტბილურობის კოეფიციენტები და სხვა, რაც რამდენიმე ათეული შეიძლება იყოს.

საწარმოთაშორისო ანალიზის ჩატარების ეტაპები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. სამუშაო გეგმის შედგენა, რომელშიც აისახება ანალიზის მიზანი, საკვლევ საწარმოთა წრე, საწარმოთა შესადარისობის ხარისხის განსაზღვრა, ანალიზის კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა, მონაცემთა შედარების პროგრამა;

2. ამოსავალი მონაცემების შეკრება და დამუშავება, პირველადი მასალების შესწავლა, შესადარისი მაჩვენებლების შერჩევა, შედარება და დაპირისპირება, გადახრების გამომწვევი ფაქტორების გამოკვლევა, გარდაუვალი განსხვავებების გამოყოფა, ანალიზით მოდებული შედევების შეფასება;

1. ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტები. თარგმანი ინგლისურიდან. თბ., 2009, გვ. 35-157.

3. ანალიზის შედეგების განზოგადება და მოგების გადიდების რეზერვების გამოვლენა, ცალკეული ღონისძიების განხორციელების ეფექტიანობის გაანგარიშება.

საწარმოთაშორისო ანალიზის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამა თუ იმ მაჩვენებლებს შორის არსებული განსხვავების ბუნებისა და ხასიათის განსაზღვრა. განსხვავების მიზეზები უნდა დაიყოს ობიექტურ, ე.ი. საწარმოზე დამოუკიდებელ და სუბიექტურ, ანუ საწარმოზე დამოკიდებულ ფაქტორებად.

საწარმოს მენეჯმენტმა უნდა განსაზღვროს იმ ეკონომიკის ან ზარალის სიდიდე, რომელიც მიღებულია მისგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი ფაქტორებით. ამის შესაძლებლობას იძლევა საწარმოთაშორისო ანალიზი.

ფინანსური მდგომარეობის საწარმოთაშორისო ანალიზი შესაძლებელია ჩატარდეს ნებისმიერი დარგის საწარმოებს შორის. შეიძლება საწარმოები არაერთგაროვან პროდუქციას უშვებდნენ, მაგრამ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები ფარდობითი მაჩვენებლებია და მათი შედარება და განსხვავებების დადგენა დაგვეხმარება წარმატებული საწარმოების გამოვლენაში. თუმცა, დასადგენია, პროდუქციის შრომატევადობა, მასალატევადობა და ფონდტევადობა გავლენას ახდენს თუ არა გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებზე.

საწარმოთაშორისო ანალიზი განსაკუთრებით შედეგიანი იქნება ლიკვიდურობის მაჩვენებლების, ბალანსის სტრუქტურული მაჩვენებლების და ლევერიჯის მაჩვენებლების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, საწარმოები არის თუ არა შესადარისი, ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები, როგორიცაა ლიკვიდურობის კოეფიციენტები, ფინანსური სტაბილურობის და საქმიანი აქტივების ფარდობითი მაჩვენებლები შეიძლება ერთმანეთს შევუდაროთ. მაგრამ ისმება კითხვა, ანალიზის როგორი ხეხრები იქნას გამოყენებული.

პირობითი საწარმოების მაგალითზე შევადგინოთ საანალიზო ცხრილი.

ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტების

საწარმოთაშორისო შედარება

საკუთრებული მარკა	მდ1 საწარმო	მდ2 საწარმო	განხრა (+; -)
სასამართლო და სამართლებრივი მარკა	0,45	0,30	- 0,15
საერთო და ერთადგრძელებული მარკა	2,10	1,85	- 0,25
საერთო და რეგიონული მარკა	0,22	1,91	+ 0,19
საერთო სასამართლო და სამართლებრივი მარკა	0,7	0,8	- 0,1
საერთო და სასამართლო და სამართლებრივი მარკა	1,2	1,5	+ 0,3
განვითარებული და სასამართლო და სამართლებრივი მარკა	1,2	1,7	- 0,5
განვითარებული და სასამართლო და სამართლებრივი მარკა	1,2	1,7	- 0,5

ერთგვაროვან საწარმოების შორის. მსგავსი ას არაერთგვაროვანი საწარმოების მაჩვენებლების დაპირსიპირებით მიღებული “გადახრები” კი, ვფიქრობთ, აღეპვატური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას ვერ იძლევა, თუნდაც ის ფარდობით მაჩვენებლებს ეყრდნობოდეს. ასე, მაგალითად: აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოითვლება საწარმოს ბუღალტრული ბალანსით,

წლის ბოლოს არსებული ფულადი თანხების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან. თავის მხრივ, ფულადი თანხების სიდიდე ფულის ბრუნვის სიჩქარეზეა დამოკიდებული, რაზეც გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციის ხანგრძლივობა. მაგალითად, პური უფრო სწრაფად იყიდება (მათში ავანსირებული ღირებულება უფრო სწრაფად ბრუნავს), ვიდრე ლიმონათი, ღვინო ან შეუბუქი მანქანები. ამიტომ, სხვადასხვაგვარი პროდუქციის მწარმოებელი ფირმების აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტების დაპირისპირებით მიღებული გადახრის გარკვეული ნაწილი წარმოებული პროდუქციის თავისებურებებით იქნება გამოწვეული და ამდენად, მათი აბსოლუტური გადახრის საფუძველზე ვერ დავასკნით, რომელი საწარმოს მაჩვენებელია უკეთესი.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან.

მიმდინარე აქტივებს, როგორც წესი, მიეკუთვნება ნედლეულის, დაუმთავრებელი პროდუქციის, მზა პროდუქციისა და საქონლის მარაგები. მათი სიდიდე წარმოების მასშტაბზე და ტიპზეა დამოკიდებული. სამშენებლო ფირმებსა და სამრეწველო კომპანიებს განსავებული მასალები გააჩნიათ და სხვადასხვა სიდიდის მარაგები სჭირდებათ. მიმდინარე ვალდებულებები მართალია ყველა ტიპის საწარმოში ერთ წლამდე ვადის დავალიანებებია, მაგრამ, მატერიალური მარაგების განსხვავებულობა სხვადასხვა დარგისა და ზომის საწარმოების მიხედვით, ამ მაჩვენებლებს შეუსადარს ხდის. ამდენად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების საწარმოთაშორისო ანალიზი ერთგვაროვან საწარმოებს შორის არის გამართლებული.

მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება:

დაფარვის ნორმალურ წყაროებს მიეკუთვნება საკუთარი

საბრუნავი სახსრები, მოკლევადიანი სესხები, ვალდებულებები მოწოდებიდან და მიღებული მოკლევადიანი ავანსები. უკეთა ეს ჩამოთვლილი მაჩვენებელი დამოკიდებულია საწარმოს მუშაობის აქტივობაზე. ამა თუ იმ საწარმოს მმართველობის მოქნილობა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების ხარისხი განსაზღვრავს შპრატბის დაფარტების კოეფიციენტზე „ნორმულური“ შეარტყები მნიშვნელოვანი ტერიტორიაზე და მოცულობის ტერიტორიაზე აღებული ეს მაჩვენებლები – დაფარვის „ნორმალური“ წყაროები და მატერიალური მარაგები დამოკიდებულია კომპანიის მასშტაბზე, მაგრამ მათი შეფარდება ამ კომპანიის მუშაობის ხარისხს განსაზღვრავს მარაგების დაფარვის მიმართულებით. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საკვლევი საწარმოების მიხედვით, ამ კოეფიციენტებს შორის არსებული გადახრა პირდაპირ პასუხობს არჩევანის გაკეთების მოთხოვნას. უპირატესობა ენიჭება იმ კომპანიას, სადაც ეს კოეფიციენტი უფრო მაღალია. თუმცა ეს არ შეეხება ბანკებს, რადგან ისინი საქმიანობის სხვა სფეროს მიეკუთვნებიან.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი გამოითვლება საკუთარი საბრუნავი სახსრების შეფარდებით მატერიალურ მარაგებთან. კოეფიციენტის განსაზღვრაში გამოყენებული ორივე მაჩვენებელი და მათი ფარდობა, მოცემული საწარმოს საქმიანობის აქტივობასა და ეფექტიანობაზეა დამოკიდებული. მართალია, მატერიალური მარაგების მოცულობას საწარმოს ზომა და მასშტაბები განსაზღვრავს, მაგრამ საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფაც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. ამიტომ, ამ კოეფიციენტებს შორის არსებული გადახრა საწარმოთა უპირატესობაზე ან ნაკლებ უპირატესობაზე მეტყველებს.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი არის ფარდობა საწარმოს აქტივებსა და საკუთარ კაპიტალს შორის. ამ კოეფიციენტების დაპირისპირება მართებულია როგორც ერთგვაროვანი, ასევე არაერთგვაროვან საწარმოებს შორის, გარდა ბანკებისა, რადგან ბანკების აქტივებში საკუთარი კაპიტალის 10 -15% - იანი წილი, ნორმალურ მოვლენად ითვლება. რაც უფრო მაღალია ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, მით უფრო

უარყოფით მოვლენას წარმოადგენს, რადგან საწარმო მით უფრო დამოკიდებულია სხვებზე.

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი შემდეგნა ირად გამოითვლება:

ეს კოეფიციენტი, ვფიქრობთ ნებისმიერი ტიპის საწარმოების შედარების დროს შეიძლება იქნას გამოყენებული.

მაშასადამე, საწარმოთაშორისო ანალიზის დროს შესაძარ მაჩვენებლებს შორის გადახრის გამოთვლა მაშინ არის მიზანშეწონილი, თუ მაჩვენებლები დაპირისპირებადია, ანუ მათ შორის გადახრა საწარმოს საქმიანობაზე დამოკიდებული ფაქტორებითაა გამოწვევულის.

უზრუნველყოფაზე ფინანსურის შრგამოწვევების შედარება ანალიზის შემთხვევიდან შეიძლება შემთხვევაში შემთხვევის მიერმა დაინტერესებულმა პირმა. ამასთან მნიშვნელობა აქვს იმფორმაციის მომხმარებლის მიზანს. საწარმოს ფინანსური მენეჯმენტი დაინტერესებულია როგორც შედარებითი შეფასებებით, ასევე წარმატებულ საწარმოებში არსებული გამოცდილებების დანერგვით. ამიტომ მისთვის უფრო რეალური შედეგის მომტანია შედარება ერთგვაროვან საწარმოების მაჩვენებლებს შორის. ბანკები დაინტერესებულია მისცენ თუ არა სესხი რომელიმე კომპანიას. ხოლო, ინვესტორისთვის რომელსაც მხოლოდ უფრო მომგებიანი ბიზნესი აინტერესებს, არსებითი არაა განსხვავებების მიზეზების პოვნა. მას სურს მაღალი მოვება. ამიტომ, გადაწვეტილების მიღების დროს, მას შეუძლია სრულდიად სხვადასხვა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები შეუდაროს და აირჩიოს უფრო მაღალი მომგების მომტანი დარგი. თუმცა, ინვესტიციების ჩადების შემდგა, უკვე იგი დაინტერესდება მსგავს საწარმოებთან შედარებითი დახასიათებით და წინსვლის კონკრეტული დონისძიებების გატარებით.

ჩვენი აზრით, საწარმოთა შედარებისას სწორი შეფასებუ-

ბის გაკეთების მიზნით, უფრო ეფექტური იქნება არა მხოლოდ რომელიმე ფარდობითი მაჩვენებლების დაპირისპირება, მათ შორის გადახრების გამოვლენა და ანალიზი, არამედ აგრეთვე საკველვი მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა და მათი ვარიაციის კოეფიციენტების შედარება. ვარიაციის კოეფიციენტი ახასიათებს ამა თუ იმ ეკონომიკური მაჩვენებლის სტაბილურობის ხარისხს. საწარმოთა შედარების დროს ის საწარმო იქნება საიმედო ინვესტორებისათვის, მომლის ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები მაღალია სხვა საწარმოებთან შედარებით, ხოლო მათი ვარიაციის კოეფიციენტები იქნება სტაბილურად დაბალი.

The Methodology of interorganizational Analysis of Financial level

Iz. Chiladze

The aim of Interorganizational Analisis is comparison of different organization dates and make assessment. In this process it becomes problem of comparability of dates.

For real conclusions it is handful to analyze variation financial indicators during several years. Organizations with sustainable financial level has stabile low variation ratio.

სააღრიცხვო ინცორმაციის მაკორექტირებაზე

ჩანაწერების არსე და ჰორმები

ნანა სრმელი
თსუ ასოცირებული პროფესორი
ნინო ჩავლეშვილი

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში განხორციელებული ყველა სამეურნეო ოპერაციის ასახვა არ იძლევა მოცემული სააღრიცხვო პერიოდის შემოსავლების და ხარჯების შესაბამისობის გარანტიას, რომელიც უნდა ემყარებოდეს დარიცხვის, რეალიზაციისა და შესაბამისობის პრინციპებს. შეიძლება არსებობდეს შემოსავლები და ხარჯები, რაც მიეკუთვნება მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდს, მაგრამ ფულადი ეკვივალენტებით მათი მიღება და განაწილება ვერ განხორციელდეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდამდე; ასევე შეიძლება არსებობდეს შემოსავლები და ხარჯები, რომელიც უკვე მიღებულია ან განაღდებულია ფულადი ეკვივალენტებით, მაგრამ გამომუშავების შესაბამისად, საჭიროა მათი განაწილება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდს შორის.

ადნიშნული პრინციპების დაცვის მიზნით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შესრულდეს მაკორექტირებელი ჩანაწერები, რაც ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამ ტიპად დაჯგუფდეს:

1. დარიცხვის ტიპის კორექტირებები;
2. წინასწარი გადახადის /განაწილების/ ფორმით განხორციელებული კორექტირებები;
3. შეფასებითი კორექტირებები.

აღსანიშნავია, რომ მაკორექტირებელი ჩანაწერების ფორმით შესრულებული ბუღალტრული გატარებები ყოველთვის შეიცავს ერთ-ერთ საბალანსო (მუდმივ) ანგარიშს და ერთ რომელიმეს

მოგებისა და ზარალის (დროებითი) ანგარიშებიდან:

1.დარიცხვის ტიპის კორექტირებადი.

• დარიცხული ხარჯები

მაკორექტირებელი ჩანაწერების ეს ტიპი ასახავს იმ ხარჯებს, რომელიც გაწეულია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არის განადდებული და შესაბამისად წარმოადგენს გალდებულებას. მაგალითად, დარიცხული, მაგრამ გაუნაღდებელი ხელფასი; დარიცხული, მაგრამ გადაუხდელი იჯარის გადასახადი; გადასახადელი პროცენტები და ა.შ.

მაგალითი:

ფირმამ 1 დეკემბერს აიღო 200 000 ლარის კრედიტი ორი წლით, სარგებლის 12 %-იანი წლიური განაკვეთით. თანახმად სასესხო ხელშეკრულებისა, პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი 180 დღის შემდეგ.

შესაბამისობის პრინციპიდან გამომდინარე, 31 დეკემბერს, საანგარიშგებო პერიოდის ხარჯების დაზუსტების მიზნით, აუცილებელია მიმდინარე პერიოდის კუთვნილი საპროცენტო ხარჯის აღიარება. ამ მიზნით საჭიროა მოხდეს მაკორექტირებელი გატარება, რომლის მეშვეობითაც პროცენტის თანხა აისახება, ერთის მხრივ, საანგარიშგებო პერიოდის საპროცენტო ხარჯის და მეორეს მხრივ, გადასახდელი პროცენტის გალდებულების სახით. ამრიგად, მიმდინარე პერიოდის ხარჯებში უნდა აღიარდეს ერთი თვის საპროცენტო ხარჯი 2 000 (200 000 *0.12* 1/12) ლარი.

შესაბამისად, მაკორექტირებელი ჩანაწერი მიიღებს შემდეგ სახეს:

დებეტი - საპროცენტო ხარჯი - 2 000,

კრედიტი - გადასახდელი პროცენტი - 2 000.

• დარიცხული /მისაღები/ შემოსავლები

მაკორექტირებელი გატარებების ეს ტიპი ასახავს შემოსავლებს, რაც გამომუშავებული იყო მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში, მაგრამ არ იყო მიღებული ფულად ეკვივალენტში და

საბუდალტრო ჩანაწერებში აღირიცხა დებიტორულ დავალიანებად. ასეთ შემოსავლებად ჩაითვლება: მისაღები საიჯარო გადასახადი, მისაღები პროცენტები და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მისაღები მოთხოვნების ანგარიშებზე ასახული გატარებები არ ითვლება კორექტირებად ჩანაწერებად, რადგან ის უკვე აღრიცხვაშია ასახული, და თავისი შინაარსით დარიცხული შემოსავლების ანალოგიურია.

მაგალითი:

ფირმამ 1 დეკემბერს შენობა გასცა იჯარით. ხელშეკრულების თანახმად იჯარის ყოველთვიური გადასახადი - 1 000 ლარი მოიჯარება უნდა გადაიხილოს მომდვერი თვის 5 რიცხვში. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ფირმამ უკვე გამომუშავებული შემოსავლი 1000 ლარი, უნდა ასახოს მაკორექტებელი გატარებით:

31 დეკემბერის ოპერაცია:

დებეტი - მისაღები საიჯარო ქირა - 1 000,

კრედიტი - შემოსავალი იჯარიდან - 1 000.

2.წინასწარი გადახდის /განაწილების/ ტიპის კორექტირებები.

• წინასწარ გაწეული /მომავალი პერიოდის/ ხარჯები.

კორექტირების ეს ტიპი უკვე განაღდებულ ხარჯებს ანაწილებს სააღრიცხვო პერიოდებს შორის. ე.ი. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ავანსად /წინასწარ/ გადახდილი თანხები ხარჯებად აღიარებას ექვემდებარება მომავალში. კინაღადან, აღნიშნული ხარჯები ვრცელდება რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდზე, ის პერიოდებს შორის უნდა იქნეს განაწილებული. ასეთი ფულადი გადახდების ასახვის და შესაბამისად მაკორექტირებელი გატარების ორი ვარიანტი არსებობს:

პირველი ვარიანტით აქცენტი გადადის წინასწარ განაღდებულზე, კერძოდ, დებეტდება წინასწარ გადახდილი ხარჯის ანგარიში და კრედიტდება ფულადი სახსრების ანგარიში.

მეორე ვარიანტით, აქცენტი გადატანილია იმაზე, რომ ასეთი

გადახდები ითვლება ხარჯებად და შესაბამისად, დებუტდება ხარჯების ანგარიში და კრედიტდება ფულადი სახსრების ანგარიში. ასეთ ხარჯებად ჩაითვლება: ხარჯები დაზღვევის პოლისის შეძენაზე; ავანსად გადახდილი საპროცენტო გადასახადი და ა.შ.

მაგალითი:

ფირმამ 1 სექტემბერს 1200 ლარად შეიძინა ქონების წლიური ხანდარსაწინააღმდეგო დაზღვევის პოლისი. 31 დეკემბერს ამონწურა სადაზღვევო პოლისის მოქმედების ვადის 4/12, შესაბამისად მისი დირებულების 4/12 (400 ლარი) გამოყენებულია და უნდა მიეკუთვნოს მიმდიმარე წლის ხარჯებს. სადაზღვევო პოლისის დირებულების დარჩენილი თანხა (800 ლარი) კი არის მომავალი პერიოდის ხარჯები. შესაბამისად, სადაზღვევო პოლისის სრული დირებულება - 1200 ლარი უნდა განაწილდეს საანგარიშგებო და მომავალ პერიოდებს შორის ზემოთ აღნიშნული პროპორციით:

პირველი ვარიანტით (წინასწარ გადახდად აღიარება) მაკორექტირებული გატარებები აღრიცხვაში გატარდება შემდეგი მუხლებით:

ა) 1 სექტემბრის ოპერაცია-წლიური სადაზღვევო პოლისის შეძენა 1200 ლარად.

დებეტი - წინასწარ გაწეული დაზღვევის ხარჯი - 1200,

კრედიტი - ფულადი საშუალებები - 1200.

ბ) 31 დეკემბრის ოპერაცია- დაზღვევის პოლისის დირებულების გამოყენებული ნაწილის - 400 ლარის აღიარება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

დებეტი - დაზღვევის ხარჯი - 400,

კრედიტი - წინასწარ გაწეული დაზღვევის ხარჯი - 400.

შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შემდეგი მონაცემები: ბალანსის ცხრილში - წინასწარ გაწეული დაზღვევის ხარჯი 800 ლარი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში - დაზღვევის ხარჯები - 400 ლარი.

მეორე ვარიანტით (ხარჯებად აღიარება) მაკორექტირებულ

გატარებებზე შედგება შემდეგი ბუდალტრული მუხლები:

ა) 1 სექტემბრის ოპერაცია-წლიური სადაზღვევო პოლისის შეძენა დირებულებით - 1200 ლარი.

დებეტი - დაზღვევის ხარჯი - 1200,

კრედიტი - ფულადი საშუალებები - 1200.

ბ) 31 დეკემბრის ოპერაცია- დაზღვევის პოლისის დირებულების გამოყენებული ნაწილის 400 ლარის აღიარება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

დებეტი - წინასწარ გაწეული დაზღვევის ხარჯი - 800,

კრედიტი - დაზღვევის ხარჯი - 800.

შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შემდეგი მონაცემები: ბალანსის ცხრილში - წინასწარ გაწეული დაზღვევის ხარჯი 800 ლარი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში კი დაზღვევის ხარჯები - 400 ლარი.

ამრიგად, კორექტირების ორივე ვარიანტს, საბოლოო ანგარიშით ერთნაირ შედეგებამდე მივყავართ.

• წინასწარ გადახდილი /გამოუმუშავებელი, მომავალი პერიოდის/ შემოსავალი

კორექტირების ეს ტიპი გამოიყენება უკვე მიღებული (ფულადი ექვივალენტი) და სააღრიცხვო ჩანაწერებში ასახული შემოსავალის გამიჯვნისა და შესაბამის პერიოდებზე მათი მიკუთვნების მიზნით. საანგარიშგებო პერიოდში საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების დირებულების წინასწარი განადდება ქმნის შემოსავალს, რომელიც ექვემდებარება აღიარებას იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მისი გამომუშავება.

რეალიზაციის პრინციპის შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში წინასწარ გადახდილი შემოსავალის ის ნაწილი უნდა აღიარდეს, რომელიც ამ საანგარიშგებო პერიოდშია გამომუშავებული. წინასწარი გადახდით შეიძლება მიღებულ იქნეს იჯარის ქირა, საქონლის დირებულება შემდგომი მიწოდების პირობით და სხვა.

წინასწარ /ავანსად/ გადახდილი შემოსავლების აღრიცხვაში ასახვა და შემდგომში მისი კორექტირება /განაწილება/ შეიძლება განხორციელდეს ორი ვარიანტით: პირველ ვარიანტში აქცენტი

კეთდება გადახდილი თანხის, როგორც მიღებული ავანსის ადიარებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, მისი როგორც შემოსავლების ეკონომიკურ ბუნებაზე.

მაგალითი:

კომპანიამ 1 აგვისტოს, ერთი წლის ვადით, იჯარით გასცა შენობის ნაწილი. მოიჯარებ წინასწარ სრულად გადაიხდა იჯარის გადასახადის წლიური თანხა 900 ლარი. 31 დეკემბერს, ფინანსური ანგარიშგების შედეგის მომენტისათვის, მეიჯარის მიერ გამომუშავებულია ამ დირებულების 5/12, (375 ლარი), ხოლო დარჩენილ ნაწილს (525 ლარი) გამოიმუშავებს მომდევნო წელს, რომელიც მომდევნო პერიოდის შემოსავალს წარმოადგენს.

პირველი ვარიანტით (მიღებულ შემოსავალის ავანსის აღიარება) მაკორექტირებული გატარებები აღრიცხვაში აისახება შემდეგი ბუღალტრული მუხლებით:

ა) 1 აგვისტოს ოპერაცია - გადახდილია მოიჯარის მიერ იჯარის წლიური გადასახადი - 900 ლარი.

დებეტი - ფულადი საშუალებები - 900,
კრედიტი - მიღებული ავანსები - 900.

ბ) 31 დეკემბრის ოპერაცია - ავანსად მიღებული იჯარის გამომუშავებული ნაწილის 375 ლარის აღიარება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად.

დებეტი - მიღებული ავანსები - 375 ლარი,
კრედიტი - შემოსავალი იჯარიდან - 375 ლარი,

წლიურ ანგარიშებში აისახება შემდეგი მონაცემები: ბალანსის ცხრილში - მიღებული ავანსის სახით 525 ლარი; მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში - მიმდინარე პერიოდის შემოსავალი იჯარიდან - 375 ლარი.

მეორე ვარიანტით (მიღებული ავანსის შემოსავლად აღიარება) მაკორექტირებული გატარებები აღრიცხვაში აისახება შემდეგი ბუღალტრული მუხლებით:

ა) 1 აგვისტოს ოპერაცია - გადახდილია მოიჯარის მიერ

იჯარის წლიური გადასახადი - 900 ლარი.

დებეტი - ფულადი საშუალებები - 900 ლარი,

კრედიტი - შემოსავალი იჯარიდან - 900 ლარი.

ბ) 31 დეკემბერის ოპერაცია - მიღებული იჯარის წლიური თანხის ავანსად გადახდილი ნაწილის - 525 ლარი აღიარება:

დებეტი - შემოსავალი იჯარიდან - 525 ლარი,

კრედიტი - მიღებული ავანსები - 525 ლარი.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შემდეგი მონაცემები: ბალანსის ცხრილში - მიღებული ავანსის სახით მომავალი პერიოდის/ გამოუმუშავებელი/ შემოსავალი 525 ლარი; მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში კი მიმდინარე პერიოდის შემოსავალი - 375 ლარი.

3. შეფასებითი კორექტირებები

შეფასებითი კორექტირებები კეთდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ საანგარიშგებო პერიოდზე მისაკუთვნებელი შემოსავლების ან ხარჯების თანხა არ შეიძლება ზუსტად განისაზღვროს. ასეთი კორექტირების კლასიკური მაგალითებია: მირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა, არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის დარიცხვა, საეჭვო ვალის ანარიცხების დარიცხვა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გრძელვადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშებულ სიდიდეზე შედგება მუხლი:

დებეტი - ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი,

კრედიტი - დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია.

„კურუსებირებული საცდელი ბალანსის
ფრაგმენტი:

საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი
საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი
საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი
საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი
საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი
საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი	საცდელი ბალანსი

ფინანსურ
ბალანსის ცხ
რიალური აქტ
ამ აქტივების

და ამორტიზაციის თანხით კორექტირებული სადიდეა; მოგების და ზარალის ანგარიშგებაში - მიმდინარე პერიოდის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, რომელიც გრძელებადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების ღირებულების მიმდინარე პერიოდზე მისაკუთვნებელი ხარისხი.

მაკორექტირებელი გატარებები ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე აისახება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღით, შესაბამისად აისახება საოპერაციო ჟურნალში და გადაიტანება მთავარ წიგნში. მაკორექტირებელი გატარებების შემდეგ დგება „კორექტირებელი საცდელი ბალანსი“.

ჩვენს მიერ განხილული “წინასწარ გადახდილი /გამოუმუშავებელი, მომავალი პერიოდის/ შემოსავალის” ნაწილში განხილული მაგალითის მიხედვით, თვალსაჩინოებისათვის, შევადგინოთ “კორექტირებული საცდელი ბალანსის” ფრაგმენტი (იხ. ცხრილი).

კორექტირებული საცდელი ბალანსის საფუძველზე დგება ბალანსი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენისათვის, მიზანშეწონილია ინფორმაციის ფინანსური შემოწმება. ამ მიზნით „კორექტირებულ საცდელ ბალანსს“ ემატება კიდევ ორი სვეტი: საბალანსო/ძირითადი/ ანგარიშების (დებეტის და კრედიტის) ნაშთებისათვის, ანუ ე.წ. „ბალანსის“ სვეტი და მოგება-ზარალის /დროებითი/ ანგარიშების (დებეტის და კრედიტის) ნაშთებისათვის ანუ ე.წ. „მოგებისა და ზარალის ანგარიშგების“ სვეტი.

ამ სვეტებში “კორექტირებული საცდელი ბალანსიდან” ძირითადი ანგარიშების ნაშთები გადმოიტანება ე.წ.” ბალანსის” სვეტში, ხოლო დროებითი ანგარიშების ნაშთები კი – ე.წ. “მოგებისა და ზარალის ანგარიშგების” სვეტში. სხვაობა “მოგებისა და ზარალის ანგარიშგების” სვეტის დებეტისა და კრედიტის ჯამებს შორის, წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგს / მოგებას ან ზარალს. ამავე თანხით ერთმანეთს არ უნდა შეედაროს ე.წ. „ბალანსის“ სვეტის დებეტისა და კრედიტის ჯამები.

აღნიშნული ფორმატით - /ურთიერთდაკავშირებული და

ურთიერთმაკონტროლებელი მონაცემების მატარებელი ცხრილი, ხუთი წელიდან სექტემბრი - მომზადებული ცხრილი არის „სამუშაო ფურცელი”, რაც არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშების პაკეტის სავალდებულო ელემენტს და არც საბუღალტრო ციკლის აუცილებელ დოკუმენტს. მისი გამოყენება არსებითად ამარტივებს ფინანსური ანგარიშების მომზადების პროცესს და ინფორმაციას ხდის საიმედოს.

საანგარიშები წლის ბოლო თარიღით, მაკორექტირებელი გატარებების ჩაწერის შემდეგ, უნდა მოხდეს “დახურვის ჩანაწერები”, რაც გულისხმობს დროებითი /შემოსავლების და ხარჯების/ ანგარიშების ნაშთების გადატანას “საანგარიშებო პერიოდებს მოგება/ზარალის” ანგარიშზე, რადგან “საანგარიშებო პარიოდის მოგება/ზარალის” ანგარიშის ფუნქციიდან /იგი არის შემაპირისპირებელი ანგარიში/ გამომდინარე განისაზღვრება მიმდინარე წლის ფინანსური შედეგი.

შესაბამისად, შემოსავლების საკრედიტო ნაშთი /სალდო/ ჩამოიწერება გატარებით:

დებეტი - შემოსავლების ანგარიშები

კრედიტი - საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი ხარჯების სადებულო ნაშთი /სალდო/ ჩამოიწერება გატარებით:

დებეტი - საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი

კრედიტი - ხარჯების ანგარიშები

„საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის” ანგარიში ფინანსური შედეგის მიხედვით, იხურება „გაუნაწილებელი მოგების“ ან “დაუფარავი ზარალის” ანგარიშზე.

შემდეგი ეტაპი არის შებრუნებული (რევერსული) ანუ ანულირებადი გატარებები. რევერსული გატარებების შესრულება სავალდებულო არ არის და შეიძლება გამოყენებულ იქნეს (შეხედულებისამებრ). ასეთ შემთხვევაში, რევერსული გატარებები უნდა გაკეთდეს ახალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისშივე. მათში აისახება გასული საანგარიშო პერიოდის მაკორექტირებელი გატარებები. თუმცა, „რევერსს“ ექვემდებარება მხოლოდ მაკორებები. თუმცა, „რევერსს“ ექვემდებარება მხოლოდ მაკორებები.

ქტირებები ჩანაწერების „დარიცხვის“ (პირველი) ტიპი. მაგალითი.

31 დეკემბერის მაკორექტირებელი გატარება (გვ. 2) :
დებეტი - საპროცენტო ხარჯი - 2 000 ლარი,
კრედიტი - გადასახდელი პროცენტი - 2 000 ლარი.

31 დეკემბერის დახურვის გატარება:

დებეტი - საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიში - 2 000 ლარი,

კრედიტი - საპროცენტო ხარჯი - 2 000 ლარი.

რევერსიული გატარების გამოიყენების შემთხვევაში, 1 იანვარს ავტომატურად კეთდება შებრუნებული მუხლი 31 დეკემბრის მაკორექტირებელი გატარების მიხედვით:

დებეტი - გადასახდელი პროცენტი - 2 000 ლარი,
კრედიტი - საპროცენტო ხარჯი - 2 000 ლარი.

ამრიგად, რევერსული გატარების სადებულო ჩანაწერით 30 აპრილამდე დაიხურა 2000 ლარის ვალდებულება, საკრედიტო ჩანაწერით კი კორექტირდა საპროცენტო ხარჯების სრული თანხა და ანგარიშის სალდო გვიჩვენებს მიმდინარე პერიოდის საპროცენტო ხარჯს.

30 აპრილის პროცენტის გადახდა გატარდება:

დებეტი - საპროცენტო ხარჯი - 12 000 ლარი,

კრედიტი - ფული საბანკო ანგარიშებზე - 12 000 ლარი.

თუ რევერსული გატარება არ შესრულდება, მაშინ 30 აპრილს, პროცენტის გადახდაზე შედგება რთული მუხლი:

დებეტი - გადასახდელი პროცენტი - 2 000 ლარი,
დებეტი - საპროცენტო ხარჯი - 10 000 ლარი,

კრედიტი - ფულადი სახსრები - 12 000 ლარი.

აღნიშნული გატარებით აისახა:

ა. დარიცხული პროცენტებით წარმოშობილი გალდებულების დაფარვა – 2 000 ლარი,

ბ. საანგარიშებო პერიოდის პუთგნილი საპროცენტო ხარჯის წარმოშობა – 10000 (2 000*5 თვ.) ლარი.

გ. ფულადი სახსრების შემცირება – 12 000 ლარი.

რევერსული გატარებები, ხშირ შემთხვევაში, მოკლებულია ეკონომიკურ შინაარსს, რადგან გაუმართლებლად ზრდის ანგარიშების ბრუნვებს. ამდენად, დამოუკიდებლად კეთდება არჩევანი - გაპეთდეს კორექტირებული გატარებების რევერსირება თუ აღრიცხვა განხორციელდეს ტრადიციული გზით.

Copy and Forms of Correcting Entries for Accounting Information

N. SRESELI, N. CHAVLEISHVILI

The necessity of correcting entries for accounting information was caused by systematic change of accounting and financial reporting. Correcting entries ensure redistribution of incomes and expenses on the statement period of production according to basic principles of financial statements.

“Corrected trial balance” is made on the base of correcting entries; according to the information of this balance information is checked financially before the closing operation, which partly guarantees reliability of financial information.

In order to interpret accounting information in an appropriate way, it is important to classify this information according to their economic content and unite into three types of corrections: extra charging, preliminary payment and evaluative.

ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი¹

მეცნიერთა უკადლების ცენტრში

მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური პრობლემების გამოკვლევა მიკრო, მაკრო და მეგა დონეზე დროის მოთხოვნაა და მეცნიერების მხრიდან სისტემურ, კომპლექსურ მიღგომებს მოითხოვს. ასეთი გამოკვლევის შედეგები ყოველთვის სინერგიული ეფექტის მატარებელია და თავისთავში ეკონომიკური განვითარების რეზერვებსაც შეიცავს. ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში მოვლენების შესაფასებლად, მათ შორის ლოგიკური და კორელაციური კავშირების გამოსავლენად და შესაბამისი რეკომენდაციების შესამუშავებლად მნიშვნელოვანია მეცნიერთა მიერ აღიარებული, ლაპონურად ფორმირებული, შინაარსის შესაბამისი ცნებებისა და ტერმინების გამოყენება. მკლევარი მეცნიერისათვის, ასევე ეკონომიკური პრობლემების შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის ნებისმიერი ლექსიკონი ხელშემწყობ და დამაკვალიანებელ როლს ასრულებს. მით უმეტეს, თუკი იგი კომპლექსურად მოიცავს ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს.

ხშირად, ერთის სასაუბრო ენაში, ტერმინებსა და ცნებებშია მოცემული ეკონომიკური პრობლემების არსი, კვლევის სფერო. ცნობილია, რომ დროსა და სივრცეს გაუძლო ივანე ჯავახიშვილის კონცეფციამ ქართული თვითმყოფადობისა და ეროვნულობის ზოგადი პრინციპების შესახებ. ამაში ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს მეცნიერთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შესაძლებლობების გამოყენება, რომლითაც თანამდროვე გლობალურ სივრცეში, მრავარიცხოვანი ტერმინისა და ცნების სამყაროში, შევძლებთ ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ამ თვალსაზრისით საჭიროა არა მარტო უცხოური წარმოშობის ტერმინების

¹ როზეტა ასათიანი. ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონი, თბ., 2010, 479

ახსნა-განმარტება, არამედ საჭიროების შემთხვევაში, შესატყვისი ქართული ტერმინოლოგიის დამკვიდრებაც. ასეთ როლს სფეროში წარმატებული მოდგაწეობა კი მხოლოდ ისეთ მეცნიერს შეუძლია, ვინც ღრმად განსწავლულია ეკონომიკურ თეორიაში, გამორჩეულია მეცნიერული ხედვებითა და პრობლემების შეფასების სათანადო უნარ-ჩვევებით. ეკონომიკურ საზოგადოებაში სწორედ ასეთ მეცნიერთა რანგში გვევლინება პროფესორი როზეტა ასათიანი და ეს ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონშიცაა სრულყოფილად ასახული.

ლექსიკონი შესრულებულია დღევანდელი სამეცნიერო და სასწავლო სფეროებში არსებული მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. აგზორის დიდ განსწავლულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ლექსიკონის ტერმინებსა და ცნებებში პირდაპირ არის გადმოცემული ეკონომიკური თეორიის კლასიკური ფუნქციები, კერძოდ შემეცნებითი, მეორდოლოგიური, პრაქტიკული. სწორედ ასეთი ფუნქციების თანმიმდევრული, გააზრებული გამოყენება და ჰარმონიული შეხამება ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ეკონომიკისა და ბიზნესის როლი კავშირების ახსნაში.

ლექსიკონში მაღალი აზოვნებითაა შედგენილი მიკროეკონომიკისათვის საჭირო ტერმინები და ცნებები: ზღვრული სარგებლიანობა, ზღვრული პროდუქტი, ზღვრული შემოსავალი, ზღვრული მწარმოებლურობა, კონკურენცია, კონკურენტუნარიანობა, კონკურენტული ბაზარი, კონკურენტული უპირატესობა, ბაზრის წონასწორობა, ბაზრის ფიასკო, კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია, ფირმის თეორია, ინვესტიციის ბაზარი, არასაფასო კონკურენცია და სხვა; წუნდაუდებელი მეცნიერული ხედვითა და საკითხების ფილოსოფიური ცოდნით არის განმარტებული მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ტერმინებიც: ახალი კლასიკური მაკროეკონომიკა, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, შემოსავლებით გაზომილი მთლიანი ეროვნული პროდუქტი, ასევე, საბოლოო მოხმარებით გაზომილი იგივე მაჩვენებელი, მის დონეთა დაშორება, მთლიანი

შემოსავალი, მთლიანი შიგა პროდუქტისაზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა, სახელმწიფო რეგულირება და სხვა.

განსაკუთრებულად საინტერესო და ორიგინალურია ლექსიკონი იმ თვალსაზრისით, რომ მასში ახსნილია ეკონომიკური ინსტიტუტების, კონცეფციების, მიმდინარეობების, კლასიფიკატორების არსი და დანიშნულება, მოცემულია ამ განმარტებების ავტორისეული ინტერპრეტაცია, რაც გამოირჩევა ფილოსოფიური სიდრმით, სიზუსტით, ყველასათვის გასაგებ ენაზე არის წარმოდგენილი და დამატებითი ინფორმაციებით სათანადოდ დასაბუთებული. აღნიშნულიდან გამომდინარე ლექსიკონი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის მონათესავე სფეროებში სამეცნიერო პრაქტიკისა და სასწავლო პროცესების წარმატებით წარმართვაში.

გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტთა ბიოგრაფიული მონაცემების ლექსიკონში შეტანა დიახაც, რომ მართებულია. პროფესორი როზეტა ასათიანის მიერ შედგენილ ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონში ეკონომიკური სკოლის თვალსაზრისით წარმომადგენელთა ბიოგრაფიული მონაცემებისა და მათი წვლილის წარმოჩენა თვით მეცნიერთათვის, ასევე საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობებისთვის სასარგებლოა.

დღეს საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომზადდეს მაღალკვალიფიციური ეკონომისტ-ანალიტიკოსები, რომლებიც ეკონომიკისა და ბიზნესის კონცეფციების ცოდნის საფუძველზე შეძლებენ ბაზარზე არსებული პრობლემების განხილვას, სახელმწიფო პოლიტიკის მოდელების შერჩევას, ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების კონცეფციებისა და მისი რეგულირების მეთოდების შეფასებას, საზოგადოებრივი პოლიტიკის პრობლემების ანალიზს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკონში მოცემული ეკონომიკისა და ბიზნესის მრავალრიცხვანი ინსტრუმენტების გამოყენება დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული

საკითხების შეცნობაში, გამოყენებაში.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ მოცემულ ლექსიკონში ეკონომიკური აგრეგატების აღწერის მეთოდების ცხრილის სახით ორ გვერდზე (გვ. 111-112) წარმოდგენა არ იყო საჭირო.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „მეცნიერება ცხოვრებისაგან იბადება და ცხოვრებისათვის არსებობს. ცხოვრების გამო ის წინ მიდის და მერე თავის რიგზე თვითონვე წინ მიჰყავს ცხოვრება”. ალბათ, ყველაზე მეტად ეს აზრი მიესადაგება პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ შედგენილი ეკონომიკისა და ბიზნესის ლექსიკონის დასტამბვას. ცხოვრება წინ მიდის და ამ წიაღსვლაში, დარწმუნებული ვართ, პროფესორ როზეტა ასათიანის მიერ შედგენილი ლექსიკონიც, ერთი მხრივ, წინ წასწევს სასწავლო და სამეცნიერო პროცესს, მეორე მხრივ, ახალი იდეებით და ტერმინოლოგიით გამდიდრებული კვლავ მოევლინება მკითხველს შევსებული და გადამუშავებული სახით.

ე. ხარამვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი,
მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი

უდავოდ სასარგებლო სახელმძღვანელო*

საქართველოში აგრარული რეფორმის განხორციელების შედეგად წარმოებითი ურთიერთობები სოფლად ძირეულად შეიცვალა, რაც, პირველყოვლისა, მიწაზე კერძო საკუთრების დაფუძნებისა და დარგის მართვის მბრძანებლური სისტემიდან უპირატესად მეურნეობის საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლით გამოიხატა. რადიკალურმა ტრანსფორმაციამ, თავის მხრივ, ობიექტურად გაზარდა მოთხოვნა კვალიფიცირ აგროეკონომიკურ კადრებზე, რომლებსაც საბაზრო პირობებში აგრარული წარმოების გაძლილის (მართვის) სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები ექნებოდა. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის ეკონომიკას როგორც მეცნიერულ დისციპლინას, აგრარული მიმართულების უმაღლეს სასწავლებლებში ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადამავალ პერიოდში, საქმაოდ დიდხანს საბჭოურ პერიოდში (1973 და 1975 წლებში) გამოცემული სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფდა დროის მოთხოვნის ადგავატური კადრების მომზადებას. თემატურად სრულყოფილი და საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი „სოფლის მეურნეობის ეკონომიკის“ სახელმძღვანელო წიგნის ბაზარზე მხოლოდ 2006 წელს გამოჩდა. ის მომზადებული იყო დასავლეთის ქვეყნებში აგროწარმოების ეკონომიკის სასწავლო სახელმძღვანელოებისადმი წაყენებული

* პ. კოდუაშვილი, გ. ზიბზიბაძე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2010, 250 გვ.

მოთხოვნების გათვალისწინებით და ამიტომ მალე ნახა ჭეშ-მარიტი მოქმედებული. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სულ რაღაც 4 წელიწადში გახდა საჭირო ხელისული სახელმძღვანელოს სოფლიდური ტირაჟით ხელმეორედ გამოცემა.

„სოფლის მეურნეობის ეკონომიკის“ სახელმძღვანელოს მეორე გადამუშავებული გამოცემა 12 თავისაგან შედგება (პირველი გამოცემიდან ამოღებულია 5 თავი და შეტანილია 3 ახალი თავი). მასში აქცენტირებულია სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ყველა თეორიული თუ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი, გადმოცემულია სოფლის მეურნეობის როგორც მატერიალური წარმოების ერთ-ერთი ძირითადი დარგის, საწარმო-ეკონომიკური თავისებურებანი, რაც, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (ზოგადად სურსათზე) მოთხოვნის სპეციფიკას უკავშირდება.

სახელმძღვანელოს უდავო ღირსებაა ის, რომ მასში გაშუქებული ყველა ეკონომიკური კანონი თუ კატეგორია (მოთხოვნა-მიწოდების კანონები, ბაზარი, ფასი, ფასწარმოქმნა და ა.შ.), გაანალიზებულია არა ზოგადად ეკონომიკური თეორიის პოზიციებიდან, არამედ აგროწარმოებაში მათი მოქმედების თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, თანამედროვე დასავლური აგროეკონომიკური ლიტერატურის შესწავლისა და სათანადო გაანალიზების საფუძველზე სახელმძღვანელო-ში თანმიმდევრულადაა განხილული ისეთი ეკონომიკური საკითხები, როგორიცაა საბაზო ურთიერთობების პირობებში წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი) გამოყენების ეკონომიკური პრინციპები და კანონზომიერებანი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგროწარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, ოპტიმიზაციის, აგრეთვე, წარმოების ინტენსიფიკაციის და აღწარმოების საკითხებს. ცალკე თავებადაა

ახალი წიგნები: როგორია პროცესიალ-რეცენზიია აზრი?

გადმოცემული აგროწარმოების სახელმწიფო რეგულირების ობიექტური აუცილებლობის წანამდღვრები, რეგულირების მეთოდები და ეკონომიკური ბერკეტები.

სახელმძღვანელოს ღირსებად უნდა ჩაითვალოს, აგრეთვა, აგრარული წარმოების ძირითადი ქვედარების და ცალკეული ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის დადგნის, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრინციპების შეთანაწყობის და სხვა აქტუალური პრობლემური საკითხების გაშუქება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე. პრაგმატული თვალსაზრისით მას უფრო სრულყოფილს ხდის ყოველი თავის ბოლოს დართული კითხვები და ტესტები თვითშემოწმებისათვის, ასევე, აგრარულ ეკონომიკასთან დაკავშირებული ეკონომიკური ტერმინების განმარტებანი.

ამასთან, ვფიქრობთ, თავში – „სოფლის მეურნეობა, როგორც მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი დარგი“, საჭირო იყო ავტორებს გვერდი აევლოთ საკითხისათვის – „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები, კვლევის მეთოდები და ხერხები“ (გვ. 18-20), რადგანაც ის პირდაპირ არ ეხება მოცემულ სახელმძღვანელოს. სასურველი იყო შესაბამის პარაგრაფში (გვ. 92-94) გაეანალიზებინათ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ციფრობრივი მონაცემები სოფლის მეურნეობაში უმუშევრობასთან დაკავშირებით.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სარეცენზიო სახელმძღვანელო ავტორების მიერ მომზადებულია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი პროგრამული მიმართულების მიხედვით და სახელმძღვანელოებისადმი წაყენებული მოთხოვნების სრული დაცვით. მიგვაჩნია, რომ ის დიდ დახმარებას გაუწევს არამარტო აგრარული მიმართულების უმაღლესი სასწავლუ-


ბლების ბაკალავრებს, არამედ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლით დაინტერესებულ ყველა პირს, მათ შორის, დარგის სელმძღვანელ მუშაკებსა და პრაქტიკოს სპეციალისტებს.

გოგი ღოღონაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
ეთერ ქაგანია,
სერგო თერმანიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორები

გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური
განვითარების პრინციპები –

მესამე საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენცია



2010 წლის

11 დეკემბერს
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტმა უმასპინძლა მესამე
საერთაშორისო
კონფერენციას –
„გლობალიზაცია
და საქართველოს
ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები“.

კონფერენციი-

აზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები საქართველოდან,
ჩეხეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან, უზბეკეთიდან და

ტაჯიკეთიდან. მოხსენებებში აისახა მეცნიერთა და დოქტორანტთა კვლევის შედეგები, რომლებშიც გლობალიზაციის კონტექსტით განხილულია ეროვნული ეკონომიკური აქტივობისა და განვითარების ფართო სპექტრი: ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ქვეყანათაშორის ინტენსიური ეკონომიკური კავშირების შესახებ; მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი; რეგიონული ინტეგრაცია, მათ შორის ეგროპულ სივრცეში საქართველოს ინტეგრირების გამოწვევები და პერსპექტივები; ოპტიმალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების საკითხები; მოსახლეობის, მ. შ. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია; საერთაშორისო მარკეტინგის საკითხები; საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები; ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები; დარგობრივი ეკონომიკის (ტურიზმი და სოფლის მეურნეობა) განვითარების პრობლემები; მეწარმეობისადმი დამოკიდებულების საკითხები, მისი სტიმულირებისა და კრეატიული ბიზნესის უპირატესობები; დაზღვევისა და ფინანსური ანგარიშგების საკითხები; მეცნიერებისა და განათლების კონკურენტუნარიანობა, მასთან დაკავშირებული კადრების მომზადების, დასაქმების პოლიტიკა, უნივერსიტეტების განვითარების მარკეტინგული სტრატეგია. კონფერენციაზე წარმოდგენილმა მოხსენებებმა სხვადასხვა ჭრილით ასახა თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პრობლემატიკა.

მომხსენებლები ოთხ სექციაში გადანაწილდნენ:

- გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია: თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და ეკონომიკური განვითარების პრობლემები;
- ქვეყნის ინოვაციური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში;
- ეკონომიკური და სოციალური რეფორმები და გლობალიზაცია;
- გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები.

კონფერენციის დასასრულს შემუშავდა რეზიუმე, რომელმაც ასახა წარმოდგენილი კვლევების შედეგად გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები.

საორგანიზაციო კომიტეტმა, თითოეული მონაწილის თანადგომით, უზრუნველყო საკონფერენციო მოხსენებების დასტამბვა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის სახით, რაც უკვე ტრადიციად მკიდრდება. გამოცემულია სამივე კონფერენციის მასალები.

ვფიქრობთ, კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებში ბევრი საყურადღებო და საინტერესო მასალა, დასკვნა და რეკომენდაცია პოლიტიკოსების, მკვლევარების, სტუდენტების და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

ეკონომიკის აკადემიური დოქტორები
ნ. პაპაჩაშვილი, მ. შაბურიშვილი, ლ. ჯამაგია

სარედაქტო პოლეგიტისაგან

ჩვენი უურნალის 2010 წლის №5-ში გამოქვეყნდა პროფესორ შოთა ქისტაურის რეცენზია – „ენციკლოპედიური გამოკლევა“. სარედაქციო კოლეგიის წევრთა დიდი ნაწილი არ ეთახმება რეცენზიაში გამოთქმულ რიგ მოსაზრებას, განსაკუთრებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილი მდგომარეობის ავტორისეულ კრიტიკას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო წლებში განვითარებული რთული და წინააღმდეგობრივი პროცესების მიუხედავად, დღეს ფაკულტეტზე ჯეროვანი პირობები არსებობს სასწავლო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის. ფაკულტეტზე უმნიშვნელოვანესი საკითხია ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიული დაოსტატებისათვის ხელშეწყობა, რამდენადაც სწორედ ახალგაზრდა, საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენელთა ერთობლივი ძალისხმევა არის სინერგეტიკული ეფექტის მომტანი, ნებისმიერი წარმატების საფუძველი და აუცილებელი გარანტი.

სარედაქციო კოლეგია იზიარებს პროფესორ ა. სილა-გაძის ნაშრომის მაღალ შეფასებას, რომელიც მოცემულია ზემო-აღნიშნულ რეცენზიაში.

ქურნალ „ეპონომიკა და ბიზნესის“ 2010 წლის
ნომრების (1-5) შენაარსი

სტატის ტემატიკა	სტატის ფასხვების რაობა	სტატის ტემატიკა	სტატის ფასხვების რაობა
სამართლებული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქართველოს კუთხის კუთხის შესრულება და მომსახურება	I	II	
ეკონომიკური ინიციატივის მოდელები			
რეკა ნსახურის	სამართლებული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქართველოს კუთხის კუთხის შესრულება	I	29
ჯარი კონკურენცია	სამართლებული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქართველოს კუთხის კუთხის შესრულება	I	25
სამართლებული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქართველოს კუთხის კუთხის შესრულება			
ა. სილა- გაძის ნაშრომი, სილა- გაძის კუთხის კუთხის	სამართლებული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქართველოს კუთხის კუთხის შესრულება და მომსახურება ეკონომიკური საქართველოს (აუკირდება)	I	67
ა. სილა- გაძის	სამართლებული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქართველოს კუთხის კუთხის შესრულება	I	21
სილ ა. სილა- გაძის	სამართლებული ეკონომიკისა და ეკონომიკური საქართველოს კუთხის კუთხის შესრულება	I	21
განახლების და ხასახურით საჭიროებები			
ა. სილა- გაძის ნაშრომი, სილა- გაძის	ხასახურით საჭიროებები ხასახურით საჭიროებები ხასახურით საჭიროებები ხასახურით საჭიროებები	I	29
ა. სილა- გაძის	ხასახურით საჭიროებები ხასახურით საჭიროებები ხასახურით საჭიროებები	I	119

საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	1	195
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	11
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	21
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	29
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	41
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	59
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	79
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	87
საქართველოს მთავრობის კუთხით და კუთხით კუთხით მიღებული მიზანი	2	99

კონსულტაცია და სახისურ ხაზე			
კონსულტაცია	დაწყებული კურსის შემდეგის სიცოდულეები: კონსულტაცია კურსის ხაზზე და კონსულტაცია (ჩატვირთვის ეტაპზე)	2	102
კიბელ მართვის დღი, ისი მომავალი მიმდინარე, მიმდინარე მართვის დღი	ასერტივული კიბელი ხაზზე და მართვის მიმდინარე დღი კიბელი კურსის ხაზზე (მომავალი დღი კონსულტაციის მიზევით)	2	130
მიზანის მიზანების ხაზზე			
ხაზი მიზანების	კონსულტაცია დაწყებული კურსის გა რიცხოვ მიზანების მიზანების	2	145
კიბელ კურსის დღი	ხაზის მიზანები დაწყებული კურსის გა რიცხოვ	2	157
მომავალი მიმდინარე	ხაზის მიზანები ხაზის მიზანების გა რიცხოვის მიზანები	2	160
კიბელ კურსის დღი	ხაზის მიზანები ხაზის მიზანების გა რიცხოვის მიზანები	2	160
ხაზის მიზანები	ხაზის მიზანები ხაზის მიზანების გა რიცხოვის მიზანები	2	160
ხაზის მიზანები	ხაზის მიზანები ხაზის მიზანების გა რიცხოვის მიზანები	2	160

კონსულტაცია და კურსის ხაზზე			
კონსულტაცია	დაწყებული კურსის შემდეგის სიცოდულეები: კიბელი კურსის ხაზზე კურსის მიზანების და მიზანები	2	111
ისი მომავალი მიმდინარე	კიბელი კურსის ხაზზე მიზანების და მიზანები	2	31
ისი მიზანები	ხაზის მიზანების ხაზზე მიზანების და მიზანები	2	42
ასე გავით	ასე გავით კურსის ხაზზე მიზანების და მიზანები მიზანების და მიზანები	2	53
მავისხვი კურსის მიზანები	მავისხვის მიზანების ასე გავით კურსის ხაზზე მიზანების და მიზანები მიზანების და მიზანები	2	69
მიზანების მიზანები			
ხაზი მიზანების ასე გავით	მიზანების მიზანები მიზანების ხაზზე მიზანების და მიზანები (ასე გავით კურსის მიზანები)	2	77
ას გავით	კიბელი კურსის ხაზზე მიზანების და მიზანები	2	85
ისი მიზანები	ხაზის მიზანების კურსის ხაზზე მიზანების და მიზანები	2	95
მიზან მიზანები	მიზანების მიზანები მიზანების ხაზზე	2	105

სახელი კორპუსის მიერ	საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებელ მასალებრივი მიერ	9	123
სახელი სამსახურის მიერ	საქართველოს სამსახურის მისამართის მიერ	9	125
სახელი სამსახურის მიერ	საქართველოს სამსახურის მისამართის მიერ	9	141
დეპარტამენტი	ცალი მდგრადი დაცვის კომისიის (ცალ-კაბ) საქართველოს კანკორონის სამსახურის მდგრადი დაცვის ცალ-კაბის	9	147
სახელის მიერ სახელმწიფო მიერ			
მუნიციპალიტეტის მიერ	სამსახურის მიერ სახელმწიფო მიერ სახელმწიფო მიერ სახელმწიფო მიერ	9	137
კიბის მისამართის მიერ	სახელის მიერ კიბის მისამართის მიერ	9	171
საკულტურული მიერ მიერ			
კულტურის მისამართის მიერ	სამსახურის მიერ სახელმწიფო მისამართის მიერ სახელმწიფო მიერ	9	177
სამსახურის მიერ	სამსახურის მიერ სახელმწიფო მისამართის მიერ სახელმწიფო მიერ	9	129
კურორტული მიერ მიერ			
რეკორდის მისამართის მიერ	სამსახურის მიერ სახელმწიფო მისამართის მიერ სახელმწიფო მიერ	4	11
კურორტული მისამართის მიერ	საქართველოს მინისტრის მიერ სამსახურის მისამართის მიერ სახელმწიფო	4	27

საქართველოს საკულტო კურსის კურსის კრიტიკული მონიტორინგი			
დასტური:	კურსის მიზანი და მიზანის დარღვევა და მიზანის დარღვევის მიზანის დარღვევა	4	105
კონტენტი:	საქართველო-კურსის მიზანი მონიტორინგის და კურსის მიზანის დარღვევა	4	122
ასეთი წესისა: როგორიცაა მოვლენის და რეაქციების შემთხვევა ასეთი			
ერთიანი სერია:	ერთიანი სერიალის მიზანი მონიტორინგი	4	100
დარღვევის მიზანი:	ასეთი კურსი ესახ დამსახურებული ხახულისებული ხაგრძნილი მონიტორინგის კურსის მიზანი ეს ხახული	4	102
ხახულის მიზანის გადატენვა:			
მოვლენის სერიაზე მატება = 20-		4	96
კურსის მიზანის გადატენვა და კურსის მიზანის გადატენვა			
კურსის მიზანი:	დასტური და აუდიო-დასტური და აუდიო-დასტური და დასტური- დასტური და დასტური	5	11
კურსის მიზანი:	ხახულის მიზანი ხახულის მიზანი ხახულის მიზანი ხახულის მიზანი	5	10

භාෂා තුළ නිර්මාණ මෙහෙයුම් සඳහා ප්‍රාග්ධන ප්‍රතිඵල නිර්මාණ සඳහා			
වෛද්‍ය තුළ නිර්මාණ	ප්‍රාග්ධන මෙහෙයුම් නිර්මාණ	S	ITI
ප්‍රාග්ධන මෙහෙයුම් නිර්මාණ	ප්‍රාග්ධන මෙහෙයුම් නිර්මාණ	S	ITI
වෛද්‍ය තුළ නිර්මාණ මෙහෙයුම් නිර්මාණ සඳහා ප්‍රාග්ධන ප්‍රතිඵල නිර්මාණ සඳහා			
වෛද්‍ය තුළ නිර්මාණ	ප්‍රාග්ධන මෙහෙයුම් නිර්මාණ මෙහෙයුම් නිර්මාණ	S	ITI

გადაეცა ასაწყობად - 10.12.2010
ხელმოწერილია დასაბუჭილად - 20.12.2010
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი - 12, ტირაკი - 150

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.
www.press.tsu.ge (25-14-32)

დაიბეჭდა სტამბაში - „გეორგიკა“
თბილისი, ჯიქიას 10.

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი